ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
25 სექტემბერი პარასკევი 2009
№226 (12905) ფასი 60 თეთრი

## შემოდგომის მარათონი
დღეს, 16:00
ზესტაფონი
ოლიმპი
ტურის წინათქმა >> გვერდი 2



## მწვრთნელის შეცვლა ტრაგედია არ არის
ინტერვიუ დავით ხახალეიშვილთან >> გვერდი 11



## კოკაი საფრთხეშია...
სუმო. სექტემბრის ბაშო >> გვერდი 12

# არჩევნების მოლოდინში



## არველაძე დღეს იტყვის...
გუშინ სიჭინავა ლეკიშვილს შეხვდა, დღეს გულშემატკივრების ჯერია...



ლევან ყიფიანი
## რა აზრი აქვს კანდიდატურის წამოყენებას?



ვლადიმერ გუცაევი
## პრეზიდენტობა არავის აქვს გარანტირებული

>> გვერდი 3-4

# ფიორენტინა პრეზიდენტის გარეშე დარჩა
ტურინის იუვენტუსმა სეზონში პირველი ქულები დაკარგა



იტალიური ამბები >> 6, 10

ლეგიონერები
## სანიკიძისა და მარკოიშვილის დუელის მოლოდინში



## ცინცაძე ათს ასცდა



## გამყრელიძის 7-7 ქულა-პასი



კალათბურთი >> გვერდი 12

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. VIII ტურის წინათქმა

# შემოდგომის მარათონი

**ზესტაფონი–ოლიმპი**
25.09.09. ზესტაფონი ცენტრალური
16:00
დისკვალიფიკაცია: არავინ

**ვიტ ჯორჯია–ბაია**
25.09.09. გორი. თ. ბურჯანაძე
16:00
დისკვალიფიკაცია: რ. ოზიაბი (ბაია)

**დინამო–ლოკომოტივი**
25.09.09. თბილისი მ. მესხი
18:00
დისკვალიფიკაცია: არავინ

**სპარტაკი–გაგრა**
26.09.09. გორი ქართლი
16:00
დისკვალიფიკაცია: ლ. თოთაძე, ი. პავლიაშვილი (ორივე გაგრა)

**სიონი–სამტრედია**
26.09.09. ბოლნისი თ. სტეფანია
16:00 პირველ არხზე ჩანაწერი - 18:00
დისკვალიფიკაცია: კობაური (სიონი), კაკალაძე, ბაკურაძე (ორივე სამტრედია)

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ოლიმპი | 7 | 5 | 1 | 1 | 13-6 | 16 | 2 | 1 | 0 | 8-0 | 7 | 3 | 0 | 1 | 5-6 | 9 |
| 2. ზესტაფონი | [illegible] | 4 | 3 | 0 | 12-3 | 15 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 3. დინამო | 7 | 4 | 2 | 1 | 18-4 | 14 | 3 | 1 | 0 | 11-0 | 10 | 1 | 1 | 1 | 7-4 | 4 |
| 4. სპარტაკი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-12 | 12 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 | 1 | 0 | 3 | 5-12 | 3 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 3 | 1 | 7-7 | 12 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 | 0 | 2 | 1 | 0-4 | 2 |
| 6. სამტრედია | 7 | 3 | 0 | 4 | 9-14 | 9 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 8 | 1 | 0 | 3 | 4-9 | 3 |
| 7. გაგრა | 7 | 2 | 1 | 4 | 11-10 | 7 | 2 | 0 | 1 | 6-1 | 6 | 0 | 1 | 3 | 5-9 | 1 |
| 9. სიონი | 7 | 1 | 3 | 3 | 3-9 | 6 | 1 | 2 | 1 | 2-4 | 5 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 8. ბაია | 7 | 1 | 1 | 5 | 5-14 | 4 | 1 | 1 | 2 | 5-11 | 4 | 0 | 0 | 3 | 0-3 | 0 |
| 10. ლოკომოტივი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-11 | 2 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 | 0 | 1 | 3 | 1-6 | 1 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| გაბედავა (გაგრა) | 6 |
| აკინო (ოლიმპი) | 5 |
| მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| კოშკაძე (დინამო) | 4 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 4 |
| დ. ქირია (ბაია) | 3 |
| დვალი (ზესტაფონი) | 3 |
| ვანაძე (დინამო) | 3 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| ჯონათასი (ოლიმპი) | 3 |
| კაკალაძე (სამტრედია) | 3 |

დღეიდან ქართული „ბოქსინგ დეი" იწყება: ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა რვა-ცხრა დღეში სამ-სამი თამაში უნდა ჩაატარონ! მოკლედ, ამ სამი ტურის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გაირკვევა; უპირველეს ყოვლისა, ის, თუ რამდენად არიან მზად ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები ასეთი გრაფიკისთვის. მართალია, მერე სანაკრებო მატჩების გამო ჩემპიონატში პაუზა გამოცხადდება, მაგრამ იმ პაუზამდე ხომ ბევრი რამ შეიცვლება - რაც მთავარია, ქართულ ფეხბურთს ახალი მესაჭე ეყოლება...

ეს ყველაფერი ოქტომბრის დასაწყისში მოხდება; მანამდე კი კარსმომდგარ მერვე ტურზე ვისაუბროთ, როგორც ყოველთვის, ორ დღედ რომ არის გაყოფილი.




ოთარ და ლევან კორლალიძეები - დღეს მამა-შვილის დაპირისპირებაა

## ლიდერთა მატჩი და... სენტიმენტალიზმი

მერვე ტურის კი არა, ლამის პირველი წრის ცენტრალური შეხვედრა გველოდება: „ზესტაფონმა" ერთპიროვნულ ლიდერს რუსთავის „ოლიმპს" უნდა უმასპინძლოს! მასპინძლები უაღრესად მოტივირებული იქნებიან: გამარჯვების შემთხვევაში ხომ... ცხრილის სათავეში მოექცევიან! თან, თუ კალენდარსაც გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ დღევანდელი მატჩის მოგების შემდეგ **გია გეგუჩაძის** გუნდს, სულ მცირე, თვეზე მეტი შეეძლება ერთპიროვნული ლიდერობა...

მოვლენების ასეთი განვითარება კი ნამდვილად არ უნდა გაგვიკვირდეს - „ზესტაფონმა" უკანასკნელი ორი საშინაო შეხვედრა შთამბეჭდავი გამარჯვებით დაასრულა; თან, მეტოქეებზეც ვერავინ იტყვის, სუსტი შეხვდაო - ჯერ „დინამოს" აჯობეს, შემდეგ კი - „სპარტაკს". მოკლედ, გია გეგუჩაძის გუნდის საჩემპიონო ამბიციები უკვე ნელ-ნელა კი არა, აშკარად სწრაფი ტემპით იზრდება. რაც მთავარია, გუნდი თითქმის ყველა რგოლში კარგად არის დაკომპლექტებული და არანაკლებ ამბიციურ მწვრთნელსაც ძირითად შემადგენლობაში როტაციის საშუალებაც აქვს. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ გოლების გატანას „მოუხშირა" წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა **ნიკა გელაშვილმა**, ჩინებულ ფორმაში იმყოფება **შოთა გრიგალაშვილი**, ხოლო „ზესტაფონის" კიდევ სამი ლიდერისთვის „ოლიმპთან" მატჩი განსაკუთრებული იქნება: **გიორგი ონიანი, თორნიკე აფციაური** და **ჯაბა დვალი** სხვადასხვა დროს რუსთაველი კლუბის წამყვან ფეხბურთელებად მიიჩნეოდნენ...

ჰო, ეგრეა - ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშისას ფეხბურთელებს „ცოტა სხვანაირი" განწყობილება აქვთ; მერე, იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ „წამოვა" ეს ფეხბურთელი ყოფილი გუნდიდან; აი, „ოლიმპის" მეკარის, **გრიგოლ ჭანტურიას** მაგალითიც ამას მონმობს: დასამალი არავისთვის არის, რომ ეს გამოცდილი მეკარე და „ზესტაფონი" ერთმანეთს არცთუ „მშვიდობიანად" დაშორდნენ. ნამდვილად არ ვაპირებთ რომელიმე მხარის დადანაშაულებასა თუ გამართლებას, მაგრამ, რომ ფაქტია, ფეხბურთელი (უდიდესი ამაგი რომ მიუძღვის „ზესტაფონის" წინაშე) კვლავაც დაჩაგრულად მიიჩნევს თავს და დღემდე სამართალი ვერ უპოვია!..

ორი ლიდერის დაპირისპირება, ცალკეული ფეხბურთელების ყოფილ გუნდთან პაექრობა, - „ზესტაფონისა" და „ოლიმპის" მატჩი, მართლაც, დიდ ინტერესს გვპირდება, მაგრამ, ვერც ერთი ფაქტორი ვერ მოვა ახლოს იმ „მთავარ" ინტრიგასთან, რასაც... მამისა და შვილის დაპირისპირება ჰქვია! საქართველოს ჩემპიონატების ოცწლიან ისტორიაში ასეთი შემთხვევები თითზე ჩამოსათვლელი თუ ყოფილა და აი, ახლა - „ზესტაფონის" ნახევარმცველის **ლევან კორლალიძის** და „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის **ოთარ კორლალიძის** მდგომარეობაშიც უნდა შევიდეთ! სხვათა შორის, ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ მამა-შვილ კორლალიძეებს... გვერდი-გვერდ უთამაშიათ (მამა-შვილი **მეგრელაძეების** მსგავსად), მაგრამ დაგვეთანხმებით, ახლა აშკარად განსხვავებული სიტუაციაა...

ისე, კორლალიძე-უფროსს, ალბათ, სენტიმენტალობისთვის არც „ეცლება" - ბოლო ორ შეხვედრაში მისმა გუნდმა მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა და „ზესტაფონთან" ერთად, „უკვე „დინამოც", თითქმის წამოეწია. ქულების დაკარგვასთან ერთად „ოლიმპს" სხვა არასასიამოვნო ტენდენციაც დაეწყო - ზედიზედ ორი მატჩია, ჩვენგან მანამდე ბევრჯერ ნაქები **აკინო** „ჩრდილში რომ მოექცა"; არ არის გამორიცხული, რომ ბრაზილიელ ლეგიონერს კვლავაც აწუხებდეს მხრის ტრავმა, „სამტრედიასთან" შეხვედრის მიწურულს სრულიად უწყინარ სიტუაციაში რომ მიიღო. ჰოდა, აკინოს თამაში თუ არ „წაუვიდა", ეს ყველაფერი „ოლიმპის" შემტევ პოტენციალზეც აისახა - ბოლო ორი შეხვედრაა, გუნდს მეტოქეთა კარში გოლი არ გაუტანია...

დაბოლოს, ამ წყვილის მცირეოდენი სტატისტიკაც: დღემდე ჩატარებულ შვიდ შეხვედრაში, თითქმის აბსოლუტური თანაფარდობაა: მეტოქეებმა ორ-ორი მატჩი მოიგეს და სამი ფრედ დაასრულეს; აი, ბურთების სხვაობით კი უპირატესობა „ზესტაფონის" მხარეზეა (6-4).

## ტკბილ-მწარე მოგონებები

...დრო იყო, „დინამოსა" და „ლოკომოტივის" დაპირისპირებას არა მხოლოდ „დედაქალაქურ დერბად" მოვიხსენიებდით; რაღა შორს მივდივართ და წინა სეზონი გავიხსენოთ: **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** „ლოკომოტივმა" სამიდან ერთი შეხვედრა მოუგო „დინამოს", ერთი ფრედ დაასრულა და ერთიც მინიმალური ანგარიშით წააგო. სამწუხაროდ, ამჟამად „ლოკომოტივს" აშკარად განსხვავებული მიზნები აქვს; ამას გარდა, რაც მთავარია, გუნდში აღარც ახალგაზრდა და პერსპექტიულ მწვრთნელთა „დუეტი" (**კიკნაძე-ზამთარაძე**) მუშაობს და აღარც „დიდი ოთხეული" (**ლევან ცქიტიშვილი, რატი ალექსიძე, ვიტალი დარასელია, გიორგი ლომაია**) ასპარეზობს. და მაინც: ენა არ მოგვიბრუნდება თითქმის 90 პროცენტით გამოუცდელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდის მისამართით, ისე როგორც ასევე დებიუტანტი მწვრთნელის, **გელა სანაიასთან** მიმართებაში - ფაქტია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი, გუნდის ფეხბურთელთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაქსიმუმს აკეთებს. თუმცა დღეს „ლოკომოტივს" საკმაოდ მძიმე გამოცდის ჩაბარება მოუწევს - ტემპაკრებილი და „გამწარებული" „დინამოს" შეჩერება, ალბათ, ძალიან გაუჭირდება! „გამწარებული" თუ მსაჯების ტენდენციურობისგან დაზარალებულ „დინამოს" კი დღეს სხვა მოტივაციაც ექნება: იმის ალბათობაც ხომ არის, რომ ზესტაფონური მატჩი ფრედ დასრულდეს; ჰოდა, თავისი შეხვედრის მოგების შემთხვევაში **კახა კაჭარავას** გუნდი უკვე პირველ ადგილზეც გადაინაცვლებს-

... რა ბევრი მტკიცება სჭირდება იმ ფაქტს, რომ ამ შეხვედრაში „დინამო" უპირობო ფავორიტია, თუმცა, ხელაღებითაც ამის თქმა არ შეიძლება - „ლოკომოტივმა" პირველ ტურში „ზესტაფონთან" ფრე გაახერხა (თან, სტუმრად), ხოლო „ოლიმპთან" მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ მეხუთე წუთზე დამარცხდა! ანუ იმის თქმა გვსურს, რომ „დინამოს" მოდუნების უფლება არა აქვს და მეტოქის შეუფასებლობაც, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს. სხვა თუ არაფერი, დინამოელებს რევანშის აღების წყურვილიც ხომ უნდა ჰქონდეთ: დღევანდელი მეტოქეების უკანასკნელი შეხვედრა (21 მარტს რომ ჩატარდა) ნულოვანი ფრით დასრულდა. სწორედ ამ შეხვედრის მერე გაათავისუფლეს „დინამოს" მაშინდელი მთავარი მწვრთნელი, გერმანელი **რაინერ ცობელი.** ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ იმ მატჩის მოგების შემთხვევაში „დინამო"... ერთი დღით მაინც იქნებოდა ერთპიროვნული ლიდერი, მაგრამ ვერ მოახერხა. არადა, უკანასკნელად „დინამო" ცხრილის სათავეში 2008 წლის მაისში იყო...

## შეხვედრა წარსულთან

მოქმედმა ჩემპიონმა დაცვაში თამაში რომ გამოასწორა, ფაქტია; თუმცა, ალბათ, დროა, რომ „ვიტ ჯორჯიამ"... გოლების გატანაც დაიწყოს - უკანასკნელ ოთხ შეხვედრაში გუნდმა მეტოქეთა კარში მხოლოდ სამი ბურთი შეაგდო. მაგრამ, აქვე, ნურც იმას დავივიწყებთ, **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი ვის ეთამაშებოდა: „დინამოს", „სპარტაკს", „ზესტაფონსა" და „ოლიმპს"; ანუ, ლიდერთა ჯგუფის ყველა წარმომადგენელს. აი, დღეიდან კი „ვეტერინარებს" შედარებით სუსტ მეტოქეებთან მოუწევთ პაექრობა და, ალბათ, სატურნირო მდგომარეობასაც „დაეტყობა".

...ხვალინდელი მატჩებიც არანაკლებ ინტერესს იწვევს: „სპარტაკის" ამჟამინდელი თავკაცი **ვლადიმერ ხაჩიძე** ჯერ კიდევ წინა სეზონში „გაგრას" მთავარი მწვრთნელი იყო! სხვათა შორის, „სპარტაკი" ერთადერთი გუნდია, საკუთარ მოედანზე ჩატარებულ მატჩებში ასპროცენტიანი შედეგი რომ აქვს - სამიდან სამივე გამარჯვება. აქედან გამომდინარე, ხვალინდელ შეხვედრაშიც ფავორიტად „სპარტაკი" უნდა მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ გუნდში სოლიდური მატებაა ერთდროულად სამი გამოცდილი ფეხბურთელის (**აქვსენტი გილაური, დავით ბაქრაძე, გიორგი მანწკავა**) სახით. აი „გაგრას" კი პირიქით, პრობლემები აქვს: დისკვალიფიკაციის გამო გუნდს ვერ დაეხმარება ძირითადი შემადგენლობის ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი - **ლაშა თოთაძე** და **ილია პავლიაშვილი.**

დაბოლოს: „სიონი"-"სამტრედიას" მატჩზეც, სადაც განსაკუთრებულ ინტერესს უმაღლესი ლიგის ორი ყველაზე გამოცდილი მწვრთნელის დაპირისპირება იწვევს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ **თემურ მახარაძეც** და **ვალერიან ჩხარტიშვილიც** მეორე ათეული წელიწადია ეროვნულ ჩემპიონატში მოღვაწეობენ, მაგრამ უმაღლეს ლიგაში ერთმანეთის წინააღმდეგ საკუთარი გუნდები მხოლოდ ერთხელ გამოუყვანიათ. თანაც, ეს ძალიან ადრე იყო, კერძოდ, 1994 წლის შემოდგომაზე! თემურ მახარაძის „კახეთმა", ბევრისთვის მოულოდნელად, ვალერიან ჩხარტიშვილის „ბათუმს" მინიმალური ანგარიშით (1:0) მოუგო. და აი, 15-წლიანი პაუზის შემდეგ ორი ამაგდარი მწვრთნელი ისევ ერთმანეთის პირისპირ წარდგება...

**გია ტუხაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რასისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნების წინ

## ვლადიმერ გუცაევი

# პრეზიდენტობა არავის აქვს გარანტირებული

## პროგრამას ყველა დაწერს, საქმეა მთავარი. გუცაევი იმედოვნებს, რომ ხელისუფლება არჩევნებში არ ჩაერევა



2005 წელს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ვლადიმერ გუცაევიც ერთ-ერთი კანდიდატი იყო, მაგრამ „მარათონს" ნაადრევად გამოეთიშა - კანდიდატურა მოხსნა. არ არის გამორიცხული, გუცაევმა კიდევ ერთხელ იბრძოლოს ვაკანტური პოსტისთვის. ამ კვირის დასაწყისში მან „ლელოს" უთხრა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად რამდენიმე დღე სჭირდება. ამასობაში, კანდიდატთა წარდგენის ვადა იწურება - 26 სექტემბერს ბოლო დღეა. ასე რომ, გუცაევს ფიქრისთვის ბევრი დრო არ აქვს. დავინტერესდით მისი პოზიციით და ინტერვიუ ვთხოვეთ...

**- საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგიღიათ? კანდიდატთა წარდგენის ვადა იწურება...**

- მივიღებ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას, ამაზე ჯერ ისევ ვფიქრობ, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. პარასკევი და შაბათი ჯერ კიდევ წინაა და ვნახოთ...

**- საარჩევნო კამპანიისთვისაც დრო ცოტა გრჩებათ. ჯერჯერობით, ერთადერთი რეგისტრირებული კანდიდატი ზვიად სიჭინავაა, რომელმაც საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. ეს არ გაფიქრებთ?**

- კი, სამწუხაროდ დრო ბევრი არ არის, მაგრამ თუ გადაწყვეტილებას მივიღებ, შეხვედრებს მეც დავიწყებ. ქართული საფეხბურთო სამყარო კარგად მიცნობს, ყველამ იცის ჩემი განვლილი გზა, პრინციპულობაც და ისიც, რომ საქმის კეთება შემიძლია. ეს წლების განმავლობაში არაერთხელ დამიმტკიცებია ფეხბურთში, სადაც სხვადასხვა პოსტზე ვმუშაობდი. ასე რომ, ქართულმა საფეხბურთო სამყარომ იცის, ვის რისი გაკეთება შეუძლია.

**- ზვიად სიჭინავაზე რა აზრისა ხართ?**

- ის ახალი კაცია ქართულ ფეხბურთში, თუმცა ერთი კარგი საქმის გაკეთება მაინც მოასწრო - ზუგდიდში ჩინებული ბაზა ააშენა. რა თქმა უნდა, ეს მისასალმებელი ფაქტია, ქართულ ფეხბურთს მშვენიერი ბაზა და სტადიონი შემატა, მაგრამ ჩვენი ფეხბურთი მეტად სავალალო მდგომარეობაშია და კრიზისიდან გამოსასვლელად გაცილებით მეტია საჭირო. ერთი სიტყვით, ზვიად სიჭინავაზე საკმაოდ კარგი წარმოდგენა მაქვს... მას მეტის გაკეთების სურვილი აქვს და ეტყობა, ამიტომაც გადაწყვიტა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის ბრძოლა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ახალ პრეზიდენტს დრო ცოტა ექნება, ამ დროს კი დიდ საქმესთან მოუწევს შეჭიდება. ვინც უნდა მოიგოს 1-ელ ოქტომბრის არჩევნები, სახელმწიფოს დახმარების გარეშე ძალიან გაუჭირდება.

> ის ხალხი, ვინც ცოტა ხნის წინ ამბობდა, ჩვენი ფეხბურთი წინ მიდისო, ახლა ახალკაცის გადადგომაზე ამბობს, აუცილებელი იყოო...

**- ხშირად ამბობენ, ხელისუფლება ქართულ ფეხბურთს კი უნდა დაეხმაროს, მაგრამ მის საქმიანობაში არ უნდა ჩაერიოსო. ხელისუფლებაში თავადაც იყავით და როგორ ფიქრობთ, ამჯერად ჩაერევა?**

- გაზეთებს სისტემატურად ვკითხულობ და ეს შიში აშკარად იგრძნობა, მაგრამ არა მგონია, ასე მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ არჩევნებში არავის ლობირებენ და არც ჩაერევიან. ისე, მძიმე მდგომარეობაში მყოფ ჩვენს ფეხბურთს თავისუფალი არჩევნები ძალიან სჭირდება. ვიმედოვნებ, ამას ხელისუფლებაც კარგად ხვდება და ამიტომაც მაქვს იმედი, რომ არჩევნების დროს ზეწოლა არ იქნება.

**- ისე ჩანს, რომ ზვიად სიჭინავა უკონკურენტოა და არჩევნებს ადვილად მოიგებს...**

- ჯერჯერობით უკონკურენტოა, რადგან სხვა კანდიდატი არ არის რეგისტრირებული. თუმცა არა მგონია, მთლად ასე მარტივად იყოს საქმე. ვიცი, რომ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი სხვებსაც აქვთ, მაგრამ მათ ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ. გამარჯვება არავის აქვს გარანტირებული.

**- ნოდარ ახალკაცის გადადგომაზე რას იტყოდით?**

- ეს მოსალოდნელი იყო და ამას ჯერ კიდევ წლების წინ ვამბობდი - ზოგი მეთანხმებოდა, ზოგი - არა. ნაწილი ამბობდა, ჩვენი ფეხბურთი წინ მიდისო და ახლა ის ხალხი ახალკაცის გადადგომაზე ამბობს - აუცილებელი იყოო. მოკლედ, მე ამას ველოდი.

**- როგორ ფიქრობთ, დროის სიმცირის გამო კანდიდატები რამდენად მოასწრებენ ამომრჩევლებისთვის საკუთარი პროგრამის გაცნობას?**

- დრო ბევრი არ არის, მაგრამ ის კი შესაძლებელია, რომ დელეგატები კონცეფციებს გაეცნონ. თუმცა ამ შემთხვევაში არა მგონია, მხოლოდ პროგრამას მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ყველას შეუძლია იდეალური პროგრამის დაწერა, მაგრამ საქმეა მთავარი. ვფიქრობ, ამ არჩევნებში უპირატესობა საქმის მკეთებელ ხალხს მიენიჭება, ჰოდა იმედი მაქვს, არჩევნებს ის მოიგებს, ვინც მოკლე ხანში შეძლებს საქმის გაკეთებას. ქართულ ფეხბურთს დღეს სწორედ ასეთი კაცი სჭირდება.

**- ამომრჩევლებს უთუოდ დააინტერესებთ ისიც, თუ როგორი ხედვა ექნება კანდიდატს ეროვნული ნაკრების მწვრთნელთან მიმართებაში. როგორ უპასუხებდით ამ კითხვას თქვენ?**

- ჩემი აზრით, ამ საკითხში აჩქარება მართებული არ იქნება. მთავარია, ძველი შეცდომები აღარ დავუშვათ და არ გადავყაროთ მილიონები ისეთ მწვრთნელებში, რომელთაც სამწვრთნელო პიკი 7-8 წლის წინ ჰქონდათ. სწორედ ასეთი იყო კლაუს ტოპმიოლერი. ის საქართველოში არ ცხოვრობდა და აქ მხოლოდ ნაკრების მატჩებამდე 3-4 დღით ადრე ჩამოდიოდა. კუპერსაც არ აქვს შედეგი და ამ პროექტმაც არ მოგვიტანა სარგებელი... ასე რომ, ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრება გვჭირდება. ამაზე ქართულმა საფეხბურთო სამყარომ, გამოცდილმა, პროფესიონალმა ხალხმა უნდა იმსჯელოს და ამ მსჯელობით გადაწყდება, ქართველი იქნება თუ უცხოელი. ამას გარდა, ხელისუფლებასთან კონსულტაციებიც აუცილებელია. სახელმწიფოს მხრიდან ფეხბურთის დახმარება უნდა გაგრძელდეს. თუმცა ფედერაციის ახალი თავკაცი მხოლოდ ხელისუფლების იმედზე არ უნდა იყოს, მან თავადაც უნდა შეძლოს ინვესტიციების მოზიდვა. ოთხი წლის წინ, როცა ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩავერთე, ინვესტიციების მოზიდვას ჩემს პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა...

**დავით ცაბაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

### დუბლიორთა ჩემპიონატი

VI ტური

**ბაგრა-სამტრედია 0:0**

არბიტრი: ხ. გაგნიძე

**სპარტაკი-ვიტ ჯორჯია 0:0**

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**ზესტაფონი-დინამო(თბ) 2:2**

1:0 ჩიხლაძე (11), 1:1 ოთარაშვილი (35), 1:2 ქანთარია (76), 2:2 რ. ნინამძღვრიშვილი (78-პენ)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**ოლიმპი-სიონი 1:3**

1:0 რეხვიაშვილი (47-პენ), 1:1 ოქროპირიძე (54-პენ), 1:2 ლ. ჩხეტიანი (61), 1:3 გ. ტუხაშვილი (73)

არბიტრი: ბ. გლუშჩუკი

**ლოკომოტივი-ბაია 2:0**

1:0 ბეგლარიშვილი (42), 2:0 ვაშაკიძე (43)

არბიტრი: ო. ხეცაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 6 | 4 | 0 | 2 | 11-9 | 12 |
| 2. ბაგრა | 6 | 3 | 2 | 1 | 19-6 | 11 |
| 3. ზესტაფონი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 10 |
| 4. ოლიმპი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-12 | 9 |
| 5. დინამო | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 6. სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 13-11 | 7 |
| 7. სპარტაკი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-18 | 7 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 9. სამტრედია | 6 | 1 | 2 | 3 | 7-8 | 5 |
| 10. ბაია | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |

### მეორე ლიგა. V ტური

დასავლეთის ზონა

| | |
|---|---|
| სამგურალი-ბახმარო | 3:1 |
| ადელი-ტორპედო2 | 2:1 |
| ჩხერიმელა-დინამო (ქთ) | 2:1 |
| სქური-იმერეთი | 2:1 |
| სულორი-ჩიხურა 2 | 3:1 |
| ქ. ტორპედო-დინამო (ბთ) | 2:1 |
| გურია 2-მარგვეთი | 1:0 |

*საირმე ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადელი | 5 | 5 | 0 | 0 | 12-4 | 15 |
| 2. იმერეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 16-9 | 9 |
| 3. ბათუმი 2 | 5 | 3 | 0 | 2 | 7-5 | 9 |
| 4. გურია 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 5. სამგურალი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-7 | 8 |
| 6. ჩიხურა 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 9-9 | 7 |
| 7. ბახმარო | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 8. სულორი | 5 | 1 | 3 | 1 | 9-9 | 6 |
| 9. მარგვეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-5 | 6 |
| 10. ტორპედო 2 (ქ) | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| 11. ქ. ტორპედო | 4 | 1 | 2 | 1 | 7-8 | 5 |
| 12. საირმე | 4 | 1 | 1 | 2 | 8-8 | 4 |
| 13. სქური | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 14. ჩხერიმელა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-13 | 4 |
| 15. დინამო (ქთ) | 5 | 0 | 0 | 5 | 4-13 | 0 |

### ჭაბუკთა ლიგა

1992-93

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 13-6 | 9 |
| 2. ბაია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-4 | 7 |
| 3. ოლიმპი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 4. ბაგრა | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 6. ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 8-9 | 4 |
| 5. სამტრედია | 3 | 1 | 1 | 1 | 8-6 | 4 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 8. სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 9. ლოკომოტივი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 10. სიონი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |

1994-95

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 2. ბაია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 7 |
| 3. სპარტაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| 4. დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| 5. ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 6. სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 7. სამტრედია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 8. ზესტაფონი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-8 | 2 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 10. ბაგრა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

### გასწორება

გუშინდელი ნომრის სტატიაში „ფედერაციის ორი ვიცე-პრეზიდენტი გარკვეულია?", მექანიკური შეცდომა გაიპარა - უნდა ყოფილიყო „ფირცხალავა ნებისმიერ შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაციაში იმუშავებს".

# გულშემატკივრები შეხვედრისთვის ემზადებიან

## კიდევ კარგი, თუთბერიძე არ დაგვინიშნესო...



ქართული სპორტის გულშემატკივართა კავშირი „შევარდენი" საფეხბურთო სამყაროსთან შეხვედრისთვის ემზადება. წინასწარ იყო გაცხადებული, რომ შეხვედრა 25 სექტემბერს ტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართებოდა. თუმცა, ეროვნული ჩემპიონატის ტურის გამო, სამი საათით ადრე, 12:00 საათზე გადაიტანეს.

„შეხვედრაზე ვეტერანი ფეხბურთელები და სპეციალისტები დავპატიჟეთ და თითოეული მათგანი მოსვლას დაგვთანხმდა - ჩვენი სტუმრები იქნებიან ილია დათუნაშვილი, ნუკრი კაკილაშვილი, გრიგოლ ცაავა, ირაკლი ზოიძე, რეზო და აჩიკო არველაძეები, გოჩა ჯამარაული, მურთაზ შელია, ლევან ყიფიანი, ნიკა ჩხეიძე, გუბაზ დოლიძე, „ვიტ ჯორჯიის" პრეზიდენტი გურამ რუხაძე, „ლოკომოტივის" პრეზიდენტი ლექსო თოფურია, გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე. 17-წლამდელთა მთავარ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს დასწრების სურვილი ჰქონდა, მაგრამ პარასკევს მისი ნაკრები თამაშობს და მოსვლას ფიზიკურად ვერ ახერხებს.

ზვიად სიჭინავას ჩვენი ზარი ძალიან გაუხარდა და მთელი საარჩევნო შტაბით გამოცხადებას შეგვპირდა - ველოდებით ალექსანდრე ჩივაძეს, მურთაზ ხურცილავას, რეზო ჩელებაძეს, სერგო კოტრიკაძეს, გია ფირცხალავას, ოთარ გაბელიას და ა.შ.

თუმცა, შეხვედრაზე ენის მოჩლექას არ ვაპირებთ და ჩვენი ფეხბურთის ყველა სატკივარსა და მიმდინარე პროცესებზე გულახდილი ლაპარაკი გვსურს", - გვითხრა „შევარდენის" ვიცე-პრეზიდენტმა **სანდრო ხასიამ.**

გარდა „შევარდენისა", შეხვედრის ორგანიზატორი ვერისბაღელი გულშემატკივრები არიან. აი, რა გვითხრა ერთ-ერთმა ვერისბაღელმა გულშემატკივარმა **დევი დობორჯგინიძემ:**

„ჩვენი პოზიცია მკაფიოა - ფედერაციის პრეზიდენტი უნდა აირჩიონ და არა დანიშნონ. ზვიად სიჭინავა, შესაძლოა, ძალიან კარგი ადამიანია. ზუგდიდში, სადაც ფეხბურთი მკვდარი იყო, უამრავი კეთილი საქმე გააკეთა, გუნდი ჩამოაყალიბა, სკოლა გახსნა, მშვენიერ ბაზას აშენებს და ა.შ. ბოლო წლებში დასავლეთ საქართველოში უამრავი მოედანი და სტადიონი რომ დააქციეს, თქვენი აზრით, ეს შემთხვევითი ამბავია? ეს იყო მიზანმიმართული ნგრევა. ამ ყოველივეს შემდეგ სტადიონებისა და ბაზების ამშენებელი ადამიანის წინააღმდეგი როგორ ვიქნებით, შეუძლებელია, არ დავაფასოთ და მასზე ცუდი ვთქვათ. სხვათა შორის, სიჭინავას გაკეთებულ საქმეებს ორი თუ სამი თვის წინ „ლელოში" გავეცანი. ამ დროს ეკლესიაში მივდიოდი. წმინდა სამების ტაძარში ჩემი შვილიშვილებისთვის სამი სანთელი დავანთე - ერთი კი სიჭინავას სახელზე, ღმერთო, გვიმრავლე ასეთი ხალხი-მეთქი. თუმცა არჩევნებში უხეში ჩარევა და დანიშვნა მიუღებელია. თან, ვინ გვინიშნავს? უცოდინარი, გაუნათლებელი ხალხი. კიდევ კარგი, რომ პრეზიდენტად თეა თუთბერიძე არ დაგვინიშნა. ვეტერანებს, სპეციალისტებსა და საფეხბურთო სამყაროს ასეთი დაქსაქსულობა არ შეეფერება, დანარჩენს კი ხვალ ვიტყვი".

**მერაბ მამულაშვილი**

არჩევნების წინ

# არველაძე დღეს იტყვის

## ზვიად სიჭინავა ნიკა ლეკიშვილს შეხვდა



რევაზ არველაძე

ფეხბურთის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ფედერაციის გენერალურ სამდივნოში **ზვიად სიჭინვას** შემდეგ არავინ დარეგისტრირებულა. „ბაიას“ პრეზიდენტი კი წინასაარჩევნო კამპანიას აგრძელებს. სიჭინავა გუშინ რეგიონული ფეხბურთის ფედერაციების თავკაცებს შეხვდა. რეგიონებიდან შეხვედრას მხოლოდ ორი, რაჭისა და კახეთის ფედერაციის ხელმძღვანელები, შესაბამისად **გია შარაბიძე** და **გოჩა როსტომაშვილი** არ ესწრებოდნენ. თუმცა როგორც გავიგეთ ორივეს საპატიო მიზეზი ჰქონდა, მათ ახლობელი გარდაეცვალათ და მიზეზი ზვიად სიჭინავას საარჩევნო შტაბს წინასწარ აცნობეს. შეხვედრა საათზე მეტხანს გაგრძელდა და ლაპარაკის შემდეგ სიჭინავამ შემდეგი განაცხადა.

*„იმ პრობლემებზე ვისაუბრეთ, რომელიც რეგიონული ფეხბურთის ფედერაციებს აწუხებთ. ყველა საკითხი გავიარეთ, პრობლემები ჩავინიშნე და არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მისი მოგვარებისთვის ვიზრუნებ...*

*ფეხბურთის ფედერაციის კიდევ 6 სუბიექტი დამრჩა, რომელსაც არ შევხვედრივარ. მათ შორისაა პროფესიული ფეხბურთის ლიგა, რომელიც, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია. უახლოეს დღეებში ყველას ვნახავ“*, - აღნიშნა ზვიად სიჭინავამ.

საგულისხმოა ისიც, რომ სიჭინავასა და პრეზიდენტობის პოტენციურ კანდიდატ **ნიკა ლეკიშვილს** შორის შეხვედრა შედგა. შეგახსენებთ, რომ ნიკა ლეკიშვილმა „თბილისი მარიოტში“ მედიასთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ზვიად სიჭინავას შეხვდებოდა და შეეცდებოდა, პრეზიდენტობის კანდიდატე-



ზვიად სიჭინავა

ბი თავისი პროგრამის ირგვლივ გაეერთიანებინა. „ბაიას“ პრეზიდენტს რა თქმა უნდა, ამაზეც ვკითხეთ.

*„დიახ, ნიკა ლეკიშვილმა შეხვედრა მთხოვა და ვისაუბრეთ. თავისი პროგრამა გამაცნო, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წელს შეუმუშავებია. მონდომება არ აკლია, მაგრამ გამოცდილებაზე იმავეს ვერ ვიტყვი. აშკარად ეტყობა, რომ გულით უყვარს ფეხბურთი... მან მითხრა, რომ საკუთარ კანდიდატურას წამოაყენებს და ამ დღეებში გაივლის რეგისტრაციას... ჩვენ ერთზე შევთანხმდით, თუ ის მოიგებს არჩევნებში, 2 ოქტომბერს ფედერაციაში მივალ და წარმატებას მივულოცავ, თუ არადა, ის მომილოცავს*, - გვითხრა სიჭინავამ.

რაც შეეხება მის დღევანდელ გეგმებს. ზვიად სიჭინავა დღეს ფეხბურთის გულშემატკივრებს ტექნიკური უნივერსიტეტის (მე-6 კორპუსი გიორგი სააკაძის მოედანზე) სააქტო დარბაზში, სავარაუდოდ, 12 საათზე შეხვდება. მას სურს, ეროვნული ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩს დაესწროს და თუ მოასწრებს, გეზს იმერეთისკენ აიღებს, სადაც „ზესტაფონი“-“ოლიმპის“ შეხვედრა 16 საათზე გაიმართება.

დაბოლოს, რა თქმა უნდა, დავინტერესდით, თუ როდის გაიზრდება არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა. ნიკა ლეკიშვილის გარდა, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი აქვს **ვლადიმერ გუცაევს** და პასუხს დღეს-ხვალ იტყვის. **რევაზ არველაძეც** ფიქრობს არჩევნებზე და როგორც გავიგეთ, საბოლოო გადაწყვეტილებას დღეს გაახმოვანებს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი



# კალაძე: მეტი აგრესია

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ **კახა კალაძე** „მილანის“ ძირითად შემადგენლობას მყარად დაუბრუნდა. „ბოლონიასთან“ სასტარტოში გამოჩენისა და სრულად თამაშის შემდეგ, ქართველმა მწვრთნელმა „მილანის“ თავკაც ლეონარდოს მოწონება დაიმსახურა და ჟურნალისტებმაც კარგად შეაფასეს მისი გარჯა. შესაბამისად, „უდინეზესთან“ გასვლით შეხვედრაში კალაძეს კვლავ ძირითადში ელოდნენ და ასეც მოხდა.

სამწუხაროდ, „როსონერი“ უდინეში 1:0 დამარცხდა და ახლა ცხრილში მე-11 ადგილზეა. კახა კალაძის თამაში სხვადასხვა სააგენტომ სხვადასხვაგვარად შეაფასა - დაწყებული 5.5-დან და 6.5-ით დამთავრებული. თავად კალაძემ კი განვლილ შეხვედრაზე „მილან ჩენელთან“ ისაუბრა და თანაგუნდელებს მეტი აგრესიულობისკენ მოუწოდა:

*„მილანმა“ ეს თამაშიც კარგად ჩაატარა, მაგრამ, სამწუხაროდ, სასურველი შედეგი ვერ მივიღეთ. ბურთს უმთავრესად ჩვენ ვაკონტროლებდით, მაგრამ მეტოქის კარს დარტყმებით ისე არ ვემუქრებოდით, რამდენის შესაძლებლობაც გვქონდა. უმჯობესი იქნებოდა, ჩვენი გუნდის ფეხბურთელები სასტარტო წუთებიდანვე კონცენტრირებული ყოფილიყნენ და საჯარიმოების შესრულების გარდაც არაერთხელ დაერტყათ მეტოქის კარში. მეტოქის კარის სიახლოვეს მეტად ცივსისხლიანები, აგრესიულები უნდა ვყოფილიყავით... სამწუხაროა ის, რომ ამ შეხვედრაში ქულაც ვერ ავიღეთ და გათამაშების ცხრილში მეორე ნახევარში ვართ. თუმცა წინ კიდევ ხანგრძლივი სეზონია. მომდევნო შეხვედრებში ჩვენმა გუნდმა მებრძოლი ხასიათი უნდა გამოავლინოს, მეტოქის კართან მეტად აგრესიული ვიყოთ და შედეგიანად ვითამაშოთ“.*

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ლევან ყიფიანთან

# რა აზრი აქვს კანდიდატურის წამოყენებას?

## ჩვენი ფეხბურთი სიმართლეს სტუმრის სტატუსით იტყვის

**ორგანიზაცია “ჩვენი ფეხბურთი” “ფიფპროს” (ფეხბურთელთა და მწვრთნელთა საერთაშორისო პროფკავშირები) კონგრესზე მიიწვიეს და შესაძლოა, მალე მისი წევრი გახდეს. ამის თაობაზე ორგანიზაციის დამფუძნებელი ლევან ყიფიანი გველაპარაკება. ბუნებრივია, საარჩევნო თემებსაც ვერ ავცდით.**

- 17-22 ნოემბერს ბუდაპეშტში “ფიფპროს” კონგრესი გაიმართება. მოთამაშეთა და მწვრთნელთა პროფკავშირები მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა და ფიფასთან და უეფასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. კონგრესზე “ჩვენი ფეხბურთის” დამფუძნებლები სტუმრის სტატუსით მიგვიწვიეს. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციაში საქართველო დღემდე არ იყო გაწევრებული. ხსენებულ ორგანიზაციასთან პარტნიორობისთვის მხოლოდ “ჩვენი ფეხბურთის” დაარსების შემდეგ გადაიდგა რეალური ნაბიჯები. “ფიფპროში” გასაწევრებლად შვეიცარიის პროფკავშირების წარდგენა დაგვჭირდა, რაზეც შვეიცარიელები დაგვეთანხმდნენ.

ჩვენ არავისზე ნაკლები პრობლემა არ გაგვაჩნია და ამიტომაც მიმაჩნია, რომ საქართველოში მოთამაშეთა და მწვრთნელთა ქმედუნარიანი პროფკავშირები დიდი ხნის წინ უნდა დაარსებულიყო.

**- “ფიფპროს” სრულუფლებიანი წევრი როდის გახდებით?**

- ალბათ, ამ კონგრესზე გაგვაწევრებენ.

**- აქამდე რატომ ვერ გაწევრდით?**

- ახალ წევრებს მხოლოდ კონგრესზე იღებენ.

**- ფედერაციის არჩევნების თემას ვერ ავცდებით. რამდენიმე წყარო ამტკიცებს, რომ ზვიად სიჭინავას გუნდმა ახალ ფედერაციაში ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების ხელმძღვანელობა შემოგთავაზათ.**

- ცოტა სხვაგვარადაა საქმე: ზვიად სიჭინავა მონადინებულია, რომ “ჩვენი ფეხბურთის” წარმომადგენლებს შეგვხვდეს და გაგვიცნოს, შეთავაზება კი არ მიგვიღია.

**- არადა, ამ ფაქტს რამდენიმე წყარო ამტკიცებს.**

- არა, შეთავაზება არ მქონია, თორემ დასამალი რა არის?!

**- სიჭინავასთან რა საკითხებზე უნდა ისაუბროთ?**

- გვსურს, ყველა მნიშვნელოვან პრობლემასა და ფედერაციის ყრილობის გადადებაზე ველაპარაკოთ.

**- დღევანდელი გადასახედიდან ეს არარეალური ჩანს.**

- ჩვენ ამაზე აუცილებლად ვკითხავთ აზრს. ქართულ ფეხბურთში ყველაფერი შესაცვლელია. თუკი სიჭინავა ყველაფერს გააკეთებს იმასათვის, რომ არჩევნები დემოკრატიულ საარჩევნო პირობებსა და გარემოში გაიმართოს, დელეგატების რაოდენობას გაზრდის, ყველა სუბიექტს ხმის უფლებას დაუბრუნებს, საარჩევნოდ აუცილებელ ნორმალურ გრაფიკს ალადგენს, ყველა კანდიდატს თანაბარ პირობებს შეუქმნის და ა.შ, ჩავთვლით, რომ თანამშრომლობა სურს.

ამას ახლა თუ ვერ მოახერხებს, საარჩევნო კანონმდებლობის ცივილიზებულ ნორმამდე მისაყვანად, პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი წელიწად-ნახევარი უნდა გამოიყენოს. ამას ჩვენთვის კი



ლევან ყიფიანი

არ ვითხოვთ, ეს ფეხბურთის განვითარებისთვისაა იდეალური ვარიანტი.

**- საბოლოოდ რა გადაწყვიტეთ, წამოაყენებს “ჩვენი ფეხბურთი” საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატურას? ვადა ხვალ, 26 სექტემბერს იწურება.**

- ეს ჯერ არ გადაგვიწყვეტია. ახალკაცმა გადადგომამდე გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო. თავის მოტყუებაა ასეთ მჭიდრო ვადებში არჩევნებში მონაწილეობა, ნორმალურად სუბიექტებთან შეხვედრასა და პროგრამის გაცნობასაც ვერ მოვასწრებთ. ყველა კანდიდატი თანაბარ მდგომარეობაში არ იმყოფება და ესეც ყველამ იცის.

**- თქვენი საუბრიდან გვრჩება შთაბეჭდილება, რომ კანდიდატურის წამოყენებას არ აპირებთ.**

- ჯერ კიდევ გაურკვეველი ვითარებაა... ალბათ, არ წამოვაყენებთ. ჩვენ სტუმრის სტატუსით დასწრების უფლება გვაქვს და შესაძლოა, მხოლოდ ამას დავჯერდეთ. რა აზრი აქვს კანდიდატურის წამოყენებას, როდესაც ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი? სტუმრის სტატუსსაც მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის გამოვიყენებთ, რომ ყრილობის დელეგატებს უფრო კარგად და ვრცლად ავუხსნათ, რას ვთავაზობთ და საერთოდ, რა გვინდა. ყველამ უნდა გაითავისოს, პრეზიდენტი რაც უფრო მეტი დელეგატის არჩეულია, მით უფრო მეტია ლეგიტიმაციის ხარისხი. ჩვენ დელეგატებს უნდა ვუთხრათ სიმართლე.

ისევ ხმების საკითხს დავუბრუნდები. გადავხედოთ დღევანდელ ვითარებას: უმაღლესი ლიგის 10 გუნდი 10 ხმას ფლობს, პირველი ლიგის 14 კლუბი კი მხოლოდ ერთს, ამ შემთხვევაშიც, მათი ხმით ყრილობაზე პროფესიული ფეხბურთის ლიგაა დელეგირებული. ალარაფერს ვამბობ რეგიონალლიგის 30-დე გუნდის დავიწყებაზე. ისედაც კატასტროფულად შემცირდა გუნდების რაოდენობა და მათთვის ხმის უფლების დაბრუნება რატომ არის მიუღებელი? ვითხოვდით, იმავე საფეხბურთო სკოლებისთვის მიეცათ დელეგატის წარდგენის უფლება, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს.

რომ დაითვალოთ, ფედერაციის სუბიექტთა რაოდენობა მაქსიმუმ 150-დე თუ გაიზრდება. სხვათა შორის, ჩვენი პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი რეგიონული ფედერაციების სტატუსის გაზრდაა. დღეს მათ რეალური ფუნქცია არც გააჩნიათ, არადა, მათი ამოქმედებით ქართული ფეხბურთის გაცილებით დიდი რესურსი გამოჩნდებოდა. ეს ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი საკითხია და წესით, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის მისაღებიც უნდა იყოს.

ჩვენ მიერ შეთავაზებული ცვლილებები ზვიად სიჭინავასაც უნდა აძლევდეს ხელს, რომელმაც თავისი ქალაქისთვის დიდი საქმე გააკეთა, ახლა კი პასუხისმგებლობას ქართული ფეხბურთის განვითარებაზე იღებს. ყველა სუბიექტი ამბობს, რომ საარჩევნო კანონმდებლობა არასრულყოფილია და ამას არავინ ეწინააღმდეგება. მაშინ, მოდი, რა, ყველამ ერთად შევცვალოთ! ვისი ან რისი გვეშინია? ეს რაღაც გაუგებარი მოჯადოებული წრეა, რომელიც ვერა და ვერ გადავლახეთ და ვერ ვხვდებით, რომ ხელს გვიშლის.

**მერაბ მამულაშვილი**

ქალთა ფეხბურთი

U 19 ევროპის ჩემპიონატი

# 3 წაგება, 0:23

ქალ 19-წლამდელთა შორის, ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, გუშინ ჩვენი ჯგუფის მატჩები დასრულდა. ჩვენს ჯგუფში შეხვედრებს თურქეთმა უმასპინძლა და დასკვნით ტურშიც თურქებს ვეთამაშეთ. თუმცა მანამდე, ჩვენი ნაკრები ფრანგებთან 7:0 დამარცხდა, სერბეთთან 3:0 წავაგეთ, ბოლო მატჩში კი მასპინძლებმა ასტრონომიული ანგარიშით 13:0 დაგვამარცხეს. ჯგუფის პირველ-მეორე ადგილები, შესაბამისად საფრანგეთმა და თურქეთმა გაიყვეს და ელიტრაუნდშიც ისინი გავიდნენ.

ჩვენმა გუნდმა ჯგუფურ რაუნდში შემდეგი შემადგენლობით ისპარეზა: **ჭაჭაშვილი, ხაჩიძე, ესიტაშვილი, ჯოხაძე, ლორთქიფანიძე, ნ. მესხიძე, პასიკაშვილი, სუთიძე, თოდაძე, ხვედელიძე, კოჭლამაზაშვილი, ლომიძე, გამცემლიძე, მ. მესხიძე, მუმლაძე, პატარაია, სალუქვაძე, ტატუაშვილი, გუჯარაული, გორგიაშვილი, კვალიაშვილი, კვარაცხელია.**

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლიგა BBVA. IV ტური

# რესინო ხელშეუხებელია

## რაულისა და რონალდოს რეკორდები, სუარესი ბარსაში, რეალ პარკი და პრიმერას ჩინური დრო

გაახაროს ღმერთმა ჩინელები, იმდენნი არიან, რომ უკვე ყველა ითვალისწინებს მათ ინტერესებს, მათ შორის... ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგაც. ლფპ-ს გენერალურმა დირექტორმა **ფრანსისკო როკამ** განაცხადა, რომ, შესაძლოა, ჩინური აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით ტურის მატჩების ნაწილი ნაშუადღევს, 3 საათზე დაიწყოს და ეს ცვლილება ალბათ წლეულსვე განხორციელდება. ჩინეთში ევროპული საფეხბურთო ლიგებიდან ყველაზე პოპულარული ინგლისური პრემიერლიგაა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ინგლისში თამაშები გაცილებით ადრე იწყება და ჩინეთში მათი ნახვის საშუალება აქვთ. ბუნებრივია, ეს ცვლილება ჩინელ გულშემატკივართან ერთად ქართველებსაც აწყობს.

კიდევ ერთი სიახლე: ის ჩინელებს არ უკავშირდება, მისი ინიციატორი „რეალის" პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესია**. გადაწყვეტილია, რომ მადრიდში მალე „რეალის" თემატური პარკი აშენდება. „მარკას" ცნობით, მადრიდში, კერძოდ ვალდებებასში (დედაქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი) 110 ჰექტარი გამოყოფილია პარკის ასაშენებლად. *„რეალის პარკი ყოველწლიურად მილიონობით ტურისტს მიიზიდავს. დამთვალიერებლები შესანიშნავად გაიგებენ, რას წარმოადგენს კლუბი"*. მოკლედ, პერესი ხარჯებს არ ერიდება, ასეთი პარკის მშენებლობა, სავარაუდოდ, 150 მილიონი ევრო დაჯდება. ამის შემდეგ პერესის იდეით „რეალის" თემატური პარკები მაიამისა და პეკინშიც გაჩნდება. მადრიდში სამშენებლო სამუშაოები მაისიდან დაიწყება.

საფეხბურთო თემებს რომ არ ავცდეთ, კვლავ მადრიდულ კლუბს დავუბრუნდეთ - „რეალის" კაპიტანმა **რაულ გონსალესმა** ოთხშაბათს „ვილიარეალთან" მატჩში რეკორდი გაიმეორა. ის „ვილიარეალთან" საგარეო მატჩის 64-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე. რაულმა კარიერაში 524-ედ მოირგო პრიმერა დივიზიონში „სამეფო კლუბის" მაისურა. ამით ფორვარდმა „რეალის" ლეგენდის, **მანუელ სანჩისის** რეკორდი გაიმეორა. სანჩისი „რეალში" 1983-2001 წლებში თამაშობდა. ახლა რაული სანჩისის კიდევ ერთ რეკორდს შეუტევს, მას სამი მატჩილა დარჩა „რეალის" რიგებში 710-ე (ყველა ოფიციალური შეხვედრა) თამაშის გამართვამდე, რაც სწორედ სანჩისის რეკორდია. *„ძალზე გახარებული ვარ, რომ ასეთი სახის პირადი რეკორდი გავიმეორე, ეს მართლაც საამაყოა, მაგრამ უკვე მხოლოდ შემდეგ მატჩზე და მომავალ მეტოქეზე ვფიქრობ"*, - განაცხადა რაულმა „ელ მადრიგალის" მატჩის დამთავრების შემდეგ.

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულმა ფეხბურთელმა **კრიშტიანო რონალდომ** კი „რეალის" ისტორიის ერთი კარი უკვე დაწერა - აღმოჩნდა, რომ აქამდე არავის გაუტანია „რეალის" შემადგენლობაში თავის პირველ ოთხ მატჩში ზედიზედ. სარეკორდო გოლი რონალდომ „ვილიარეალთან" მატჩის მეორე წუთზე გაიტანა.

უქმეებისთვის „სამეფო კლუბს" ხანგრძლივი დისკვალიფიკაციიდან მცველი **პეპე** უბრუნდება. აპრილში „ხეტაფეს" წინააღმდეგ პორტუგალიელ მცველს ნერვული შეტევა მოუვიდა - მან საჯარიმოში ორჯერ ჩაარტყა ფეხი მეტოქეს, შემდეგ ხელი დაარტყა **ხუან ალბინს** და მატჩის მე-4 მსაჯზე გაიწია. ბოლოს გაგდებული პეპე მოედანზე უცერემონიოდ დაბრუნდა... მეტოქის კარში გატანილი გოლის საზეიმოდ. შედეგად, პეპეს ფეხბურთის თამაში 10 კალენდარული მატჩით აუკრძალეს. *„მადლობას გადავუხდი ჩემს კლუბს გვერდში დგომისთვის, ხუთი თვის განმავლობაში უთამაშებლობა ძალიან ძნელი გადასატანი იყო და ამაში თანაგუნდელები დამეხმარნენ. ახლა ყველას ვაჩვენებ, როგორი ფეხბურთელი ვარ და როგორ ვიქცევი მოედანზე"*, - განუცხადა „რეალის" ოფიციალურ საიტს პეპემ. პორტუგალიელმა „ელ მუნდო დეპორტივოს" განუცხადა, რომ ერთი სული აქვს, როდის ითამაშებს თანამემამულე კრიშტიანო რონალდოსთან ერთად, რომელიც, მისი აზრით, წლეულს ოქროს ბურთს იმსახურებს.

„ვილიარეალთან" მატჩში „რეალის" რიგებში პირველი გოლი გაიტანა „მილანიდან" გადასულმა **კაკამ**. *„გახარებული ვარ, რომ ახალ კლუბში ბოლოს და ბოლოს პირველი გოლი გავიტანე. გულშემატკივრებს ვარწმუნებ, რომ უკეთ თამაში შეგვიძლია და „რეალი" კიდევ მოუმატებს, მაგრამ მთავარია, რომ გავიმარჯვეთ და სამი ქულა მოვიპოვეთ"*, - განუცხადა „დიარიო AS-ს" ბრაზილიელმა ვარსკვლავმა.

„ვილიარეალთან" მატჩში „რეალს" ნამდვილად არ უთამაშია კარგად, ამიტომაც გუნდის ჩილელმა თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმ** შეხვედრის იმ ასპექტებზე გაამახვილა ყურადღება, რაშიც „რეალმა" მართლა იყოჩაღა: *„ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ გუნდზე, რომელიც შესანიშნავად თამაშობს. სანამ გუნდები თანაბარი შემადგენლობებით იყვნენ, მეტოქეს მაშინაც ვჯობდით. მინდა აღვნიშნო გუნდის შესანიშნავი თამაში დაცვაში, ახლა უფრო ბუნებრივად ვთამაშობთ, ვიდრე სეზონის პირველ მატჩებში, ორი შეხება და ნაკლები უაზრო სირბილი"*, - უთხრა „მარკას" პელეგრინიმ.

ამასობაში სულ უფრო ხშირად ახსენებენ საქართველოში დაბადებული **ალან ძაგოევის** სახელს მადრიდულ კლუბთან მიმართებაში, „სპორტ ექსპრესი" წერს, რომ ცსკა-ს ახალგაზრდა ვარსკვლავი დეკემბერში მოაწერს ხელს „ლოს ბლანკოსთან" წინასწარ შეთანხმებას. დაბოლოს, „რეალის" თემას „გოლის" შეფასებებით ამოვწურავთ - ყველაზე კარგი შეფასება, 8 ბალი კრიშტიანო რონალდოს დაუწერეს. 7,5-7,5 ქულა მიიღეს **რაულ ალბიოლმა და გუტიმ**. ყველაზე დაბალი შეფასება, შეცვლაზე შესულ რაულს დაუწერეს - 5.

„რეალიდან", რა თქმა უნდა, „ბარსელონას" მივადექით. „ელ მუნდო დეპორტივომ" გუშინ მთელ ესპანეთს ამცნო, რომ „ბარსელონა" ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე „აიაქსის" ფორვარდ **ლუის სუარესს** შეიძენს. სხვათა შორის, **ხოსეპ გვარდიოლას** ადრევე ურჩიეს ყურადღება მიექცია 22 წლის ურუგვაელი ფორვარდისთვის, მას შემდეგ, რაც კატალონიურ კლუბს **დავიდ ვილიას** ტრანსფერი ჩაეშალა. ჰოლანდიაში სეზონი სუარესმა ფანტასტიკურად დაიწყო, ურუგვაელს 7 ტურში 10 გოლი აქვს გატანილი. გვარდიოლამ უკვე მოსთხოვა „ბარსას" ხელმძღვანელობას სუარესის ტრანსფერზე მუშაობა დაიწყოს. ლუის სუარესი „აიაქსში" 2007 წელს გადავიდა და მას მერე ამსტერდამულ კლუბში 70 მატჩში თითქმის 50 გოლი გაიტანა.

„ალმერიასთან" წარუმატებლობის შემდეგ ბევრი ელოდა, რომ „ატლეტიკო" პირველი ესპანური გუნდი გახდებოდა ლა ლიგის წლევანდელ სეზონში, რომელიც მწვრთნელს შეიცვლიდა, მაგრამ გავიდა ერთი დღე და ჯერჯერობით **აბელ რესინო** პოსტს ინარჩუნებს. გუნდის პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ აბელ რესინო ხელშეუხებელია: *„ეს კვირები აბელ რესინოსთვის ისეთივე რთულია, როგორც თითოეული ჩვენგანისთვის. მწვრთნელის შეცვლა თითქმის გამორიცხულია, ასეთი გადაწყვეტილება ძნელად მისაღებია. მოდი, მივცეთ მწვრთნელს იმის შეგრძნება, რომ მას ვენდობით. დაე, იმუშაოს თავდადებით სიტუაციის გამოსასწორებლად. ფეხბურთელებმაც კარგად უნდა ითამაშონ"*. *„ძალიან მშვიდად ვარ და ჩვეულებრივ ვმუშაობ. ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს, თუმცა ეს დროებითია. ერთი მოგებული თამაში ყველაფერს სასიკეთოდ შეცვლის"*, - ეს უკვე თავად აბელ რესინოს სიტყვებია. სხვათა შორის, რესინოს შესაძლო გადაყენების წინააღმდეგ თავად „ატლეტიკოს" ფეხბურთელებმა გაილაშქრეს. მედიის საშუალებით მას მხარი დაუჭირეს **კლებერ სანტანამ, ფლორან სინამა-პონგოლემ** და გოლკიპერმა **რობერტომ**.

„რეალთან" მატჩის შემდეგ ესპანეთის ნაკრებისა და „ვილიარეალის" საყრდენმა ნახევარმცველმა **მარკოს სენამ** განაცხადა, რომ მზადაა შეუერთდეს „ელ სუბმარინოს". 33 წლის ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ ტრავმა ბოლომდე მოირჩინა და გულით სურს გუნდს უკვე ამ უქმეებზე, ლა კორუნიაში დაეხმაროს. კასტელონელთა მეორე ვარსკვლავმა **რობერ პირესმა** კი აღიარა, რომ ფეხბურთელებს თვითრწმენა აქვთ დაკარგული და კატასტროფული სტარტიც (2 ქულა 4 ტურში) ამის ბრალია.

„ვალენსიას" რიგებშიც ერთი სიახლეა: ჰოლანდიაში გავრცელდა ცნობა, რომ „ფეიენოორდის" ნახევარმცველ **ჯონათან დე გუზმანისთვის** ბრძოლაში ესპანური კლუბი იმარჯვებს. მალე „ვალენსია" წინასწარ კონტრაქტს გააფორმებს 22 წლის დე გუზმანთან, ხოლო იანვარში ტრანსფერს ოფიციალური სახე მიეცემა. წლევანდელ ერედივიზიეში 7 თამაშში დე გუზმანმა 3 გოლი გაიტანა. კანადაში დაბადებული ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ამ ზაფხულს ძალზე ახლოს იყო „ვალენსიაში" გადასვლასთან, თუმცა ბოლო მომენტში ტრანსფერი ჩაიშალა და მედიაში დე გუზმანის ნისლიან ალბიონზე გადასვლაზე ალაპარაკდნენ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



აბელ რესინო რჩება



ლუის სუარესი ბარსას სურს

# ფრე ხიხონში

წუხელ ხიხონში დასრულდა პრიმერა დივიზიონის მე-4 ტური, რომელიც სამ დღეზე გაიწელა - „სპორტინგმა" პრიმერაში დაბრუნებულ „სარაგოსას" უმასპინძლა და დაუზავდა - 1:1.

ანგარიში 29-ე წუთზე მასპინძლებმა გახსნეს, **მატე ბილიჩის** პასით **დიეგო კასტრომ** იხეირა - მარცხენაფლანგელმა საჯარიმოს მისადგომიდან მარჯვენათი დაბალ კუთხეში გაიტანა **ხუან პაბლო კარისოს** კარში - 1:0. პირველი ტაიმის ბოლომდე მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ გატანა, ერთობ აქტიურობდა **მიგელ დელა კუევასი**, მაგრამ ხან კარისო ყოჩაღობდა და ხან მიგელი აცილებდა კარს.

„სარაგოსამ" მეორე ტაიმის მე-8 წუთზე გაათანაბრა ანგარიში. **ხორხე ლოპესის** მოწოდებულ კუთხურს თავი **აბელ აგილარმა** დაუხვედრა. ამის შემდეგ უპირატესობა ხან ერთი გუნდისა იყო, ხან მეორესი, ტემპმაც მოიმატა და დაძაბულობამაც. მაგრამ ყველაზე რეალური მომენტი მასპინძელთა ცენტრალურ მცველ **გრეგორი არნოლინს** შეექმნა, მას ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ფრანგმა ახლო მანძილიდან თავით უხეიროდ დაარტყა და კარისომ სტუმართა გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა, თუმცა თავგანწირვისთვის დაზარალდა კიდეც, „სარაგოსას" გოლკიპერს **დავიდ ბარალი** შეეჯახა. საერთო ჯამში ფრე ამ მატჩის ყველაზე სამართლიანი შედეგი იყო.

**სპორტინგი–სარაგოსა 1:1**

**სპორტინგი (4-2-3-1):** პაბლო - ლორა, ხერარდი, გრეგორი, კანელია - რივერა, კამაჩო - მორანი, მიგელი (62. ბარალი), კასტრო (85. მალდონადო) - ბილიჩი (78. მატეო).

**სარაგოსა (4-2-3-1):** კარისო - პულიდო, აიალა, პავონი, პარედესი - პონსიო, გაბი (51. ბაბიჩი) - პენანტი (72. სონგოო), აგილარი, ლოპესი - არისმენდი.

**გოლები:** 1:0 კასტრო (29), 1:1 აგილარი (53)

**გაძევება:** გრეგორი (თYამაშის შემდეგ)

**გაფრთხილება:** 2-2; კუთხურიL: 5-8; ჯარიმა: 13-19; თამაშგარე: 1-6; კარში დარტყმა: 13-13 (5-5); ბურთის ფლობა: 53%-47%

**მაყურებელი:** 20 000

| თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 14-3 | 12 |
| 2. რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 13-2 | 12 |
| 3. სევილია | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 9 |
| 4. ბილბაო | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 5. მალიორკა | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| 6. ვალენსია | 4 | 2 | 1 | 1 | 9-7 | 7 |
| 7. ხეტაფე | 4 | 2 | 0 | 2 | 7-5 | 6 |
| 8. ესპანიოლი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 6 |
| 9. დეპორტივო | 4 | 2 | 0 | 2 | 8-6 | 6 |
| 10. ტენერიფე | 4 | 2 | 0 | 2 | 3-6 | 6 |
| 11. ალმერია | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 12. სპორტინგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-6 | 5 |
| 13. ოსასუნა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14. ვალიადოლიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 15. სარაგოსა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 16. რასინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-10 | 4 |
| 17. მალაგა | 4 | 1 | 0 | 3 | 5-5 | 3 |
| 18. ვილიარეალი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-7 | 2 |
| 19. ატლეტიკო | 4 | 0 | 2 | 2 | 5-11 | 2 |
| 20. ხერესი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-11 | 0 |

U 20. ეგვიპტე-2009

# ფარაონებმა ჰოსნი გაახარეს

გუშინ ხმელთაშუაზღვისპირა ქალაქ ალექსანდრიაში 84 ათასი გულშემატკივარი დაესწრო მსოფლიოს 20 წლამდელთა ჩემპიონატის გახსნის მატჩს. საპატიო სტუმართა შორის ფიფა-ს პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი** და ეგვიპტის პრეზიდენტი **ჰოსნი მუბარაკი** იყვნენ. ეგვიპტის ნაკრებმა (რომელსაც საფეხბურთო სამყაროში „ფარაონებს" უწოდებენ) ქვა-ქვაზე არ დატოვა ტრინიდადისა და ტობაგოს გუნდისაგან (რომელსაც **ზორან ვრანიეში** წვრთნის) და A ჯგუფში დაწინაურდა. პირველივე მატჩში გაიბრწყინა **მოჰამედ ტალაატმა**, რომელმაც გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

**ეგვიპტე–ტრინიდადი 4:1**

**გოლები:** 1:0 აფროტო (30), 1:1 როჩფორდი (36), 2:1 არაფატი (51), 3:1 არაფატი (93).

**ეგვიპტე:** ლოფტი, სოლიმანი, ჰეგაზი, მოჰამედი, აჰმედი, ტალაატი (88. ბოგი), აფროტო (76. გალალი), რამადანი, ტობა, მაგდი (89. საადი), არაფატი.

**ტრინიდადი:** სამუელი, ადამსი, პოლი, დე სილვა (65. მოლინო), გაი (87. ჯოზეფი), ჰილანდი, პრიმუსი, როჩფორდი (60. კლარენსი), ბენტიკი, ტომსონი, სირუსი.

# ინტერი მოურინიოს გარეშე...

იტალიის ჩემპიონატის მეხუთე ტურმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ „ინტერი" სკუდეტოს მოპოვების მთავარი პრეტენდენტია. კიდევ ერთხელ დაგვანახვა ისიც, რომ „მილანის" საქმე ვერ არის კარგად და **ლეონარდომ** რამე უნდა ილონოს. თუმცა, „როსონერიმდე" მივალთ, ჯერ „ნერაძურის" მივხედოთ.

„ინტერმა" საკუთარ კედლებში „ნაპოლი" მიიღო და მეტოქე განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე დაამარცხა. ან რა ძალისხმევაზეა საუბარი, როდესაც მატჩის ბედი პირველ ხუთ წუთში უკვე გადაწყვეტილი იყო (!!!). დიახ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, თამაშის დაწყებიდან ხუთ წუთში, უკვე ყველამ იცოდა, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება. მაგ დროისთვის „ინტერი" უკვე 2:0-ს იგებდა, ჯერ **სამუელ ეტოომ** გამოიჩინა თავი, შემდეგ **დიეგო მილიტომ**. ფრთაშესხმულმა მილანელებმა შეტევები არ შეანელეს და 32-ე წუთზე კიდევ ერთ გოლს გამორჩნენ - ამჯერად, ზუსტად **ლუსიომ** დაარტყა. „ინტერს" კიდევ არაერთხელ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ეტოომ და მილიტომ დამაგვირგვინებელ ფაზაში რამდენჯერმე შესცოდეს. თუმცა, ეს ბუნებრივიც არის - როდესაც მეტოქე ყველაფრის უფლებას გაძლევს და ტაიმში დაახლოებით ათ რეალურ საგოლე მომენტს ქმნი, იქ სადღაც ფეხი აუცილებლად უნდა დაგიცდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგივე „ინტერი"-„ნაპოლის" პირველი ნახევარი მინიმუმ 6:0 მორჩებოდა. საგულისხმოა, რომ „ინტერმა" შეხვედრა **ჟოზე მოურინიოს** გარეშე ჩაატარა. დისკვალიფიცირებული პორტუგალიელი ტრიბუნიდან ადევნებდა შეხვედრას თვალს, მის ფუნქციას კი **ჯუზეპე ბარეზი** ასრულებდა.

რაც შეეხება „ნაპოლის", გუნდი მართლაც შავ დღეშია. **რობერტო დონადონიმ** ვერაფრით დაალაგა თამაში, პირიქით, მატჩიდან მატჩამდე აშკარა რეგრესია სახეზე და ეს პროცესი შეუქცევადი ჩანს.

„ინტერთან" გუნდი უსუსურად გამოიყურებოდა და უშანსოდ გახლდათ, რაც ნათლად იყო აღბეჭდილი ტრიბუნაზე მოკალათებულ აურელიო დე ლაურენტისის სახეზე. დონადონიმ მატჩის შემდეგ იხტიბარი არ გაიტეხა და განაცხადა, ყველაფერს მოევლებაო: *„შეხვედრის პირველ წუთებში ორი გოლი გავუშვით და ამან გაგვტეხა. ამასთან, უნდა აღვნიშნო, რომ მეორე გოლი აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს და ეს მსაჯს უნდა შეემჩნია. უკეთ შეგვიძლია თამაში და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. მთავარია, საკუთარი თავის ვირწმუნოთ და ვითარება აუცილებლად გამოსწორდება".*

გამოსასწორებელია მდგომარეობა „მილანშიც". „როსონერი" ვერაფრით ახერხებს სერია A-ში სტაბილურად ასპარეზობას. ლოკალურ წარმატებას მორიგი ჩავარდნა მოსდევს და ასე გრძელდება უკვე წლებია. გამონაკლისი არც მიმდინარე სეზონია, ხუთ ტურში ლეონარდოს გუნდი უკვე ორჯერ დამარცხდა და სატურნირო ცხრილში მეათე ადგილზეა მოკალათებული. „უდინეზემ" შეხვედრა გაცილებით უკეთ ჩაატარა და მოგება დაიმსახურა, სწორედ ასეთ აზრზე დგას იტალიური პრესა. ლეონარდო კი მატჩის შემდგომ კომენტარში არაადეკვატურია:

*„შეტევაში ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა და ფრესაც ვერ გამოვრჩით. ნაადრევად გაშვებულმა გოლმა გუნდზე ცუდად იმოქმედა, რაც ძვირად დაგვიჯდა. იმედია, სამომავლოდ არსებულ ხარვეზებს აღმოვფხვრით".*

მართლაც გაუგებარია, რა მოეწონა „მილანის" შეტევებში ლეონარდოს. მთელი 90 წუთის განმავლობაში სტუმრებმა ორჯერ დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით, ერთხელ **ალესანდრო ნესტამ** შეაზანზარა ხარიხა, მეორედ კი **ინაციო აბატემ** ააცილა კარს. ნახევარმომენტი ჰქონდა **კახა კალაძეს**, მისი თავური გვარიანად ასცდა მასპინძელთა კარის ჩარჩოს. მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ „უდინეზეს" კიპერს ერთხელაც არ დასჭირვებია თავისი ოსტატობის გამოვლენა, რაც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ „მილანს" შეტევაში ძალიან უჭირს. რაც შეეხება „უდინეზეს", ფრიულელებმა ჩვეულებრივი შეხვედრა ჩაატარეს, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა ფავორიტ მეტოქესთან გასამარჯვებლად. მორიგი გოლი გაიტანა **ანტონიო დი ნატალემ** და ბომბარდირთა დავაში პოზიციები გაიმყარა.

ეს ფეხბურთი კი არა, წყალბურთი იყოო, განაცხადა „პალერმო"-"რომას" დასრულების შემდეგ **კლაუდიო რანიერიმ**. „ჯალოროსიმ" ბოლო წუთებზე გადაარჩინა შეხვედრა და სიცილიიდან ქულა წაიღო. საფეხბურთო თრილერი 88-ე წუთზე **ფრანჩესკო ტოტის** მიერ გატანილი თერთმეტმეტრიანით დასრულდა. გუნდების თამაშის შეფასება შეუძლებელია, რადგან მძიმე კლიმატური პირობების გამო, ფეხბურთელები ამოვარდნილნი იყვნენ ყველანაირი ტაქტიკა-სტრატეგიიდან. ეს იყო ბრძოლა, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

დამარცხდა „ლაციო", თანაც საკუთარ კედლებში მოკრძალებულ „პარმასთან", 1:2. რაც მთავარია, სტუმრები მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდნენ და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს. **დავიდე ბალარდინის** „ლაციომ" ბოლო დროს პოზიციები დათმო და ეს სატურნირო ცხრილზეც აისახა. „ბიანკოჩელესტეს" მწვრთნელმა რაიმე უნდა მოიფიქროს, ჩემპიონატის სტარტზევე ცხრილის ქვედა ნაწილში დაშვება, ვერ არის კარგი ამბავი. ამ პაექრობაში ერთმა ეპიზოდმა მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება. „პარმამ" პირველი გოლი ფეარ-პლეის პრინციპების დარღვევით გაიტანა. სტუმრები უტევდნენ, როდესაც **რობერტო ბარონიო** გაზონზე იწვა და დახმარებას ითხოვდა. „პარმას" ფეხბურთელებმა ბურთი აუტზე არ გადააგდეს და შეტევა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს. ნამატჩევს, ემილიელთა თავკაცმა **ფრანჩესკო გვიდოლინმა** სწორედ იმ ეპიზოდზე გაამახვილა ყურადღება:

*„მინდა „ლაციოს" და ამ გუნდის თითოეულ გულშემატკივარს ბოდიში მოვუხადო. დავინახე მწოლიარე ბარონიო და ჩემს ფეხბურთელებს ვეძახდი კიდეც, რომ ბურთი მოედნიდან გადაეგდოთ. სამწუხაროდ, არ მომისმინეს და შეტევა გოლით დაასრულეს. მართლა ვწუხვარ, რადგან ფეარ-პლეის პრინციპებს ყოველთვის ვიცავდი და მომავალშიც დავიცავ. რაც შეეხება თამაშს, უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს. მთელი შეხვედრის განმავლობაში, თამაშის სადავეები ხელთ გვეპყრა და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. თუმცა, მოსამატებელი არაერთ კომპონენტში გვაქვს და სამუშაოც ბევრია".*

პირველი ქულები დაკარგა „სამპდორიამ" და სატურნირო ცხრილში ლიდერის პოზიცია დათმო. „არტემიო ფრანკიზე" გამართულ პაექრობაში სრული უპირატესობა „ფიორენტინას" ჰქონდა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. გენუელები მეკარე **კასტელაცის** უნდა უმადლოდნენ, რომ შეხვედრა გამანადგურებელი ანგარიშით არ წააგეს. ორივე გოლი მასპინძლებმა მეორე სართულიდან გაიტანეს: ჯერ **იოვეტიჩის** თავურმა უწია მიზანს, შემდეგ კი **ჯილარდინო** გამოირჩა. ამ ფეხბურთელებს კიდევ არაერთხელ შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუმართა კიპერი მოწოდების სიმაღლეზე გახლდათ.

სულ ბოლოს კი **ანტონიო კონტეს** დებიუტს და „ატალანტა"-"კატანიას" მატჩს შევეხოთ. უშუალოდ თამაშზე სათქმელი არაფერია, რადგან გულშემატკივრებმა მოსაწყენი ფეხბურთი იხილეს და შედეგიც შესაფერისი დაფიქსირდა, 0:0. უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტის ხელში, ბერგამოელებმა პირველი ქულა აიღეს, რამაც კონტე ერთობ გაახარა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე აღნიშნა კიდეც, დებიუტისთვის ურიგო შედეგი ნამდვილად არ გახლავთ. კინაღამ დაგვავიწყდა, მსაჯთან კამათის გამო ანტონიო სათადარიგოთა სკამიდან გააძევეს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

## მომდევნო ტური

26 სექტემბერი. **სამპდორია-ინტერი, ლივორნო-ფიორენტინა.** 27 სექტემბერი. **კატანია-რომა, კიევო-ატალანტა, იუვენტუსი-ბოლონია, ლაციო-პალერმო, ნაპოლი-სიენა, პარმა-კალიარი, უდინეზე-ჯენოა, მილანი-ბარი.**



დი ნატალეს გოლი მილანის კარში

### ფიორენტინა-სამპდორია 2:0

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 7 - კომოტო 6 (63. იორგენსენი 6), გამბერინი 6, კროლდრუპი 6, გობი 6 - კ. ძანეტი 6 (68. მონტოლივო 6), დონადელი 6.5 - მარკიონი 7 (75. სანტანა 5.5), ვარგასი 7.5, იოვეტიჩი 7 - ჯილარდინო 6.5.

**სამპდორია:** კასტელაცი 7.5 - სტანკევიჩუსი 6 (53. ციგლერი 5.5), მ. როსი 5, გასტალდელო 5.5, ძაური 5.5 - ტისონე 6, პალომბო 6, მანინი 6 (62. პოლი 6.5), პადალინო (58. პოცი 5.5) - კასანო 6.5, პაცინი 5.

**გოლები:** 1:0 იოვეტიჩი (25), 2:0 ჯილარდინო (66)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 21-6 (10-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 26 307

### ინტერი-ნაპოლი 3:1

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6.5 - მაიკონი 7, ლუსიო 7.5 (89. კორდობა), სამუელი 7, კივუ 6.5 - ხ. ძანეტი 6.5, კამბიასო 6, სტანკოვიჩი 6.5 - სნეიდერი 6.5 (46. მუნტარი 6.5) - ეტოო 7.5 (90. მანსინი), მილიტო 7.5.

**ნაპოლი:** დე სანქტისი 5 - სანტაკროჩე 5 (60. არონიკა 6), პ. კანავარო 5, კონტინი 5.5 - ჰამშიკი 5, გარგანო 4.5, ბოლიაჩინო 5 (85. პაციენცა), სუნიგა 4.5, მაჯო 6.5 (68. დენისი 6) - ლავეცი 6.5, კვალიარელა 5.5.

**გოლები:** 1:0 ეტოო (2), 2:0 მილიტო (5), 3:0 ლუსიო (32), 3:1 ლავეცი (37)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 10-14; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11-11 (6-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 45 000

### უდინეზე-მილანი 1:0

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი 6 - ისლა 6.5 (27. ბაშტა 6.5), კოდა 6.5, დომიცი 6.5, ლუკოვიჩი 6.5 - დ'აგოსტინო 6.5, ინლერი 6.5, ლოდი 6 (83. სამარკო), პეპე 6.5 (77. სანჩესი 6) - ფლორო ფლორესი 6, დი ნატალე 7.5.

**მილანი:** სტორარი 6 - ოდო 4.5, ნესტა 5.5, კალაძე 5.5, ძამბროტა 5 - პირლო 5.5, ფლამინი 4.5, გატუზო 5.5 (60. აბატე 5.5), ზეედორფი 5 - ფ. ინძაგი 5 (73. ჰუნტელაარი 5), პატო 4 (59. რონალდინიო 6.5).

**გოლი:** 1:0 დი ნატალე (22)

**გაძევება:** ფლამინი (84. მილანი)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 9-7 (4-1); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 24 883

### პალერმო-რომა 3:3

**პალერმო:** რუბინიო 5 - კასანი 6.5, გოიანი 5.5, კიაერი 6.5, ბალცარეტი 6 - სიმპლისიუ 6.5 (74. ბლაზი 6), მილიაჩო 6, ნოჩერინო 6.5 - ბრეშანო 6 - მიკოლი 7.5, ბუდანი 6.5 (76. მჭედლიძე 6).

**რომა:** ჟულიო სერჟიო 5.5 - კასეტი 4.5 (65. მოტა 6), ბურდისო 6, ჟუანი 5, რიისე 6.5 - დე როსი 6, ბრიგი 6.5 (57. ფატი 6), ტადეი 6 - პისარო 5.5 (81. ოკაკაჩუკა 6.5) - ვუჩინიჩი 6, ტოტი 6.5.

**გოლები:** 0:1 ბრიგი (20), 1:1 ბუდანი (40), 2:1 ბურდისო (45), 2:2 მიკოლი (45), 3:2 ნოჩერინო (56), 3:3 ტოტი (88-პენ)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 24-10; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 16-16 (6-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 25 000

### ლაციო-პარმა 1:2

**ლაციო:** მუსლერა 6 - ლიხტშტაინერი 5.5, სივილია 5.5 (35. კრიბარი 4.5), დიაკიტი 5, კოლაროვი 5 - ბარონიო 5.5 (76. მეგნი), მაური 5, დაბო 4.5 - მათუსალემი 5 (46. ფოჯა 6) - სარატე 6, კრუსი 6.

**პარმა:** მირანტე 6.5 - ძაკარდო 6, დელაფიორე 6 (69. პაჩი 6), ა. ლუკარელი 6.5 - დ. ძენონი 6.5, ჯემაილი 6.5 (77. მორონე), მარიგა 7.5, გალოპა 6.5, კასტელინი 7 - ბოჟინოვი 7, ამორუზო 7 (83. პალოსკი).

**გოლები:** 0:1 ბოჟინოვი (21), 1:1 სარატე (42-პენ), 1:2 ამორუზო (45-პენ)

**გაძევება:** კოლაროვი (45. ლაციო)

**გაფრთხილება:** 3-0; **კუთხური:** 1-2; **ჯარიმა:** 16-23; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 10-17 (6-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 15 000

### სიენა-კიევო 0:0

**სიენა:** კურჩი 6.5 - ტერცი 5.5 (72. როზი 6), ბრანდაუ 6, ფიკანია 5.5 (90. მ. როსი), დელ გროსო 6 - კოდრეა 5.5, ფინი 5, ვერგასოლა 6 - გეზალი 6 - კალაიო 5 (69. იაიალო 5.5), მაკარონე 6.

**კიევო:** სორენტინო 6 - ნ. ფრეი 6, იეპესი 6.5, მორერო 6, მანტოვანი 5.5 - იორი 6, ბენტივოლიო 5 (75. მარკოლინი 6), პინცი 6, ლუსიანო 6.5 - ბოგდანი 5.5 (77. გრანოკე 6), პელისიერი 6.5 (90. არიატი).

**გაფრთხილება:** 3-0; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 11-6 (3-1); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 9 000

### ბარი-კალიარი 0:1

**ბარი:** ჟილე 6.5 - ა. მაზიელო 5, ბონუჩი 6, რანოკია 6, ს. მაზიელო 5 - გაცი 5 (84. დე ვეცე), დონატი 6, რივასი 6 (66. კუტუზოვი 5), ალვარესი 5 (56. ლანჯელა 5.5) - ბარეტო 6, მეჯორინი 5.5.

**კალიარი:** მარკეტი 6 - მარძორატი 5.5, ასტორი 6, კანინი 6, აგოსტინი 6.5 - პაროლა 5.5, ლაძარი 6, დესენა 6.5 - კოსუ 6.5 (80. ბიონდინი) - მატრი 6.5 (73. ნენე 7), ჟედა 6 (89. ბარონე).

**გოლი:** 0:1 ნენე (77)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 11-23; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 5-13 (3-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 10 000

### ბოლონია-ლივორნო 2:0

**ბოლონია:** ვივიანო 6.5 - რაჯი 6, ბრიტოსი 6.5, პორტანოვა 7, ლანა 6 - მუტარელი (6. მუდინგაი 6.5), მინგაცინი 6.5, ჯაკ. ტედესკო 6 (57. ვალიანი 6), ვიჯანი 6.5 (87. კ. ძენონი) - დი ვაიო 7, სალაიეტა 6.5.

**ლივორნო:** დე ლუჩია 6.5 - რაიმონდი 5.5, მილიონიკო 5.5, კნეჟევიჩი 5.5, მარკინი 5.5 - ვიტალე 5.5, მორო 6 (46. ბერგვოლდი 6), ა. ფილიპინი 6 (59. ტავანო 5.5) - კანდრევა 6.5 - დანილევიჩუსი 5.5, კ. ლუკარელი 5.5 (65. დიონიზი 5.5).

**გოლები:** 1:0 პორტანოვა (35), 2:0 დი ვაიო (53)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 22-20; **თამაშგარე:** 4-7; **კარში დარტყმა:** 9-10 (3-3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 16 000

### ატალანტა-კატანია 0:0

**ატალანტა:** კონსილი 6 - დარიჩი 6, თ. მანფრედინი 7, ბიანკო 5.5, ბელინი 6 - გუარენტე 5.5, კაზერტა 5.5 (70. ჩერავოლო), ხ. ვალდესი 6, პადოინი 6 - კ. დონი 6 (73. ტირიბოკი), აკვაფრესკა 5.

**კატანია:** ანდუხარი 6 - პოტენცა 6, სილვესტრე 6, სპოლი 6.5, კაპუანო 7 - კარბონი 5.5 (77. იცკო), დელვეკიო 6, ბიაჯანტი 6 (85. პლასმატი) - მარტინესი 6 (71. ლამა), მორიმოტო 6, მასკარა 5.5.

**გაფრთხილება:** 5-5; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 20-21; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 10-8 (4-1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 10 000

### ჯენოა-იუვენტუსი 2:2

**ჯენოა:** ამელია - ბიავა, მორეტი, ბოკეტი - როსი, საპატერი, მილანეტო (67. ხარჯა), მოდესტო (62. პაპასტრატოპულოსი) - მესტო, ფლოკარი (46. კრესპო), სკული.

**იუვენტუსი:** ბუფონი - გრიგერა, ლეგროტალიე, კიელინი, გროსო - პოულსენი, მელო, მარკიზიო (76. ჯოვინკო) - კამორანეზი, იაკვინტა, ამაური (82. ტრეზეგე).

**გოლები:** 0:1 იაკვინტა (6), 1:1 მესტო (31), 2:1 კრესპო (75), 2:2 ტრეზეგე (86)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 22-33; **თამაშგარე:** 4-4; **ბურთის დარტყმა:** 11-17 (3-8); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 31 882

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-3 | 13 |
| 2. იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-3 | 13 |
| 3. სამპდორია | 5 | 4 | 0 | 1 | 10-5 | 12 |
| 4. ჯენოა | 5 | 3 | 1 | 1 | 11-8 | 10 |
| 5. ფიორენტინა | 5 | 3 | 1 | 1 | 6-4 | 10 |
| 6. პარმა | 5 | 3 | 1 | 1 | 7-6 | 10 |
| 7. უდინეზე | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 8. კიევო | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| 9. რომა | 5 | 2 | 1 | 2 | 11-11 | 7 |
| 10. მილანი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-6 | 7 |
| 11. ბარი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-4 | 6 |
| 12. ლაციო | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 6 |
| 13. პალერმო | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 14. ბოლონია | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 15. სიენა | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| 16. კალიარი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-6 | 4 |
| 17. ნაპოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |
| 18. კატანია | 5 | 0 | 2 | 3 | 5-9 | 2 |
| 19. ლივორნო | 5 | 0 | 2 | 3 | 1-7 | 2 |
| 20. ატალანტა | 5 | 0 | 1 | 4 | 1-7 | 1 |

**ბომბარდირები:** 7 - დი ნატალე (უდინეზე); 5 - მილიტო (ინტერი); 4 - ტოტი (რომა); 3 - კრუსი (ლაციო), ეტოო (ინტერი), ჯილარდინო (ფიორენტინა), ჰამშიკი (ნაპოლი), მანინი (სამპდორია), პელისიერი (კიევო), იაკვინტა (იუვენტუსი).

გერმანიის ნაკრები



ჰოლგერ ბადშტუბერი (მარცხნივ) და თომას მიულერი (მარჯვნივ) ბაიერნში რეგულარულად თამაშობენ

# მიულერი და ბადშტუბერი მუნდიალზე?

## ლიოვი ბაიერნის ახალგაზრდა ვარსკვლავებს ყურადღებით აკვირდება



ᲬᲘᲜᲐ სეზონის დასრულების შემდეგ **ჰოლგერ ბადშტუბერს** მხოლოდ მიუნხენში თუ იცნობდნენ, ისიც „ბაიერნის" ისეთი ქომაგები, რომლებიც მოყვარულთა გუნდის თამაშსაც კი სიამოვნებით ადევნებენ ხოლმე თვალს. ფართო საზოგადოებისთვის კი ეს ახალგაზრდა მცველი აბსოლუტურად უცნობი იყო. აი, თავდამსხმელ **თომას მიულერს** კი შედარებით მეტი ფანი ცნობდა, მაგრამ არც იმდენად ბევრი, რომ ყურადღების გამახვილება ღირდეს. შესაბამისად, სამიოდ თვის წინ რომ გეთქვათ, ბადშტუბერი და მიულერი მომავალ სეზონში „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენო, ნებისმიერი სასაცილოდ აგიგდებდათ - ვინ ბადშტუბერი, რომელი მიულერიო.

ჰოლგერმა და თომასმა **ლუის ვან გაალის** მოსვლის შემდეგ გაიბრწყინეს. ჰოლანდიელს ზოგადად ნიჭიერი მოთამაშეების აღმოჩენის ნიჭი და მათთვის ნდობის გამოცხადების ნერვები აქვს და არც გვიკვირს, რომ ტრადიციას არც მიუნხენურ გრანდში უღალატა: ჰოლგერ ბადშტუბერი და თომას მიულერი დღეს „ბაიერნის" ძირითადი შემადგენლობის წევრები არიან. ეს კი ორმაგად და ათმაგად გასაკვირია იმის ფონზე, რომ რეკორდმაისტერში ძალიან დიდი კონკურენციაა. ეს განსაკუთრებით ნინა ხაზზე ითქმის. მიულერს შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშიც შეუძლია და თავდასხმაშიც და სწორედ ამ ორ ხაზში აქვს ბავარიულ გრანდს ყველაზე დიდი კონკურენცია, რადგან ჰყავს ისეთი ნახევარმცველები, როგორებიც არიან **არიენ რობერნი, ფრანკ რიბერი, ბასტიან შვაინშტაიგერი, ხოსე ერნესტო სოსა, ჰამით ალთინთოფი** და ისეთი ფორვარდები, როგორებიც არიან **ლუკა ტონი, მიროსლავ კლოზე, ივიცა ოლიჩი** და **მარიო გომესი**. და ასეთ კომპანიაში, ახალგაზრდა მიულერი არათუ მუდმივად განაცხადშია, არამედ მუდმივადაც თამაშობს და რაც ყველაზე მთავარია, გოლებიც გააქვს!

რაც შეეხება ბადშტუბერს, ამ 19 წლის ბიჭის გამო ბავარიელებმა სულაც **ლუსიო** გაყიდეს - ვან გაალს სურდა, რომ დაცვის ცენტრში, მარცხენა მხარეს აუცილებლად ცაცია მცველს ეთამაშა და ბადშტუბერიც სწორედ რომ მემარცხენეა. ვან გაალის ახირებას, უარი ეთქვა ლუსიოზე და ყველასათვის უცნობ, გამოუცდელ ბადშტუბერს მინდობოდა, თავიდან ყველა აგდებით შეხვდა, მაგრამ დღეს უკვე ყველა აღიარებს, რომ ლუისმა მართებული გადაწყვეტილება მიიღო - როგორც მიულერის, ისე ბადშტუბერის შემთხვევაში.

ამ ორი ახალგაზრდა ფეხბურთელის წარმატებები, რა თქმა უნდა, არც გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** გამოეპარა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბადშტუბერი და მიულერი ბუნდესმწვრთნელის სიაში არიან. მეტიც: „კიკერი" და „ბილდი" ერთხმად იტყობინებიან, რომ ბადშტუბერსა და მიულერს საკმაოდ კარგი შანსი აქვთ, გაემგზავრონ და ითამაშონ მსოფლიოს ჩემპიონატზე - სამხრეთ აფრიკაში.

*„მიულერი და ბადშტუბერი ამ სეზონში რეგულარულად თამაშობენ და რაც მთავარია, ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ვფიქრობ, ლოგიკურია ის, რომ ორივე მათგანი ჩემს გაფართოებულ სიაში იყოს. დიახ, მათ აქვთ შანსი, მუნდიალის განაცხადში მოხვდნენ. ამისათვის საჭიროა, პროგრესი არ შეწყვიტონ და მუდმივად უმაღლეს დონეზე ითამაშონ. ზაფხულამდე კიდევ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს და წინასწარ ლაპარაკი ამიტომაც არ მინდა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის განაცხადის წარდგენა ხვალ რომ მიწევდეს, დღეს ბადშტუბერისა და მიულერის მუნდიალზე წაყვანაზე სერიოზულად დავფიქრდებოდი,"* - განუცხადა ლიოვმა „მიუნხენერ თაგესცაითუნგს".

ამაში გასაკვირი ნამდვილად არაფერია, რადგან თომას მიულერი გერმანიაში მოთამაშე თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანია და ამ სეზონში უკვე ხუთი გოლის გატანა (ყველა ოფიციალურ მატჩში) მოასწრო, ხოლო ჰოლგერ ბადშტუბერი კი რეგულარულად თამაშობს და **დანიელ ვან ბუიტენთან** ერთად „ბაიერნის" დაცვის ცენტრში საკმაოდ წარმატებულ დუეტს ქმნის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მცირე ასაკის გათვალისწინებით, ბადშტუბერი უჩვეულოდ თავდაჯერებული და სანდო მცველია.

*„მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი ფეხბურთელების სიაზე კონკრეტული საუბარი ჯერ ძალიან ნაადრევია, ცხადია, არსებობს გაფართოებული სიაც. მაგრამ ზაფხულამდე ამ სიაში შეიძლება ბევრი ცვლილება შევიდეს. შემადგენლობას მაისის ბოლოს დავასახელებ და მანამდე ექვსი თვეა დარჩენილი. ფაქტი ის არის, რომ ჩვენი შტაბი ბადშტუბერისა და მიულერის პროგრესს გულმოდგინედ აკვირდება. ნამდვილად არ გამოვრიცხავ იმას, რომ ჰოლგერი და თომასი სამხრეთ აფრიკაში წავიყვანოთ,"* - ამბობს ლიოვი.

სამაგიეროდ, კარდინალურად განსხვავებული ვითარებაა **მარიო გომესისა** და **მიროსლავ კლოზეს** შემთხვევაში, მაგრამ ლიოვი მათ გამო არ დარდობს. იოგი: *„ვფიქრობ, არ გვაქვს საიმისო მიზეზი, რომ გომესისა და მიროს შესაძლებლობებში ეჭვი შევიტანოთ. მე ნამდვილად არ მაინტერესებს ის, თუ რამდენი ხნის განმავლობაში ვერ გაიტანენ ისინი გოლს ბუნდესლიგაში, რადგან ვიცი, რაც შეუძლია ერთსაც და მეორესაც."*

ზემოთ ხსენებული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ლიოვი მეკარეების საკითხსაც შეეხო. როგორც იცით, **რობერტ ენკემ** ტრავმა მიიღო და უახლოეს მატჩებში, რომელთაგანაც რუსეთთან მოსკოვში ჩასატარებელი შეხვედრა გერმანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, „ჰანოვერის" მეკარე ვერ იასპარეზებს. ლიოვმა უკვე გადაწყვიტა, რომ რუსეთთან შეხვედრაში კარში „ლევერკუზენის" კიპერ **რენე ადლერს** დააყენებს. მიმომხილველები წერდნენ, რომ სავარაუდოდ, იოგის უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბუნდესგუნდის კარი ადლერმა უნდა დაიცვას, მაგრამ ლიოვმა ეს ინფორმაცია უარყო. *„ჯერჯერობით, არაფერი გადამიწყვეტია, ადლერს და ენკეს კვლავინდებურად თანაბარი შანსები აქვთ,"* - აღნიშნა მან.

შალკე

# მაგათი ჰალილს აქებს და იდრისუს ითხოვს

## ვინ შეუტევს რურის დიდ დერბიში?

„შალკეს" მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს ჰალილ ალთინთოფის** შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება და ძალიან მოსწონს, მაგრამ „დესპოტი ფელიქსი" იქვე დასძენს, უბრალოდ, თავდაჯერება აკლია, საკუთარ თავზე უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოსო. ეს განცხადება მაგათმა „ბოხუმთან" სათასო მატჩის წინ გააკეთა და შესაბამისად, უშუალოდ შეხვედრაში თურქი თავდამსხმელი ძირითად შემადგენლობაში გაამწესა. სხვათა შორის, ჰალილმა პირველად ითამაშა „შალკეს" სასტარტოში აგვისტოს დასაწყისის შემდეგ და გაამართლა კიდეც: მან „ბოხუმის" კარში გოლის გატანა შეძლო.

დიდი შანსია, რომ „დესპოტმა ფელიქსმა" თურქეთის ნაკრების ფორვარდი ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, „რურის დიდ დერბიშიც" (დორტმუნდის „ბორუსიასთან") ათამაშოს. *„ჰალილმა „ბოხუმთან" ძალიან ბევრი ირბინა, კარგად ითამაშა და გოლიც გაიტანა. იმედი მაქვს, რომ ამის შემდეგ უფრო თავდაჯერებული იქნება. მე მას დიდად ვაფასებ,"* - განაცხადა მაგათმა „ბოხუმთან" შეხვედრის შემდეგ.

ბუნდესლიგის ბოლო შეხვედრებში მაგათი ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ჯერალდ ასამოას** ათამაშებდა და ამ უკანასკნელს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, მაგრამ „ბოხუმთან" ასამოამ მთელი 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. თუმცა ჯერალდი „დორტმუნდის" წინააღმდეგ ყოველთვის განსაკუთრებით მოტივირებულია ხოლმე და ამრიგად, ხვალინდელი მატჩისთვის ასამოა ჰალილის სერიოზული კონკურენტია. ფაქტი ის არის, რომ ფელიქსი ყურადღებას აღარ აქცევს **კევინ კურანის**, რომელიც ახლა მთლად ჯანზეც არ არის, მაგრამ როდესაც ფორმას აღიდგენს, ფაქტია, რომ ასამოას და ალთინთოფის უმთავრესი კონკურენტი იქნება.

ჯერალდი ზაფხულში გაყიდვის კანდიდატი იყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ მისი შეძენა არავინ ისურვა და ასამოაც „შალკეში" დარჩა. მას გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. სხვათა შორის, ჰალილსა და კურანის კონტრაქტები ამ სეზონის ბოლოს უმთავრდებათ და ახალი ხელშეკრულების გაფორმების სურვილი ჯერ არც ერთ მათგანს არ გამოუთქვამს.

შესაბამისად, მაგათი უკვე კურანისა და ჰალილის პოტენციურ შემცვლელებზე ფიქრობს და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, მიზანში „ფრაიბურგის" 1.90 მეტრი სიმაღლის თავდამსხმელი **მაჰამადუ იდრისუ** ამოიღო. 29 წლის კამერუნელი ზუსტად ისეთი სტილის თავდამსხმელია, როგორიც მაგათს ხიბლავს - რობუსტული, მეომარი, თავდაჯერებული და მორბენალი. თანაც, იდრისუს სეზონის ბოლოს „ფრაიბურგთან" კონტრაქტი უმთავრდება და თუ მაგათი მის გადაბირებას სერიოზულად მოინდომებს, „შალკეს" ფულის გადახდა არ დასჭირდება. იდრისუ „ფრაისთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე ჯერჯერობით უარს ამბობს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ჰალილ ალთინთოფი

ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის" და სპორტული სააგენტო SBM გთავაზობთ მინიფეხბურთში ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის მეორე გათამაშებაში მონაწილეობას, რომელიც ნოემბერში დაიწყება და 2010 წლის მაისამდე გასტანს.

გათამაშებაში ვიწვევთ კომერციული და სახელმწიფო ორგანიზაციების, სასწავლო დაწესებულებების გუნდებს.

ტურნირი სამოყვარულოა და მოქმედი ფეხბურთელების მონაწილეობა აკრძალულია.

ტურნირს მოემსახურებიან ფიფას კატეგორიის არბიტრები. მიმდინარეობა გაშუქდება სპორტული პრესით, ვებგვერდებით და ტელევიზიით.

სამონაწილეო გადასახადის ნაწილი მოხმარდება საქველმოქმედო აქციებს.
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ: 877 742 247

SBM

თაღლითები



სვენი და სოლი ნოთსქაუნთელებთან ერთად

# მაღარო კაპიტალისტებს, მოედანი ხალხს!



მწვრთნელი იან მაკპერლანდი, სვენ გორან ერიქსონი და პიტერ ტრემბლინგი

რატომ? ან რას მოდიოდა, ან რას გარბოდა? ან ასე გაქცევა რას ნიშნავდა?

**საფეხბურთო** მსოფლიოს გასაოცარ ამბებს რა მოაკლებს, მაგრამ სხვა მრავალთან ერთად გასულ ზაფხულსა და ახლა, სექტემბერში ხალხი ორმა ინგლისურმა ამბავმაც გააკვირვა. პირველი გახლდათ ის, რომ ცნობილმა შვედმა მწვრთნელმა **სვენ გორან ერიქსონმა** მოულოდნელად ინგლისის მეორე ლიგის „ნოთს ქაუნთიში" გადაწყვიტა მუშაობა და მეორე ის, რომ ცნობილმა ინგლისელმა მცველმა, ვეტერანმა **სოლ კემპბელმა** იმავე გუნდში განიზრახა კარიერის გაგრძელება - არადა, პრემიერლიგაში დარჩენის შანსი ჰქონდა. ყველას - ჟურნალისტებს, გულშემატკივრებს და მით უფრო ფეხბურთელებს, რომელთაც ერიქსონის ან კემპბელის მხარდამხარ მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრებში, ევროთასებსა და იმავე პრემიერლიგისა თუ ფეხბურთის ასოციაციის თასის მატჩებში უბრძოლია, გაოცებული „რატომ" აღმოხდა. გაუგებარი იყო, რატომ მიდიოდა ასეთი კვალიფიკაციის ხალხი სადღაც, ძალიან დაბლა. კი ბატონო, „ნოთს ქაუნთი" ისტორიული კლუბია, მაგრამ ზემოხსენებული ფეხბურთის ასოციაციის თასი ბოლოს საუკუნეზე მეტი ხნის წინ აქვს მოგებული და უეცრად ამ გუნდის აღორძინების ჟინით შეპყრობა ძალიან უცნაურად ჩანდა. მაგრამ, უცნაურ ამბებს კიდევ უფრო უცნაური და იდუმალებით მოცული მაშინ დაემატა, როდესაც კემპბელმა „ნოთს ქაუნთი" ერთი თამაშის შემდეგ დატოვა. დიახ, მან „მორკემბთან" მატჩის წინ თანაგუნდელებთან ერთად სურათი გადაიღო, შემდეგ კი გუნდმა 2:1 წააგო და მრავალ გაჭირვებაში გამოცდილმა მცველმაც... ყველას ხელი დაუქნია. და კიდევ ერთხელ: რატომ? ან რას მოდიოდა, ან რას გარბოდა? ან ასე გაქცევა რას ნიშნავდა? და თუ „ნოთს ქაუნთიში" რამე გასაქცევი ხდება, სვენი რატომ არ იცვლის ფეხს?

გაზეთმა „სანმა" ამ ლოგიკური კითხვებიდან ზოგიერთზე პასუხის გაცემა სცადა, სადამდეც ხელი მიუწვდა, მაგრამ თავადვე დასძენს, რომ, რა ხდება სინამდვილეში, ძალიან ძნელი ამოსაცნობია. და მაინც, „სანს" ეჭვი არ ეპარება, რომ „ნოთს ქაუნთის" ნამდვილი მეპატრონის ვინაობა სრული ბურუსით არის მოცული, ხოლო ის ხალხი, ვინც კლუბს მართავს, - ადამიანები, რომლებმაც სვენ გორან ერიქსონის და სოლ კემპბელის ტრანსფერები გაჩარხეს და რომლებზეც ქვემოთ კიდევ გვექნება ლაპარაკი - რეალურ მეპატრონეობასთან არაფერ კავშირში არ არიან.

სამაგიეროდ, ამ ხალხზე „სანმა" შეიტყო, რომ ისინი კავშირში არიან რაღაც 1,9-მილიონფუნტიან თაღლითობის საქმესთან, რომელსაც ჯერსიში ჰქონდა ადგილი და რომელსაც სამართალდამცავები იძიებენ - ორი სიტყვით ამაზეც ქვემოთ.

რაც შეეხება მთავარ თემას: გაირკვა, რომ ერიქსონსა და კემპბელს „ნოთს ქაუნთისთან" თითო კი არა, ორ-ორი ხელშეკრულება აკავშირებდათ (ან აკავშირებთ). ერთი გახლდათ კონტრაქტი, რომლის თანახმადაც ერთიცა და მეორეც კლუბის პატრონი კომპანიის, Munto Finance-ს ელჩები უნდა ყოფილიყვნენ, მეორე კი ჩვეულებრივი, საფეხბურთო ხელშეკრულება. დაგვეთანხმებით, ამ ორი კონტრაქტიდან უჩვეულო პირველია, მით უფრო, რომ თურმე ამ ხელშეკრულების თანახმად კემპბელს ხსენებული კომპანიისთვის სამხრეთ აფრიკაში მაღაროების მოწყობაში უნდა შეეწყო ხელი.

ერთი სიტყვით, იმის მიხედვით, რაც „სანმა" გამოჩხრიკა, ჯერჯერობით დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „ნოთს ქაუნთის" აღმასრულებელი დირექტორი „ევერტონის" ყოფილი ფეხბურთელი **პიტერ ტრემბლინგია**, ხოლო კომპანია Munto Finance ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული. იმავე ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული ფინანსურ-საინვესტიციო გიგანტი „ქედბეკი", რომელიც, თავის მხრივ Munto Finance-ს პატრონი უნდა იყოს.

ვინ არიან ამ კომპანიების დირექტორები, სრული ბურუსით გახლავთ მოცული, ისევე, როგორც ვერავინ დაგისახელებთ ადამიანებს, რომლებიც შესაძლოა, სულაც არ არიან დირექტორები, მაგრამ კომპანიების მართვაში მთავარ სიტყვას ამბობენ. არავინ იცის, ვისი ფინანსები დგას ხსენებული ორგანიზაციების უკან, ხოლო ვინ იყურება ამხელა იმპერიის მწვერვალიდან, ხომ უცნობია და უცნობი. გამოდის, რომ მხოლოდ იმით შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ, რასაც მავანნი და მავანნი ამბობენ. მავანნი და მავანნი კი ამბობენ, რომ „ქედბეკის" უკან (ცნობისათვის, ამ ფინანსურმა გიგანტმა ახლახან BMW-Sauber-ის მრბოლელთა გუნდი იყიდა) შუა აღმოსავლეთის სამეფო ოჯახები დგანან - კატარის, აბუ დაბის, ბაჰრეინისა და ქუვეითის.

ხოლო ადამიანები, რომლებიც „ნოთს ქაუნთიში" პრაქტიკულად მოღვაწეობენ, გახლავთ **რასელ კინგი** და **ნათან უილეტი**, რომელთაც Munto Finance-სთან არანაირი კავშირი არ აქვთ. ზემოთაც მოგახსენეთ, რომ როგორც კემპბელმა, ასევე ერიქსონმა თავიანთი კონტრაქტების პირობები სწორედ ამ წყვილთან შეათანხმეს, თუმცა ის რიცხვები, რომლებიც პრესის საშუალებით ყველამ შეიტყო, როგორც ჩანს, დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ, საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ „ქაუნთიში" სოლ კემპბელის ჯამაგირი კვირაში 40 ათას ფუნტს უდრიდა, მაგრამ ეს თანხა მთლად ბურთის გორებისთვის არ ყოფილა გამოყოფილი. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფეხბურთელსაც და მწვრთნელსაც ორ-ორი კონტრაქტი ჰქონიათ (თუ აქვთ) გაფორმებული და მათ მიხედვით, მაგალითად, კემპბელის შემოსავალი, თურმე ასე იყოფოდა: ბურთის გორებისთვის ვეტერანი მხოლოდ 7 ათასს იღებდა, დანარჩენი კი ზემოხსენებული ელჩობისა იყო. ფეხბურთელი „ნოთს ქაუნთისა" და Munto Finance-ის პრომოუშენისთვის სამხრეთ აფრიკას უნდა გამგზავრებულიყო, სადაც სხვა საქმეებთან ერთად მთელი რიგი საქველმოქმედო პროექტისთვის უნდა მოეწერა ხელი. ამ პროექტებს შორის იყო ღატაკი ბავშვებისთვის ინფრასტრუქტურის შექმნა და სპორტული აკადემიების დაარსება.

საქმეში შიგნიდან ჩახედულმა ადამიანმა (ვინ იცის, თავად კემპბელმაც) „სანს" უამბო: *„როგორც სვენს, ასევე სოლს, ჩვეულებრივი საფეხბურთო კონტრაქტები ჰქონდათ, სადაც აღნიშნული იყო მათი ანაზღაურება და სხვა დეტალები, რაც საერთოდ, ასეთ კონტრაქტებს სჩვევია. ამაში უცნაური არაფერი გახლდათ. უჩვეულო იყო მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ისინი უნდა გამგზავრებულიყვნენ სამხრეთ აფრიკაში, სადაც* Munto Finance*-ის თუ „ქედბეკის" სახელით საბადოების „დათრევის" საქმეში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. კერძოდ, სოლი უნდა შეხვედროდა ადგილობრივ მოსახლეობას და ეთქვა, რომ მათ დასახლებებში მაღაროების მოწყობა მათივე კეთილდღეობისთვის იქნებოდა ძალიან კარგი. რასაკვირველია, ამის მიღმა კომპანიები დიდძალ ფულს ინფრასტრუქტურის, კერძოდ კი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობაში ჩადებდნენ. ერთი სიტყვით, კომპანიები მიიღებდნენ მაღაროებს, მოსახლეობა კი დასაჩუქრდებოდა ინფრასტრუქტურით, რომელსაც ისე მას არასდროს არავინ გაუკეთებს. გარდა ამისა, სვენსა და სოლს „ნოთს ქაუნთის" პრემიერლიგისკენ აღმასვლაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა".*

ზემოთ ჯერსის კუნძულებზე დატრიალებული თაღლითობაც ვახსენეთ. ეს, კომპანია Belgravia Finance-სთან დაკავშირებული ამბავია და მასში კინგი და ტრემბლინგი გახლავან გარეული. შეგახსენებთ, რომ ეს კომპანია რამდენიმე წლის წინ „ნიუკასლ იუნაიტედისა" და ჯორდანის ფორმულა ერთის გუნდების შეძენას ცდილობდა, მაგრამ ორივეგან ჩაფლავდა. არის თუ არა რაიმე საქმე პირადად კინგისა და ტრემბლინგის წინააღმდეგ აღძრული, „სანმა" ჯერჯერობით ვერ შეიტყო, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა და ამაზე ლაპარაკმა შესაძლოა შორს წაგვიყვანოს.

ქარლინგის თასი

# ორკოულიანობა აღდგა



ჯო კოული

**ჯო კოული** მოედანს დაუბრუნდა და ამ ემოციური საღამოსთვის „ჩელსის" ფანებსა და თავკაცს **კარლო ანჩელოტის** მადლობას უხდის. „ქარლინგის თასის" მესამე ეტაპის შეხვედრაში, „ქუინზ პარკ რეინჯერსის" წინააღმდეგ, „ლურჯებმა" დიდი ხნის „უნახავ" თანაგუნდელს პირდაპირ კაპიტნობა უბოძეს და მანაც არ შეირცხვინა თავი, საგოლე პასი გადაანოდა - მისი ასისტენტობით შეხვედრის ერთადერთი გოლი **სალომონ კალუმ** შეაგდო. თამაშის შემდეგ კოულმა ჟურნალისტებს უთხრა:

*„ვიცი, ეს მხოლოდ და მხოლოდ „ქარლინგის თასის" შეხვედრა იყო, მაგრამ მას ჩემი კარიერის ერთ-ერთი უდიდესი მატჩიც შემიძლია ვუწოდო. რა ხანია, მოედანზე დაბრუნებას ველოდი და აი, როგორც იქნა, ოცნება ამიხდა. გასულ კვირაში, „პორტსმუთთან" თამაშის წინ მოედანზე გასახურებლად რომ გავედი, ემოცია ყელში მომაწვა, დღეს კი კიდევ უფრო მეტად ავღელდი. მეგონა, ხალხს აღარ ვახსოვდი და რომ გავიგე, როგორ მღეროდნენ ტრიბუნები ჩემზე სიმღერას, გული კინაღამ ამომივარდა. დღეს პირველად გახლდით „ჩელსის" კაპიტანი და ეს კარლო ანჩელოტის მხრიდან საოცარი ჟესტი იყო. „ჩელსი" ჩემი კლუბია, მე აქ ბურთების მომტანი ბიჭი და ფანი ვიყავი, ამიტომაც კაპიტნის სამკლავური რომ მეკეთა, თვალებს არ ვუჯერებდი".*

შეგახსენებთ, რომ ჯო კოული რვა თვის განმავლობაში მუხლის ტრავმას მკურნალობდა. მწვრთნელის ასისტენტმა **რეი უილკინსმა** განაცხადა: *„ჯომ და პაულუ ფერეირამ შეხვედრა თავიდან ბოლომდე ითამაშეს, იური ჟირკოვმა კი მისთვის სასარგებლო ერთი საათი დაყო მოედანზე. ერთი სიტყვით, დღევანდელი საღამო ჩვენი გუნდისთვის მეტად საინტერესო გამოდგა".*

რაც შეეხება საკუთრივ შეხვედრას, მეოთხე ეტაპზე გასასვლელად „ჩელსის" „ქუინზ პარკის" კარში კალუს მიერ გატანილი ერთადერთი გოლიც ეყო. დამარცხებულთა თავკაცმა, **ჯიმ მეჯილტონმა** შეხვედრის შემდეგ განაცხადა: *„დღეს ჩემმა ფეხბურთელებმა ისე ითამაშეს, რომ სტადიონს ამაყად თავაწეული ვტოვებ. დიდი მადლობა „ჩელსის" მწვრთნელებს, ჩვენ წინააღმდეგ მეორე ტაიმში ფრენკ ლემპარდი, ჯონ ტერი და ეშლი კოული რომ ათამაშეს. ეს მათი მხრიდან მეტოქისადმი პატივისცემის გამოხატვა იყო".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომგებიანი ბილეთი

აღმოაჩინე 3 ერთნაირი ერთეული






იპოვე შენი იღბლიანი შვიდიანი






შეიძინე 1 ოქტომბრიდან და მოიგე 1 000 ლარამდე!

GLC შპს საქართველოს ლატარიის კომპანია
Georgian Lottery Company LLC
649 649
www.georgianlottery.com

ფიორენტინა

# დელა ვალემ ფიოს ხელი დაუქნია

## დე ლაურენტისი საგონებელში


ანდრეა დელა ვალე

ეხ, **აურელიო** - რა პრეზენტაცია და რამხელა იმედგაცრუება. იცით, როგორი პრეზენტაცია ჰქონდა სეზონის წინ „ნაპოლის"? - მართლაც რომ გრანდიოზული. თავად განსაჯეთ, მდინარეში გაშენებულ გასართობ კომპლექსში სპეციალური კონსტრუქცია აიგო, სადაც სცენა და VIP ლოჟები განთავსდა. როგორც იტალიელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, გაკეთდა ნეაპოლური კუნძული, რომელიც მთლიანად ცისფრად გაფორმდა. ამ კუნძულზე ფეხბურთელები სხვადასხვა მიმართულებიდან მოცურავე იახტებით მივიდნენ, რამაც ნეაპოლელებში ალტაცება გამოიწვია. თავად აურელიო დე ლაურენტისი კი პირადი ვერტმფრენით დაჯდა აგებულ სცენაზე და დამსწრე საზოგადოება შოკში ჩააგდო. ეს ყველაფერი რამდენიმე ტელეარხზე პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა და მაშინ ყველა იმაზე ლაპარაკობდა, „ნაპოლი" რაღაც სიურპრიზს გვიმზადებსო.

სიურპრიზი ალბათ ხუთ თამაშში მოპოვებული ოთხი ქულა და სატურნირო ცხრილში დაკავებული მე-17 ადგილია. დე ლაურენტისი საგონებელშია და გამოსავალს ეძებს. დიდია შანსი, უახლოეს დღეებში **რობერტო დონადონი** პოსტიდან მოხსნას და ამისთვის „აძურას" ექსთავკაცი მზად უნდა იყოს. ვგონებთ, უკვე მზად არის, მისი სიტყვებიდან ეს კარგად ჩანს: *„ვგრძნობ, მაქვს იმის ძალა, რომ გუნდს კრიზისი დავაძლევინო და ახალ სიმაღლეზე ავიყვანო. ყველაფერი ისე არ დაიწყო, როგორც მინდოდა, მაგრამ ყურების ჩამოყრას არ ვაპირებ. თუ მუშაობას არ დამაცდიან და გამათავისუფლებენ, არც ამისგან შევქმნი ტრაგედიას. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, სამსახურის დაკარგვა ნამდვილად არ მაშინებს".*

დონადონი იქით იყოს და, **ანდრეა დელა ვალემ** უკვე დაკარგა „ფიორენტინა". შეიძლება ასეც ვთქვათ, დატოვა კლუბის პრეზიდენტის პოსტი და ამის შესახებ, გუშინ ოფიციალურად განაცხადა. როგორც დაგეგმილი იყო, 24 სექტემბერს „ვიოლას" დირექტორატის ყრილობა გაიმართა, რომელზეც სენიორ ანდრეამ გავრცელებული ხმები დაადასტურა. ბოლო პერიოდში, იტალიაში აქტიურად ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ **დელა ვალეები** კლუბის დატოვებას აპირებდნენ. როგორც ამბობენ, გუნდის გულშემატკივრები ზეწოლას ახდენდნენ ანდრეაზე და მას სატრანსფერო ბაზარზე პასიურობაში ადანაშაულებდნენ. როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა მიღებული გადაწყვეტილების საბაბი.

კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ დროებით „ფიორენტინას" პრეზიდენტის ფუნქციებს დირექტორატის წარმომადგენელი, **მარიო კონინი** შეასრულებს.

**ლაშა ნიკლაური**

მწვრთნელი

# დელიო როსი შეთავაზებებს განიხილავს

„ლაციოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **დელიო როსი** დღემდე უმუშავარია და ახალ წინადადებებს განიხილავს. სეზონი იტალიაში უკვე დაიწყო და რამდენიმე გუნდში სამწვრთნელო ცვლილებაა მოსალოდნელი. „კორიერე დელო სპორტი" სენიორ დელიოს მართლაც რომ დროულად დაუკავშირდა და ჰკითხა, ხომ არ აწარმოებს მოლაპარაკებას რომელიმე კლუბთან. აი, როსის პასუხიც:

*„არ დავმალავ, სერია A-ს რამდენიმე კლუბისგან მართლაც მაქვს შემოთავაზება, ეგ კი არა, მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს. კონკრეტიკას ნუ მომთხოვთ, რადგან ამ გუნდებში ჩემი კოლეგები მუშაობენ და მათ მიმართ დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი. საყვარელი საქმის კეთება ძალიან მომენატრა და დიდია შანსი, ფეხბურთს მალე დავუბრუნდე. მქონდა თუ არა შემოთავაზება „ატალანტასგან"? - არა, მათ კონტეზე შეაჩერეს არჩევანი და ვფიქრობ, ანტონიო ახალ საქმეს კარგად გაართმევს თავს".*

იტალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ დელიო როსი „პალერმოსა" და „ნაპოლის" მესვეურებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.


დელიო როსი

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

### სმიტი ოთხი მატჩით დასაჯეს

შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა „რეინჯერსის" მთავარი მწვრთნელი **უოლტერ სმიტი**. გამოცდილ სპეციალისტს „კილმარნოკთან" ბოლო ტურში მსაჯთან კამათი არ აპატიეს. გლაზგოელთა დამრიგებელი არ დაეთანხმა მთავარი არბიტრის გადაწყვეტილებას, რომელმაც მოედნიდან გააძევა „რეინჯერსის" ნახევარმცველი **პედრო მენდეში**. სმიტს მოეჩვენა, რომ „კილმარნოკის" ფეხბურთელებმა მსაჯზე ზეწოლა მოახდინეს და პრაქტიკულად ძალით ამოაღებინეს მსაჯს მეორე ყვითელი ბარათი მენდეშისთვის.

საბოლოოდ, მთავარმა არბიტრმა **სტივ კონროიმ** სმიტი სათადარიგოთა სკამიდან მიაბრძანა, რის შემდეგაც მწვრთნელს დისკვალიფიკაცია მისცეს.

### ლისანდრო ერთი კვირა დაისვენებს

„ლიონის" ფორვარდი **ლისანდრო ლოპესი** საზარდულის ტრავმის გამო დაახლოებით ერთკვირიან იძულებით პაუზას აილებს. შესაბამისად არგენტინელი ლეგიონერი შაბათს „ტულუზას" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს და ჩემპიონთა ლიგაზე „დებრეცენთან" გასვლით შეხვედრაშიც არ იქნება.

ლისანდრომ სეზონის დასაწყისი ბრწყინვალედ ჩაატარა: ორი გოლი გაიტანა საფრანგეთის ჩემპიონატში და კიდევ ოთხში მონაწილეობა მიიღო. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციაში ლოპესმა ოთხი გოლი გაუტანა „ანდერლეხტს".

### ვან დერ ვაარტის გარეშე

ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწრთნელმა **ბერტ ვან მაარვიკმა** 10 ოქტომბერს ავსტრალიასთან მატჩისთვის თავისი გუნდის შემადგენლობა დაასახელა. „ნარინჯისფერთა" რიგებში ვერ ვხედავთ **რაფაელ ვან დერ ვაარტს**, რომელმაც ამ სეზონში „რეალის" შემადგენლობაში მხოლოდ 16 წუთი ითამაშა. მის გარეშე ჰოლანდიელთა განაცხადი ასეთია:

**მეკარეები:** სტეკელენბურგი (აიაქსი), ვორმი (უტრეხტი), ველტჰაიზენი (ვიტესი);

**მცველები:** ბრაფჰეიდი (ბაიერნი), ვან ბრონკჰორსტი (ფეიენოორდი), ჰეიტინგა (ევერტონი), ლოვენსი („სელტიკი"), მატიისენი (ჰამბურგი), ოოიერი (ეინდჰოვენი), ვან დერ ვილი (აიაქსი);

**ნახევარმცველები:** აფელეი (ეინდჰოვენი), ენგელაარი (ეინდჰოვენი), დე იონგი (მანჩესტერ სიტი), მენდეშ და სილვა (ალკმაარი), სხაარსი (ალკმაარი), სნეიდერი (რეალი), დე ზეუვი (აიაქსი);

**თავდამსხმელები:** ბაბელი (ლივერპული), ელია (ჰამბურგი), ჰუნტლაარი (მილანი), კუიტი ლივერპული), ვან პერსი (არსენალი), რობენი (ბაიერნი).

მოსაზრება


გარი ნევილი

# რა კარგია ფული...

„მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი **გარი ნევილი** აცხადებს, რომ პრემიერლიგის ფეხბურთელებზე მათი ასტრონომიული ჯამაგირების ყოველი „კაპიკი" ალალია. განაპირა მცველი და ინგლისის ჩემპიონთა კლუბის კაპიტანი (გუნდის კაპიტნების გარდა ინგლისში არსებობენ კლუბის კაპიტნებიც, რომლებიც შესაძლოა ამა თუ იმ შეხვედრაში თუ შეხვედრებში სულაც არ ათამაშონ, მაგრამ შიგადაშიგ საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმეებს ავალებენ და თუ გუნდი რაიმე ჯილდოს მოიგებს, თასი სწორედ მათ უნდა აღმართონ) იმ გუნდში თამაშობს, სადაც საუკეთესო ფეხბურთელებს 100 ათას ფუნტზე მეტი აქვთ კვირაში, თუმცა ნევილს ეს არ უკვირს, რადგან, მისი აზრით, სანამ მათი „წარმოებული პროდუქცია" როგორც ინგლისში, ასევე მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია, ანაზღაურება სამართლიანია.

*„ფეხბურთელების ხელფასებში განსაკუთრებული არაფერია, რადგან არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჩვენი თამაშების ტრანსლაციის უფლებებს ყიდიან და ამით მილიარდებს შოულობენ, სტადიონზე კი ჩვენი თამაშების სანახავად ყოველდღე 75 ათასი ადამიანი მოდის. გამოდის, რომ ჩვენ ვქმნით პროდუქტს, რომელიც ხალხს უყვარს".*

თუმცა, ყველა გულშემატკივარი ასე როდი ფიქრობს. ბევრს, მაგალითად, აღიზიანებს, რომ ფეხბურთელები ხშირად კლუბებისადმი ერთგულებას არ იჩენენ და კიდევ უფრო დიდი ხელფასის გამო სხვაგან გადადიან. ამაზე ნევილს სხვა პასუხი აქვს. მისი აზრით, უმაღლესი დონის ვარსკვლავები და ისინი, ვინც კარიერაში რაც შეიძლება მეტი ფულის დაგროვებას ცდილობენ, სხვადასხვანი არიან, თუმცა:

*„არქიტექტორები ფირმებს იცვლიან, რესტორნის მენეჯერები რესტორნებს - ყველა პირობების გაუმჯობესებას ცდილობს. განა, ბანკირებს უზარმაზარი ფული არ აქვთ? მაშ, რატომღა იცვლიან ბანკებს? თუმცა, ნამდვილი ფეხბურთელებისთვის მთავარი ფეხბურთია და არა ფული. განა, ექვსი წლის ბავშვს გოლი რომ გააქვს, ის უხარია, მომავალში ფულს მომცემენო? არა, რა თქმა უნდა".*

**ილია ბაბუნაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

მსოფლიოს ჩემპიონატი

# დებიუტანტის დებიუტი

დანიურ ჰერნინგში გრძელდება მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც დღეს ქალთა ტურნირი დასრულდება და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებისა დაიწყება. ამათგან მარტო ერთი, უმჩატესი – 55 კილოგრამი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები იჭიდავებენ და, შესაბამისად, ხალიჩაზე ჩვენებურთაგან მხოლოდ პირველობის დებიუტანტი **გოდერძი დავითაძე** გავა. ამ წონაში საკმაოდ ბევრი – 36 მონაწილეა და ფალავნებს მედლამდე სავალი გზაც დაუგრძელდათ. დავითაძე 34-ე ნომრით ცხრილის ქვედა ნაწილში მოხვდა და იმ უმცირესობაშია, რომელსაც ერთი შეხვედრით მეტის ჩატარება უწევს. წილისყრამ მას მეტ-ნაკლებად გაუმართლა – პირველ შეხვედრას ინდოელ **რაჯენდერ კუმართან** გამართავს. თვითონ დავითაძეც პირველად ჭიდაობს ეროვნულ ნაკრებში და მის შანსებზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მერვედფინალამდე ისეთი არავინ ხვდება, ხელი ჩავიქნიოთ. აი, მერვედფინალში ამ ქვეჯგუფიდან გასულს, სავარაუდოდ, სერიოზული მეტოქე შეხვდება – იმ მხარეს აზერბაიჯანელი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **როვშან ბაირამოვი** და ასევე ოლიმპიადის პრიზიორი, ევროპის სომეხი ჩემპიონი **რომან ამოიანი** არიან. ცხადია, ბადის ამ ნახევარში მეტ-ნაკლებად ტიტულოვანნი სხვებიც არიან, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მეორე ნახევარი უფრო ძლიერია.

ხვალ ქართველთაგან **რევაზ ლაშხი** (60), **ბადრი ხასაია** (84) და **რამაზ ნოზაძე** (96) იჭიდავებენ, ზეგ – **მანუჩარ ცხადაია** (66), **მანუჩარ კვირკველია** (74) და **გურამ ფერსელიძე** (120). იმედია, ესენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეებზე უკეთ იასპარეზებენ. შეგახსენებთ, რომ „თავისუფლებმა" ჰერნინგში ერთი ბრინჯაო მოიპოვეს, რომელიც **გიორგი გოგშელიძის** (96) ანგარიშზეა.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა ჩვენი. ქართული...

# ჯარისკაცები ეროვნულ ჩემპიონატშიც იასპარეზებენ

საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარისკაცები აქტიურად მონაწილეობენ სპორტულ ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს მათ ფიზიკურ წრთობას. დასტურად გუშინდელი დღეც კმარა: სპორტკლუბ „ორბის" დარბაზმა თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი სამსახურის (უფროსი **რევაზ კილაძე**) ინიციატივით ქართულ ჭიდაობაში გამართულ შეიარაღებული ძალების პირად-გუნდურ პირველობას უმასპინძლა, რომელშიც ქართული ჯარის დანაყოფების საუკეთესო ფალავნები მონაწილეობდნენ. დაძაბული ორთაბრძოლები ხუთ წონით კატეგორიაში გაიმართა. მაყურებელთა განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურა მძიმეწონოსანმა **გელა ბეჭვაიამ** (მე-3 ქვეითი ბრიგადა), რომელმაც ყველა პაექრობა სუფთა გდებით მოიგო, თუმცა ტექნიკური მოჭიდავისთვის განკუთვნილი პრიზი **მამუკა მაზმიშვილს** გადაეცა (70 კგ, სპეციალური ოპერაციების დაჯგუფებები).

აქვე გაგაცნობთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

60 კგ. 1. **ლაშა გაბოძე** (მე-2 საარტილერიო ბრიგადა), 2. **ჯაბა ტატიშვილი** (მე-3 ქვეითი ბრიგადა), 3. **ალეკო მზექალაშვილი** (კრწანისის სასწავლო ცენტრი).

70 კგ. 1. **ზურაბ დოლონაძე**, 2. **მამუკა მაზმიშვილი** (ორივე — სპეციალური ოპერაციების დაჯგუფებები), 3. **პაპუნა ჩადუნელი** (პირველი ქვეითი ბრიგადა).

80 კგ. 1. **თენგიზ მამადაშვილი** (სპეცოპერაციების დაჯგუფებები), 2. **გიორგი მარგიანი** (მე-3 ქვეითი ბრიგადა), 3. **გოჩა ჩახუნაშვილი** (მე-2 საარტილერიო ბრიგადა).

90 კგ. 1. **იაგო ჯავახიშვილი** (სპეცდანიშნულების ბრიგადა), 2. **გიორგი შიუკაშვილი** (პირველი ქვეითი ბრიგადა), 3. **იმედა ფერაძე** (საინჟინრო ბატალიონი).

**მძიმე წონა.** 1. **გელა ბეჭვაია** (მე-3 ქვეითი ბრიგადა), 2. **ბესო ხორბალაძე** (სამხედრო პოლიცია), 3. **ჯუმბერ ჩიხლაძე** (სპეცოპერაციების დაჯგუფებები).

**გუნდური პირველობა. 1. სპეცოპერაციების დაჯგუფებება, 2. მე-3 ქვეითი ბრიგადა, 3. მე-2 საარტილერიო ბრიგადა.**

— წლეულს საინტერესო შეჯიბრებები მოვაწყვეთ კრივში, ქართულ კრივში, რაგბიში, სნაიპერულ სროლაში, ძიუდოსა და ფეხბურთში, — გვითხრა რევაზ კილაძემ. — თვე არ გავა, მნიშვნელოვანი ტურნირი არ ჩავატაროთ. ჯერ ადგილებზე, ანუ ბრიგადებსა თუ სხვა დანაყოფებში ეწყობა პირველობები, საუკეთესოები შეიარაღებული ძალების ჩემპიონატებში ცდიან ძალებს. ასე იყო ქართულ ჭიდაობაშიც. ამ ასპარეზობის შედეგებით დავაკომპლექტებთ გუნდს, რომელიც ოქტომბერში საქართველოს გუნდურ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. თავდაცვის სამინისტრო, შტაბის ხელმძღვანელობა, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აქტიურად გვეხმარებიან. ამ შეჯიბრების ჩატარებაში გვერდში დაგვიდგა ქართული ჭიდაობის ფედერაცია, პირადად მისი პრეზიდენტი უშანგი ყურაშვილი, რისთვისაც მისი მადლობელი ვართ.

წლის ბოლომდე კალათბურთში, კიკბოქსინგსა და ტყვიის სროლაში გავმართავთ შეიარაღებული ძალების პირველობებს. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა ჩვენმა ჯარისკაცებმა ორგანიზმი გაიკაჟონ და თავდადებით ემსახურონ სამშობლოს.

ვაჟა დანელია

# ასწლოვანი მუხების ჩეროში

რუსეთ-საქართველოს შარშანდელი აგვისტოს ომისას აგრესორებმა ქართლის ბევრი სოფელი მიწასთან გაასწორეს, ზოგიც მიიტაცეს. მშობლიური მიწა-წყლიდან ოტებულთაგან ვინ სად შეაფარა თავი და ვინ — სად. სახელმწიფომაც იზრუნა მათზე და რამდენიმე კომპაქტური დასახლებაც შეიქმნა. ერთ-ერთია წეროვანი. სწორედ აქ ჭიდაობის მოყვარულთათვის მცხეთისა და მცხეთა-მთიანეთის მხარის მესვეურთა ინიციატივით ასწლოვანი მუხების ჩეროში ნახერხმოყრილი ღია სარბიელი მოეწყო. ორიოდე დღის წინ საჭიდაოს საზეიმო გახსნაზე შვიდმა გუნდა მოიყარა თავი. ნახევარფინალური და გადამწყვეტი შეხვედრები დაძაბულად წარიმართა და ერთნაირი ანგარიშით — 3:2 დამთავრდა. მცხეთა-მთიანეთის წარმომადგენლებმა შიდაქართლელებს აჯობეს, თბილისელებმა — ახალგორელებს. ფინალში მცხეთა-მთიანეთისა და თბილისის პაექრობის ბედი მძიმეწონოსანთა დაპირისპირებამ გადაწყვიტა: სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა, მცხეთელმა **მირიან პავლიაშვილმა** ტიტულოვანი ძიუდოისტი **ლაშა გუჯეჯიანი** დაჯაბნა და თავის გუნდს გამარჯვების ქულა მოუტანა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში შიდაქართლელებმა ახალგორელები დაამარცხეს.

პირად პირველობაში საქართველოს რვაგზის ფალავანმა, ახმეტელმა **ალექსი დავითაშვილმა** ყველა ორთაბრძოლა მოიგო. მეორე-მესამე ადგილებზე გორელები — **დავით კარბელაშვილი** და **პაატა ღვინიაშვილი** გავიდნენ.

ფალავნობასა და გუნდურ შეჯიბრებებში გამარჯვებულები და პრიზიორები მცხეთის, მცხეთა-მთიანეთის მხარისა და თბილისის მერიის (2 ათასი ლარი გაილო) მესვეურთა მიერ დაწესებული თასებით, მედლებით, დიპლომებითა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ. პირველ-მესამე ადგილებზე გასულ გუნდებს, შესაბამისად, 1500, 1000 და 500 ლარი, ხოლო პირადი პირველობის მედალოსნებს 1000, 500 და 300 ლარი გადაეცათ. ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა** დევნილ ახალგორელთა გუნდი 500 ლარით დაასაჩუქრა.

ქართულ ჭიდაობაში კიდევ ერთი საინტერესო ტურნირი დღეს წყნეთში გაიმართება.

ვაჟა დანელია



ალექსანდრე კოჩორაშვილის ფოტო

ძიუდო

ინტერვიუ დავით ხახალეიშვილთან

# მწვრთნელის შეცვლა ტრაგედია არ არის

ქართულ ძიუდოში დაპირისპირებასა და სკანდალურ სერიათა შესახებ პრესაში არაერთხელ დაიწერა. ცოტა ხნის წინ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი დაითხოვეს კიდეც. მის გზას ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები და მთავარი გუნდის მწვრთნელთა საბჭოს წევრებიც გაუყენეს. დაპირისპირება დღესაც გრძელდება და ეს რომ ქართული ძიუდოსთვის კარგის მომტანი არ იქნება, როტერდამის მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილმა ფიასკომაც დაგვანახვა, სადაც ამ ორომტრიალში ჩართული მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ოცდაათეულში ძლივს მოხვდა. ქართულ ძიუდოში არსებული მდგომარეობის შესახებ აზრის გაზიარება ცნობილ ვეტერან ძიუდოისტს, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და იმერეთის ძიუდოს რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტს დავით ხახალეიშვილს ვთხოვეთ... სხვათა შორის, იმერეთის ფედერაცია დღეს საქართველოს ძიუდოს ფედერაციას თითქმის მთელი შემადგენლობით მასპინძლობს, რომელიც ქუთაისში დღესვე ფედერაციის ალმასკომის სხდომას ატარებს...



დავით ხახალეიშვილი

**- ბატონო დავით, ბოლო დროს ქართულ ძიუდოში ბევრი ნეგატიური მოვლენა მოხდა. შიდა დაპირისპირებებსა და ბუნტებს საერთაშორისო ასპარეზზე განცდილი წარუმატებლობებიც დაერთო. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ყოველივე ეს და ვინ არის ამ მოვლენებზე პასუხისმგებელი?**

- ქართულ ძიუდოში ასეთი დაპირისპირება არ უნდა მომხდარიყო. არ ვიცი, რა გახდა ამის მიზეზი. ვერ გავამართლებ ვერც საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს და ვერც ამ საქმეში გარეულ სხვა პიროვნებებს, რადგან ჩვენ ყოველთვის სამაგალითონი ვიყავით, კარგად ვმუშაობდით, წარმატებებიც გვქონდა და ხალხი დიდ პატივს გვცემდა. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ამ ფაქტზე კომენტარის გაკეთება ძალიან მიჭირს. რაც შეეხება მწვრთნელების შეცვლას, მე ამ ფაქტს ტრაგედიად არ მივიჩნევ. შოთა ხაბარელი წარმატებული მწვრთნელია და ეს საერთაშორისო ფედერაციამაც არაერთხელ აღიარა, თუმცა ამირან ტოტიკაშვილსა და სოსო ლიპარტელიანს კარგად ვიცნობ და მჯერა, რომ ისინი წარმატებით იმუშავებენ. მე უფრო პრობლემურად ის მიმაჩნია, რომ ბავშვთა ძიუდოში ბევრი რამეა გასაკეთებელი. თუ ბავშვებთან სერიოზულად არ ვიმუშავეთ და რეგიონებს არ მივხედეთ, ქართული ძიუდო მასაზრდოებელ წყაროს დაკარგავს. აქამდე ყველა თბილისში იყრიდა თავს და ის მწვრთნელები, რომლებიც რეგიონებში შვილებივით ზრდიდნენ სპორტსმენებს, უკანა პლანზე რჩებოდნენ. ვფიქრობ, ყოველივე ეს უახლოეს მომავალში უნდა მოგვარდეს.

**- ისევ ქართულ ძიუდოში არსებულ დაპირისპირებაზე გკითხავთ. თქვენი აზრით, გამართლებულია იმ ძიუდოისტთა საქციელი, რომლებმაც თბილისის ევროპის ჩემპიონატს ბოიკოტი გამოუცხადეს?**

- სიმართლე გითხრათ, მე აქტიურად არ ჩავრეულვარ განვითარებულ მოვლენებში, მაგრამ ყველაზე დიდი დანაშაული ის იყო, რომ ამ საქმეში ბავშვები ჩაითრიეს, გუნდი ორად გაიყო და ეს ყველაფერი საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. მრცხვენია, ნამდვილად მრცხვენია, რომ ასე მოხდა. იმედი მაქვს, ყველაფერი მალე გაირკვევა და ხალხის ნდობას ისევ ჩვენი შედეგებით და წარმატებებით დავიბრუნებთ და არა იმით, რომ ხვალ ვინმე გამოვიდეს და თავის მართლება დაიწყოს. გუნდს სჭირდება ახალი სისხლის გადასხმა. შოთა ხაბარელი უდავოდ ღვაწლმოსილი მწვრთნელია, უდიდესი საქმე აქვს გაკეთებული ქართული ძიუდოსთვის და არა მგონია, მის წინააღმდეგ ვინმეს პიროვნული ინტერესები ამოძრავებდეს. ფედერაცია ალბათ უფრო ნაკრების გადახალისებას ცდილობს, ხაბარელმა კი გათავისუფლება ძალიან მტკივნეულად განიცადა და ყოველივე ემოციურად გამოხატა.

**-კი მაგრამ, რამდენიმე წლის წინ თქვენც საკმაოდ ემოციურად გააპროტესტეთ ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები, როცა ამჟამინდელ პრეზიდენტ დილარ ხაბულიანს უწევდით კონკურენციას...**

- სხვათა შორის, იმ არჩევნების დროს შოთა ხაბარელმა დილარ ხაბულიანის მხარე დაიჭირა. ეს რომ არ მომხდარიყო, შესაძლოა, დღეს სულ სხვა სურათი გვქონოდა... თუმცა არჩევანში ყველა თავისუფალია და ეს მისი ნება იყო.

**- რა პერსპექტივა აქვს ქართულ ძიუდოს ამ გახმაურებული ამბების შემდეგ?**

- ფედერაციამ უდიდესი პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე. ნაკრებში მოსული ნებისმიერი ადამიანი არასწორად გაკეთებული საქმის გამო მკაცრად გაიკიცხება და ბევრი მოეთხოვება საზოგადოებისგან. ძიუდოს დღეს რთული ეტაპი უდგას, ბევრი რამ არის გასაკეთებელი და ვფიქრობ, ამირან ტოტიკაშვილი და სოსო ლიპარტელიანი ფედერაციის ნდობას გაამართლებენ.

**- ფედერაციის თავკაცებისა და ნაკრების ყოფილი მწვრთნელების დაპირისპირებას რომ თავი დავანებოთ, ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ თავად საქართველოს ნაკრებია ორ ბანაკად გაყოფილი. თქვენი აზრით, ამას რა ეშველება?**

- ძიუდოისტების საქმეში გავლენიანი პიროვნებები ერევიან და თავიანთ გავლენას იყენებენ. ძიუდოისტებს ამ პიროვნებების ხათრი და პატივისცემა აქვთ, ბიჭებიც შესაბამისად მოქმედებენ და ძალიან უხერხულ სიტუაციაში აყენებენ გუნდს... ეს, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი საქციელია. ისინი მხოლოდ ნაკრებზე უნდა იყვნენ კონცენტრირებული. მათი საქმე ვარჯიში და ტურნირებზე გამოსვლაა და არა ამ გარჩევებში მონაწილეობა. ზემოთ გავლენიანები ვახსენე, მათზე ვერ დავკონკრეტდები, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭებს ერთმანეთში გასაყოფი არაფერი აქვთ და თავად ძიუდოისტები მოაგვარებენ ურთიერთობებს. გარდა ამისა, უნდა აღვადგინოთ ნდობა, რათა გულშემატკივრებს ქართული ძიუდოსი ძველებურად სწამდეთ და მისით ამაყობდნენ.

**- ალბათ, ვნებები ასე იოლადაც არ ჩაცხრება. აგერ, რამდენიმე დღის წინ ნაკრების ყოფილმა მწვრთნელებმა და ძიუდოისტთა ერთმა ჯგუფმა ფედერაციას ულტიმატუმი წაუყენეს...**

- მერწმუნეთ, რომ ეს ყველაფერი დამთავრებულია. არ მინდა, ვინმეს გული ვატკინო, მაგრამ ბატონ შოთას, რომელმაც ორი ათეული წელი ნაკრებში წარმატებით იმუშავა, შეეძლო ნაკრებიდან მეტი ღირსებით და პატივით წასულიყო. გული მწყდება, რომ იგი თავის პიროვნებას არ გაუფრთხილდა, არადა, საკუთარი შრომით დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ამ ხმაურით და დავიდარაბით კი ვერაფერი მოიგო. ახლა ჩხუბის დროს არ არის. გუნდი ფეხზეა დასაყენებელი, სწორი გადაწყვეტილებებია მისაღები, ღონისძიებებია დასაგეგმი და კიდევ ბევრი საქმეა საკეთებელი. სახელმწიფოებში პრეზიდენტები იცვლებიან და ნაკრების მთავარი მწვრთნელის შეცვლა ტრაგედია არ არის.

**- იმერეთის ძიუდოს რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი ხართ და, საინტერესოა, ადგილზე რა მდგომარეობაა?**

- ქალაქისა და მხარის ხელმძღვანელთაგან მხარდაჭერა არ გვაკლია და შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვაკეთებთ, რომ იმერეთში ძიუდომ კიდევ უფრო ღრმად გაიდგას ფესვები, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. ჩვენ არაერთი იდეა და ამოცანა გვაქვს და ამის შესახებ 25 სექტემბერს ქუთაისში გასამართავ საქართველოს ფედერაციის ალმასკომის სხდომაზე ფედერაციის ხელმძღვანელებთან ვისაუბრებთ.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

კალათბურთი — ლეგიონერები

იტალია

# სანიკიძე-მარკოიშვილის დუელის მოლოდინში



იტალიაში გადასვლის შემდეგ **ვიქტორ სანიკიძემ** მესამე საკონტროლო მატჩი ითამაშა და საუკეთესო შედეგიც უჩვენა – 8 ქულა. ვიქტორმა 8-დან 6 ქულა სამქულიანებით მოაგროვა (4-დან 2). ბოლონიის "ვირტუსის" "ფილენისთან" გამარჯვება, პირველ რიგში, **დევიდ მოსმა** განაპირობა, რომელმაც 26 ქულა მიითვალა. "ვირტუსი" მეოთხე პერიოდის წინ დამაჯერებლად იგებდა – 65:52, თუმცა მეოთხე რაუნდში თამაშის სადავეები ხელიდან გაუშვა და საბოლოოდ მხოლოდ 3 ქულის სხვაობით იმარჯვა – 89:86.

ხვალიდან სანიკიძის თანაგუნდელები პირაცის მემორიალში ჩაებმებიან, სადაც ბოლონიელთა გარდა "მილანი", "ვარეზე" და **მანუჩარ მარკოიშვილის** "კანტუ" ითამაშებენ. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: "ვირტუსი"-"მილანი" და "კანტუ"-"ვარეზე". იმედი ვიქონიოთ, რომ ქართული დუელი ფინალში შედგება.

ვაჟა სიმონიშვილი

საბერძნეთი

# ცინცაძე ათს ასცდა



**ვიქტორ სანიკიძის** დარად, ახალ კლუბს **გიორგი ცინცაძეც** დღითიდღე უკეთ ეგუება. მისმა "ტრიკალამ" "ოლიმპიაკოსთან" მეორე საკონტროლო მატჩი გამართა და 67:79 დამარცხდა. თუ წინა შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობა ბოლო 3 წუთში გაირკვა, მეორე მატჩში "ოლიმპიაკოსმა" თამაშის ბედი მესამე მეოთხედში გადაწყვიტა - ბოლო პერიოდის წინ 66:47-ს იგებდა. "ტრიკალას" რიგებში ყველაზე მეტი ქულა **კასიბ პაუელმა** მოაგროვა (15), ვიცე-ბომბარდირი ქართველი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე გახდა – 12 ქულა.

შეგახსენებთ, რომ "ოლიმპიაკოსთან" პირველ მატჩში ცინცაძემ 8 ქულა ჩააგდო, "ტრიკალამ" კი 79:89 წააგო.

გიორგიმ ახალ გუნდთან ადაპტაციაზეც ილაპარაკა: *"კარგად მიმიღეს, თანაგუნდელებთან საერთო ენა მალე გამოვნახე და მოედანზეც ბოლომდე ვუგებ. სხვათა შორის, ბერძნულ ენას მოსკოვის ცსკა-სა და "დინამოში" შევეჩვიე, სადაც პაპალუკასი, პაპადოპულოსი და ფოცისი თამაშობდნენ. მათ ჩემთვის საინტერესო ფრაზებს ვამეორებინებდი და ასე ვისწავლე ათამდე ბერძნული სიტყვა."*

ვაჟა სიმონიშვილი

გერმანია

# გამყრელიძის 7-7 ქულა-პასი



გერმანულ "მიტელდოიჩერთან" ერთად ახალი სეზონისთვის ემზადება საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **ლაშა გამყრელიძე**. მან ახალ კლუბთან ერთად ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. "მგლები" ("მიტელდოიჩერის" სიმბოლო მგელია) ჯერ "გოტინგენს" ესტუმრა და შინ "კუდამოძუებული" გამობრუნდა (85:92), შემდეგ ჩეხეთის ჩემპიონ "ნიმბურკს" გაეჯიბრა და 68:66 დაამარცხა.

რამდენიმე დღის წინ "ნიმბურკმა" გერმანელთა ფლაგმან "ალბას" მოუგო და "მიტელდოიჩერთან" სათამაშოდ ფავორიტის სტატუსით გავიდა. შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გერმანელთა ორქულიანი გამარჯვებით დასრულდა. მიმომხილველთა თქმით, მატჩის საუკეთესო ეპიზოდი მეოთხე პერიოდის დასაწყისში იყო: ლაშა გამყრელიძემ **ადეოლა დაგუნდუროს** ბურთი ფარს ზემოთ აუგდო, ხოლო აფრიკელმა NBA-ს სტილის ჩატენა შეასრულა.

"ნიმბურკთან" მატჩში ლაშა გამყრელიძემ სასტარტო გამთამაშებელ სერბ **პალჩევიჩზე** ორით მეტი ქულა ჩააგდო – 7, რასაც ამდენივე შედეგიანი გადაცემა მიაყოლა. დაგუნდურომ კი 16 ქულას მოუყარა თავი.

"გოტინგენთან" დაპირისპირებაში ვერც ქართველი გამთამაშებელი გამოირჩა და ვერც მისი გუნდი. საწყის პერიოდში 31:27 დაწინაურების შემდეგ "მიტელდოიჩერის" კალათბურთელებმა თამაში ვერ დაალაგეს და მესამე ათწუთეულში მეტოქეს 61:75 ჩამორჩნენ, თუმცა საფინალო სირენამდე რამდენიმე წუთით ადრე ანგარიში მაინც გაათანაბრეს – 82:82. საბოლოოდ "გოტინგენმა" 92:85 რომ გაიმარჯვა, უკვე გითხარით.

ამ შეხვედრაში ლაშა გამყრელიძემ მოედანზე 15 წუთი გაატარა, 4-დან 2 საჯარიმო გამოიყენა, 2 ქულას 3 შედეგიანი გადაცემა და 1 მოხსნა მიამატა.

ვაჟა სიმონიშვილი

ხორვატია

# დრამატული წაგება რუსებთან

გორიცაში გაიმართა ოთხგუნდიანი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რუსულ "უნიქსთან", ხორვატიულ "ცედევიტასთან" და სლოვენიურ "გორიცასთან" ერთად **ვლადიმერ ბოისას** "ზადარმაც" ითამაშა.

ხორვატები ნახევარფინალში ყაზანელებს დაუპირისპირდნენ. პირველ ტაიმში 14:24 ჩამორჩენის შემდეგ ზადარელებმა თამაში გამოასწორეს და 30-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს, ხოლო მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე **მარკო კარის** სამქულიანით სულაც 69:65 დაწინაურდნენ. თითქოს გამარჯვებაც ახლოს იყო, მაგრამ დარჩენილ დროში ბოისას თანაგუნდელებმა შეტევაში ვერაფერი მოახერხეს და საბოლოოდ 69:72 დათმეს.

ვოვამ 7 ქულას 11 მოხსნა მიამატა. მარკო კარის მონაგარი 19 ქულა იყო.

ფინალში "უნიქსი" "ცედევიტასთან" შერცხვა – 55:85.

მესამე ადგილისთვის მატჩში "ზადარმა" "გორიცა" დაიბრიყვა – 105:43. ამ მატჩის სტატისტიკას ვერსად მივაკვლიეთ...

სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს "ზადარი" 10 ოქტომბერს შინ ჩაატარებს. ადრიატიკის თასზე მისი მეტოქე ვლადიმერ ბოისას ყოფილი კლუბი "ოლიმპია" იქნება.



ვაჟა სიმონიშვილი

სუმოს სამყარო — აკი ბაშო. 13-27 სექტემბერი



კოკაი საფრთხეშია

# ლიმიტი ამოწურულია

5 წელიწადზე მეტია, რაც **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** ელიტური დივიზიონის დოჰიოზე შეაბიჯა და ქართველი სუმოისტი პირველად დადგა ასე აშკარად გავარდნის საფრთხის წინაშე - აკი ბაშოს დასრულებამდე სამი დღით ადრე კოკაის პირველივე მარცხი (თუ რაღაც სასწაული არ მოხდა) მაკუუჩის დივიზიონს გამოამშვიდობებს. 28 წლის სოხუმელი ფალავანი გუშინ მეშვიდედ დამარცხდა აკი ბაშოზე, მას სწორედ იმ რიკიშიმ აჯობა, ვისთან ერთადაც შეაბიჯა ელიტაში 2004 წლის იანვრის ბაშოზე - **ჰოკუტორიკიმ**. ახლა ორივე მე-14 მაეგაშირაა, მაგრამ თუკი ჰოკუტორიკი ბრწყინვალედ ჭიდაობს და ლიდერთა შორისაცაა, კოკაის საქმე ცუდად აქვს - 5-7 ბალანსით გავარდნის ალბათობა ძალზე დიდია.

დღეს კოკაის მეტოქე მე-10 მაეგაშირა **ტოსაიუტაკაა**, რომელსაც ასეთივე 5-7 ბალანსი აქვს და წაგებული უარყოფით ბალანსს იბევებს. ასე რომ, ფიცხელ ბრძოლას ველით.

მართალია, **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** უარყოფითი ბალანსი უკვე დაიბევა, მაგრამ ახალგაზრდა ქართველი მაინც ბოლომდე იბრძვის, რათა რაც შეიძლება ნაკლები საფეხურით დააქვეითონ რეიტინგში. ტოჩინოშინმა გუშინ სეკივაკე **კისენოსატო** დაამარცხა, რომელსაც იაპონური სუმოს მომავალს უწოდებენ. ლევანმა მეტოქე დოჰიოს კიდემდე გაიყვანა, იქ კი კისენოსატომ მოულოდნელად მიაყენა დარტყმა მთელი ძალით, მაგრამ ქართველმა მოასწრო და მეტოქე თან წაიყოლა და მას ზემოდანაც მოექცა. ტოჩინოშინის ბალანსი 4-8 გახლავთ, დღეს ის მთაკაც **მიაბიამას** შეეჯიბრება, რომელიც 187 კილოგრამს იწონის. თითქოს ცუდი ბაშო აქვს ტოჩინოშინს, მაგრამ მან კარიერაში პირველად მოახერხა ოძეკის (ორჯერ) და სეკივაკეს ტიტულის მფლობელი სუმოისტების დამარცხება.

აკი ბაშო კი გადამწყვეტ ფაზაში შედის. იმპერატორის თასისთვის კვლავ ორი დიდი მონღოლი, **ასაშორიუ** და **ჰაკუჰო** იბრძოლებს. პირველს მცირე უპირატესობა აქვს, რადგან ყველა შეხვედრა მოიგო. მათ კვალში 10 მოგებით ესტონელი გოლიათი **ბარუტო** უდგას.

ნიკოლოზ ნეფარიძე

| XII დღე | |
|---|---|
| ასაშორიუ (ი)-კაიო (ო) | იორიკირი |
| ჰაკუჰო (ი)-ჰარუმაფუჯი (ო) | უვატენაგე |
| ბარუტო (კ)-კოტომიცუკი (ო) | უვატენაგე |
| ტოკიტენკუ (მ4)-კოტოოშუ (ო) | ჰიკიოტოში |
| კოტოშოგიკუ (ს)-კაკურიუ (მ3) | იორიკირი |
| ტოჩინოშინი (მ1)-კისენოსატო (ს) | იორიტაოში |
| ამინიშიკი (კ)-კიოკუტენჰო (მ2) | იორიკირი |
| მიაბიამა (მ1)-ტამანოშიმა (მ3) | ჰატაკიკომი |
| ტოიონოშიმა (მ4)-შოტენრო (მ2) | იორიკირი |
| ტაკეკაძე (მ5)-ტაკამისაკარი (მ7) | ცუკიოტოში |
| გოეიდო (მ5)-მოკონამი (მ9) | შიტატენაგე |
| ჰომაშო (მ6)-შიმოტორი (მ8) | იორიკირი |
| ასასეკირიუ (მ6)-ტოჩინონადა (მ12) | იორიკირი |
| ივაკიამა (მ8)-არანი (მ7) | ვატაშიკომი |
| ტოჩიოძანი (მ12)-ტოიოჰიბიკი (მ9) | იორიტაოში |
| ბუშუიამა (მ10)-ფუტენო (მ15) | იორიკირი |
| ტოსაიუტაკა (მ10)-მასაცუკასა (მ16) | იორიკირი |
| იომიკაძე (მ15)-კასუგაო (მ11) | იორიტაოში |
| ვაკანოსატო (მ13)-კაკიძოე (მ11) | ჰატაკიკომი |
| კიმურაიამა (ძ2)-ტამაასუკა (მ13) | ოკურიდაში |
| ჰოკუტორიკი (მ14)-კოკაი (მ14) | ჰიკიოტოში |

შენიშვნა: მარცხნივ გამარჯვებული რიკიში

| XIII დღე | |
|---|---|
| ჰაკუჰო (11-1) | კოტომიცუკი (9-3) |
| ასაშორიუ (12-0) | კოტოოშუ (8-4) |
| ჰარუმაფუჯი (7-5) | ტოიონოშიმა (6-6) |
| კაიო (7-5) | კაკურიუ (8-4) |
| კისენოსატო (5-7) | ტაკეკაძე (8-4) |
| ამინიშიკი (5-7) | კოტოშოგიკუ (6-6) |
| ბარუტო (10-2) | ტოკიტენკუ (7-5) |
| ტოჩინოშინი (4-8) | მიაბიამა (3-9) |
| შოტენრო (1-11) | კიოკუტენჰო (3-9) |
| გოეიდო (7-5) | ტამანოშიმა (4-8) |
| ტოიოჰიბიკი (5-7) | ასასეკირიუ (3-9) |
| ჰომაშო (6-6) | ტაკამისაკარი (6-6) |
| არანი (5-7) | იომიკაძე (8-4) |
| ივაკიამა (6-6) | მასაცუკასა (6-6) |
| შიმოტორი (3-9) | ტამაასუკა (3-9) |
| მოკონამი (4-8) | ტოჩინონადა (2-10) |
| ტოსაიუტაკა (5-7) | კოკაი (5-7) |
| ჰოკუტორიკი (9-3) | ბუშუიამა (8-4) |
| კაკიძოე (8-4) | კასუგაო (5-7) |
| ტოჩიოძანი (8-4) | ვაკანოსატო (9-3) |
| ფუტენო (4-8) | იამამოტოიამა (8-4) |

## სატურნირო მდგომარეობა

**12-0:** ასაშორიუ (იოკოძუნა), **11-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), **10-2:** ბარუტო (კომუსუბი), **9-3:** კოტომიცუკი (ოძეკი), ვაკანოსატო (მაეგაშირა 13), ჰოკუტორიკი (მ 14)... **5-7:** კოკაი (მ 14)... **4-8:** ტოჩინოშინი (მ 1).

## ქართველთა დღევანდელი მეტოქეები

ტოჩინოშინი-მიაბიამა 1:1

### მიაბიამა



1-ელი მაეგაშირა;
32 წლის;
186 სმ და 187 კგ;
ბალანსი 521-427

კოკაი-ტოსაიუტაკა 0:1

### ტოსაიუტაკა



მე-10 მაეგაშირა;
24 წლის;
179 სმ და 136 კგ;
ბალანსი 108-66

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიგურული ციგურაობა

# ვანკუვერის საგზურისთვის

გერმანიის ქალაქ ობერსდორფში 41-ე ტრადიციული ტურნირი „ნებელჰორნ ტროფი" მიმდინარეობს ფიგურულ ციგურაობაში. ტურნირი წლეულს იმითაა გამორჩეული, რომ იქ ზამთრის ოლიმპიური თამაშების საგზურები თამაშდება. ოლიმპიადაზე ქალებში და ვაჟებში 30-30 მონაწილე გამოვა, 24-24 საგზური კი ლოს-ანჯელესის მსოფლიოს ჩემპიონატზე განაწილდა და სხვებთან ერთად ოლიმპიადაზე გამოსვლა **ელენე გედევანიშვილმაც** დაიბევა. რაც შეეხება ყინულზე ცეკვებს, ამ დისციპლინაში ოლიმპიადაზე 24 წყვილი იასპარეზებს, 19 საგზური აქაც ლოს-ანჯელესში გაიცა, დარჩა 5, რომლისთვისაც ქართული წყვილიც იბრძვის - **ოთარ ჯაფარიძეს** ახალი მეწყვილე ჰყავს, **ელისონ ლინ რიდი**. ჯაფარიძე 21 წლისაა, მან უკვე სამი პარტნიორი გამოიცვალა (**მარინა შელცინა, ეკატერინა ზაიკინა** და **იზაბელა ტობიასი**). ელისონ რიდი 15 წლისაა.

ობერსდორფში ყინულზე ცეკვებში 17 წყვილი მონაწილეობს, აქედან მხოლოდ შვიდს აქვს მოსაპოვებელი ოლიმპიური ლიცენზია, სწორედ ამ შვიდეულში გათამაშდება 5 ოლიმპიური „საგზური". ჩვენების კონკურენტი წყვილები არიან ავსტრალიიდან, ჩინეთიდან, ჩეხეთიდან, ესტონეთიდან, საბერძნეთიდან და უნგრეთიდან. სხვა წყვილები ნაკლებად გვაინტერესებს.

გუშინ აუცილებელი პროგრამა იყო და ჩვენს ახალბედა დუეტს ერთი კონკურენტი ეგრევე ჩამოშორდა, ავსტრალიურმა დუეტმა **დანიელე ობრაიენისა** და **გრეგორი მერიმენის** შემადგენლობით ასპარეზობა მიატოვა. ასე რომ, ვანკუვერის ლიცენზიისთვის 6 მებრძოლი წყვილი დარჩა, საგზური კი შეგახსენებთ, ხუთია.

პირველი პროგრამის შემდეგ ქართული დუეტი 16 მონაწილეს შორის მე-14 ადგილზეა 23,12 ქულით. ჩვენები ბერძნებს და ფინელებს უსწრებენ. ფინელები ოლიმპიადის საგზურისთვის არ იბრძვიან. ასე რომ, ქართული დუეტი ნამდვილ კონკურენტთაგან მხოლოდ ბერძნულ გუნდს უსწრებს (სხვებს კი ბევრად ჩამორჩება), მაგრამ ესეც სავსებით საკმარისია ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად, მთავარია, ჯაფარიძემ და რიდმა შეინარჩუნონ ეს პოზიცია და ბერძნებს ჯობნა არ დაანებონ. ყინულზე ცეკვებში სამი ეტაპია აუცილებელი, ორიგინალური და თავისუფალი პროგრამები.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ბოლო ტურის წინ

ჩინეთში დღეს დამთავრდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც **ნანა ძაგნიძეც** მონაწილეობს. ქართველი დიდოსტატი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ეტყობა, ვერ არის თამაშის ჩვეულ იმტაზე და ასპარეზობის მონაწილეთა შორის რეიტინგით მეოთხეს გათამაშების ცხრილში 3,5 ქულით მისთვის შეუფერებელი 35-ე ადგილი უკავია. გუშინ იგი შავი ფიგურებით მასპინძელ **ჰი ჩიანს** დაუზავდა. დღეს ბოლო ტურში თეთრებით წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩინეთის მე-2 გუნდის წევრ **ვან სიაოჰუის** დაუპირისპირდება (ამ შეჯიბრების შემდეგ ნანა ჩინეთშივე ფიდეს გრან პრიში ითამაშებს). ტურნირს 7 ქულით ერთპიროვნულად ვიეტნამელი **ლე ქუანგ ლიემი** მეწინავეობს. ლიდერს ქულით **იუ იანი** ჩამორჩება. 5 მოჭადრაკეს 5,5-5,5 ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**

# კვინტეტი სათავეში


თორნიკე სანიკიძე

ბაქოში მოჭადრაკეთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-4 ტურის პარტიები გათამაშდა. ჩვენებურთა ერთი ნაწილისთვის იგი უიღბლო აღმოჩნდა: **კონსტანტინე შანავა ილია სმირინთან** დამარცხდა, **დავით მაღალაშვილმა ბორის სავჩენკოსთან** წააგო, **ნინო ხურციძემ შაჰრიარ მამედიაროვთან** დაყარა ფარ-ხმალი. საგულისხმოა, ყველა ქარველი მოჭადრაკე თეთრი ფიგურებით თამაშობდა. **გატა კამსკიმ მაკა ფურცელაძეს** აჯობა, სამაგიეროდ, **მალხაზ სულაშვილმა ვიქტორ მახალევსკის** სძლია.

ჩვენებურთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **თამაზ გელაშვილი-მერთ ერდოღლუ** 1:0, **თორნიკე სანიკიძე-მიხეილ კეკელიძე** 1:0, **გაიოზ ნიგალიძე-დავით ჯოჯუა** 0,5:0,5, **რასულ იბრაჰიმოვი-შოთა აზალაძე** 0,5:0,5, **დავით ბენიძე-ემრე ქანი** 0,5:0,5, **შაჰრიარ რახმანოვი-ლევან ფანცულაია** 0:1, **ალექსანდრა ვახანია-ბელა ხოტენაშვილი** 0:1, **ელდარ მუსაევი-ივერი ჭილლაძე** 1:0, **რამილ ჯავადოვი-ბაჩანა მორჩიაშვილი** 0:1, **ლილე ცალუღელაშვილი-ნიჯათ აგაევი** 0:1.

ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 5 მოჭადრაკე ლიდერობს, მათ შორის სამი ქართველია. ესენი არიან: **თამაზ გელაშვილი, მალხაზ სულაშვილი** და **თორნიკე სანიკიძე**. გაუწყებთ დანარჩენ ქართველთა მონაგარს - **დავით ჯოჯუა, გაიოზ ნიგალიძე - 3,5-3,5, მიხეილ კეკელიძე, დავით მაღალაშვილი, შოთა აზალაძე, კონსტანტინე შანავა, ნინო ხურციძე, ბაჩანა მორჩიაშვილი, ლევან ფანცულაია, დავით ბენიძე, ბელა ხოტენაშვილი - 3-3, მაკა ფურცელაძე - 2,5, ალექსანდრა ვახანია, ივერი ჭილლაძე, ლილე ცალუღელაშვილი - 2-2 ქულა.**

დღეს ითამაშებენ: **სმირინი** (4)-**გელაშვილი** (4), **სავჩენკო** (4)-**სანიკიძე** (4), **სულაშვილი** (4) -**კამსკი** (3,5), **მამედიაროვი** (3,5)-**ჯოჯუა** (3,5), **მამედოვი** (3,5)-**ნიგალიძე** (3,5).

**ვაჟა დანელია**

## მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის პირველი შემადგენლობა დაბადებიდან საუბილეო 80 წელს ულოცავს ამავე პერიოდის აღმასკომის წევრს, სეოკ-ის დაფუძნების საორგანიზაციო კომიტეტის წევრს ნიკოლოზ ცხაკაიას.

ჩოგბურთი

# დღეს ერთი ქართველი რჩება

თელავის ღია პირველობაზე (25 ათასი $) მერვედფინალური მატჩები გაიმართა, გულშემატკივართა ინტერესს ტურნირის პირველი ჩოგნის, **ოქსანა კალაშნიკოვასა** (198) და **სოფიო შაფათავას** (371) დაპირისპირება იწვევდა. დღის მატჩი დაძაბული გამოდგა და ფავორიტმა ოდნავი უპირატესობით იმარჯვა - 7:6 (7), 6:4. დღეს ოქსანას კიდევ ერთ თანამემამულესთან მოუწევს დაპირისპირება, თელავის თიხნარზე მის წინააღმდეგ **თათია მიქაძე** (738) დადგება. თათიამ ჰოლანდიელი **ჩეინ ევიკი** (645) **დაამარცხა** - 6:4, 7:6 (5).

ტურნირს დაემშვიდობა **მანანა შაფაქიძე** (554), „უაილდ ქარდით" მიწვეულმა ქართველმა მერვედფინალში უკრაინელ **ვერონიკა კაპშაისთან** (593) წააგო - 2:6, 3:6. ახლა კაპშაი მე-3 ნომრად განთესილ ავსტრიელ **მელანი კლაფნერს** (273) შეხვდება. კლაფნერმა გზიდან **კატერინა ავდიენკო** (უკრაინა, 733) ჩამოიცილა - 6:3, 6:2.

ბადის მეორე ნახევარში ქართველი აღარ დარჩა, იქ გუშინ ერთი სენსაცია დაფიქსირდა - საკვალიფიკაციო ტურნირიდან გასულმა ლატვიელმა **დიანა მარცინკევიჩამ** (631) მე-4 ნომრად განთესილი სლოვენიელი **ტადეა მაჟერიჩი** (299) გაანადგურა - 6:1, 6:1. ერთეულთა თანრიგს 8 განთესილიდან ნახევარიღა შემორჩა.

წყვილთა თანრიგში უკვე ნახევარფინალის დროა, ოქსანა კალაშნიკოვასა და მელანი კლაფნერის მე-2 ნომრად განთესილი წყვილი „უაილდ ქარდით" მიწვეულ მანანა შაფაქიძესა და თათია მიქაძეს ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## თელავის ღია პირველობა

| | |
|---|---|
| **ერთეულები. მერვედფინალი** | |
| ოქსანა კალაშნიკოვა (1)-სოფიო შაფათავა | 7:6 (7), 6:4 |
| თათია მიქაძე-ჩეინ ევიკი (ჰოლანდია) | 6:4, 7:6 (5) |
| მელანი კლაფნერი (ავსტრია, 3)-კატერინა ავდიენკო (უკრაინა) | 6:3, 6:2 |
| ვერონიკა კაპშაი (უკრაინა)-მანანა შაფაქიძე | 6:2, 6:3 |
| ალიონა სოტნიკოვა (უკრაინა)-განა პივენი (უკრაინა) | 6:1, 6:1 |
| დიანა მარცინკევიჩა (ლატვია)-ტადეა მაჟერიჩი (სლოვენია, 4) | 6:1, 6:1 |
| რეკა-ლუკა იანი (უნგრეთი, 6)-ივეტა გერლოვა (ჩეხეთი) | 6:2, 6:4 |
| კრისტინა ანტონიჩუკი (უკრაინა, 2)-ვივიენ ვიერინი (იტალია) | 6:1, 6:3 |
| **მეოთხედფინალი** | |
| ოქსანა კალაშნიკოვა (1)-თათია მიქაძე | |
| მელანი კლაფნერი (ავსტრია, 3)- ვერონიკა კაპშაი (უკრაინა) | |
| ალიონა სოტნიკოვა (უკრაინა)- დიანა მარცინკევიჩა (ლატვია) | |
| რეკა-ლუკა იანი (უნგრეთი, 6)- კრისტინა ანტონიჩუკი (უკრაინა, 2) | |
| **წყვილები. მეოთხედფინალი** | |
| კაპშაი/მილევსკაია (1)-მარცინკევიჩა/ვიერინი | 6:2, 3:6, 10:8 |
| ევიკი/მედენსი-ჟიძია/შაფათავა | 6:2, 6:1 |
| მიქაძე/შაფაქიძე-პირაჟენკა/იამელიანავა | 6:2, 6:1 |
| კალაშნიკოვა/კლაფნერი (2)-გრიმალსკა/პიმკინა | 7:5, 7:5 |
| **ნახევარფინალი** | |
| კაპშაი/მილევსკაია (1)- ევიკი/მედენსი | |
| მიქაძე/შაფაქიძე- კალაშნიკოვა/კლაფნერი (2) | |



# თელავური საჩოგბურთო პეიზაჟები

თელავი, როგორც ქალაქი, წელთაღრიცხვის მეორე საუკუნიდან მოიხსენიება. ტყუილს ვერ ვიტყვით, კორტები მაშინვე იყოო, მაგრამ მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან რომ არის – ეს ნაღდია. კორტების დაარსება სპორტის დიდი მომაგის **თამაზ (ფარჩო) ანთაძის** ინიციატივას უკავშირდება. თავდაპირველად ხუთი კორტი მოეწყო და ვინ აღარ სტუმრებია ქალაქს, ჩოგბურთელი თუ მის გარშემო მოტრიალე. თელაველებმაც ჩოგნები მოვიმარჯვეთ და ვიქნევდით დაღლამდე. ბუმი კი არა, ბუღი ტრიალებდა ჩოგბურთის... მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მერე გუბერნატორმა **გია ნაცვლიშვილმა** კორტები მოინახულა და ბაზა მკვდრეთით აღდგა. 2007-ში ქალთა ოცდახუთათასიანი საერთაშორისო ტურნირი რიხიანად ჩატარდა. მომდევნო წელს ომი იყო. წლეულს კი აწ უკვე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ნაცვლიშვილმა ჩოგბურთის ფედერაციასთან, კახეთის გუბერნიასთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთად შეპირებული ტურნირი „ჩამოიტანა" და კიდევ ერთხელ აახმაურა ქალაქი, კვლავ ოცდახუთიათასიანით.

თელავი თვრამეტი ქვეყნის წარმომადგენლებს მასპინძლობს. თუმცა კოკისპირულმა წვიმებმა მაგრად შეაფიქრიანა ორგანიზატორები. თელაველებს კი ცაში ცქერით კისრები გაუშეშდათ – არ ჩაგვეშალოსო ტურნირი. ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლეილა მესხს და სერბ კომისარს ნერვიულობას ვერ შეატყობდით.

თელავში ჩოგანზე ბურთის კონტაქტის მონოტონური ხმა ისმის და მაყურებელიც ბლომადაა. ქრონოლოგიურად კი ეს დღეები ასე გამოიყურებოდა: 20 სექტებერი – ცას შევყურებდით, დღე ჩავარდა; 21 სექტემბერი – ნახევარი დღე ცას შევყურებდით, ნახევარი კი საკვალიფიკაციო შეხვედრებს; 22 სექტემბერი – დღე მთლიანად დაიტვირთა; 23 სექტემბერი – დღე უფრო მეტად დაიტვირთა, რადგან საღამოს მასპინძლებმა ბანკეტი გაუმართეს სტუმართა სრულ შემადგენლობას. 24 სექტემბერი - მოეწყო პრესკონფერენცია, რომელზეც თქვეს – ტურნირი ტრადიციული, ყოველწლიური იქნებაო, ანუ რეკლამა თელავს, სპორტული ზრდა ქართველ ჩოგბურთელებს.

**ნიკო ვაჟელიშვილი**

# ჯობდა, თელავში ეთამაშა

ძალზე წარუმატებლად ითამაშა ალბუკერკის საერთაშორისო ტურნირში (აშშ, 75 ათასი $) საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (158). ანა ერთეულთა და წყვილთა თანრიგებში პირველ წრეს ვერ გასცდა, არადა, ტურნირზე მე-4 ნომრად განთესეს. ჯობდა, თანამემამულეთა მსგავსად, მასაც თელავის საერთაშორისო ტურნირში ეთამაშა, რაც ერთიორად გაზრდიდა თელავური ტურნირის პრესტიჟსა და მაყურებლის ინტერესს მის მიმართ. ანას წარუმატებლობა მით უფრო საკვირველია, რომ მისი მეტოქე საკვალიფიკაციო წრიდან გამოსული ჩოგბურთელი **აილა ტომლიანოვიჩი** იყო (516). 16 წლის ხორვატმა სამ სეტში მოუგო გაცილებით გამოცდილ ქართველს - 6:7 (3), 6:1, 6:2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ანა ტატიშვილი

ფორმულა 1




# რენოს ახალი შეფი ჰყავს

ფრანგულმა საჯინიბო „რენომ“ საჭირო საკადრო გადაადგილებები მოახდინა მას შემდეგ, რაც მისმა ყოფილმა შეფებმა **ფლავიო ბრიატორემ** და **პეტ სიმონდსმა** გუნდი დატოვეს.

როგორც გუნდის ოფიციალური განცხადებიდან ვიგებთ, ტექნიკურმა დირექტორმა **ბობ ბელმა** ბრიატორეს ადგილი დაიკავა და საჯინიბოს ხელმძღვანელი გახდა, **ჟან-ფრანსუა კაბო** კი მმართველი დირექტორი იქნება. ეს ორი პიროვნება უშუალოდ ანგარიშს ჩააბარებს გუნდის პრეზიდენტ **ბერნარ რეის**.

ფრანგი ჟურნალისტები იტყობინებიან, რომ ბელი ყველა დარჩენილ რბოლას დაესწრება და გუნდს სხვადასხვა სპორტულ თუ ტექნიკურ ღონისძიებებზე წარადგენს.

ბელი ფორმულა 1-ში ავიაციიდან მივიდა. კარიერა „მაკლარენში“ დაიწყო, 1997 წელს „ბენეტონში“ გადავიდა. „ჯორდანთან“ მცირეხნიანი თანამშრომლობის შემდეგ ბრიტანელი „ბენეტონში“ დაბრუნდა, რომელიც სწორედ იმ მომენტში გამოისყიდა „რენომ“. 2002 წლიდან ის ტექნიკური დირექტორის პოსტს იკავებს.

■ ■ ■

ამასობაში „რენომ“ ულტიმატუმი წაუყენა **ბერნი ექლსტოუნს**: ან ფრანგული საჯინიბო შეძლებს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის **ფერნანდო ალონსოს** შენარჩუნებას, თუ არა და, წინაალმდეგ შემთხვევაში, კომპანია დატოვებს ფორმულა 1-ს. პრესაში წერენ, რომ ექლსტოუნი არ აპირებს კიდევ ერთი ავტომწარმოებლის დაკარგვას და ყველანაირად ცდილობს, რომ ალონსომ ერთი წლით გააგრძელოს კონტრაქტი ფრანგულ გუნდთან. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, ესპანელი „ფერარიში“ ვერ გადავა.

# მასა ფერარიში რჩება, ვინ იქნება მეორე?

„ფერარი“ უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში დაასახელებს 2010 წლის შემადგენლობას. „სკუდერიას“ პრეზიდენტის **ლუკა დე მონტეძემოლოს** განცხადებით, მომავალ წელს გუნდში ადგილი მხოლოდ **ფელიპე მასას** აქვს გარანტირებული, რაც შეეხება მეორე პილოტის ვინაობას, აქ იტალიელები ჯერ გაურკვევლობაში არიან. „ფერარიში“ ფიქრობენ - 2010 წლის ბოლომდე დაიტოვონ **კიმი რაიკონენი** თუ ის **ფერნანდო ალონსოთი** შეცვალონ.

*„ესპანელი თუ ფინელი მრბოლელი? გადაწყვეტილებას უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში მივიღებთ. შემდეგ სეზონში ჩვენთან აუცილებლად იქნება ფელიპე მასა, რომელიც საბედნიეროდ გამოჯანმრთელდა და კიდევ ერთ შანსს იმსახურებს. რაც შეეხება მეორე პილოტს, აქ კიდევ გვაქვს დაფიქრების საშუალება და კანდიდატებიდან საუკეთესოს ამოვარჩევთ“,* - მოჰყავს დე მონტეძემოლოს სიტყვები სააგენტო „როიტერს“.



# პიკე ფორმულაში დაბრუნდება

ბრიტანული გაზეთი „გარდიანი“ წერს, რომ სინგაპურის შარშანდელი გრან-პრის გარშემო ატეხილი სკანდალის მიუხედავად, ბრაზილიელი **ნელსინიო პიკე** მომავალ წელს ფორმულა 1-ში დაბრუნდება. მომავალი წლის დებიუტანტი გუნდებისთვის ბრაზილიელი პილოტის სარბოლო თვისებები გადამწყვეტი არ იქნება. მათთვის მთავარი ფაქტორი უნდა გახდეს ფინანსური მხარდაჭერა, რომელსაც ნელსინიო თავისი მულტიმილიონერი მამისგან, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ნელსონ პიკესგან** იღებს.

*„შესაძლოა, ყველას ჰგონია, რომ მთელი ამ ნეგატიური რეკლამის შემდეგ პიკეს ფორმულა 1-ში დაბრუნების შანსი აღარ აქვს. მაგრამ ეს ასე არ არის. ნელსინიოს მამას საოცარი კავშირები აქვს და რთული წარმოსადგენია, რომ ახალმა გუნდებმა უარყონ უფროსი პიკეს სპონსორული თანხები იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნელსინიო მათთვის ზედმეტი ტვირთი გახდება“,* - წერს „გარდიანი“.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი

ინტერვიუ ჰედო თურქოგლუსთან

# პლეი ოფში იღბალი არ გვეყო

პოლონეთში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე თურქეთის ნაკრებმა თავიდან ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ფინიში ჩააგდო. თუმცა არავის მოუვა თავში აზრად ბოგდან ტანევიჩის შეგირდების კრიტიკა - სლოვენიასთან და საბერძნეთთან ორ უმნიშვნელოვანეს მატჩში წაგების მიუხედავად, თურქეთი კონკურენტებზე უარესად არ გამოიყურებოდა, გარდა ამისა გუნდმა ორივე მომავალ ფინალისტს - ესპანეთსა და სერბეთს აჯობა. თურქების კაპიტანი ჰედო თურქოგლუ ლაპარაკობს მიზეზებზე, რის გამოც მისმა გუნდმა მედლებამდე მისვლა ვერ შეძლო, გარდა ამისა თურქი იმასაც გვიხსნის, რატომ ამჯობინა ამ ზაფხულს „ტორონტოში“ გადასვლა.



**- რა ხასიათზე ხართ ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფში ზედიზედ სამი წაგების შემდეგ?**

- რატომღაც მეგონა, რომ ჩემპიონატის ბოლო უქმეებს უკეთესად ჩავატარებდით. თუმცა, მეორეს მხრივ, მეოთხედფინალში ბერძნებთან წაგების შემდეგ მოთამაშეებს მოტივაცია თითქმის აღარ დარჩათ. ბოლო ორი მატჩიც ამიტომ წავაგეთ. მეტოქეებისგან განსხვავებით, ჩვენ გარანტირებული გვქონდა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა ევრობასკეტს მეხუთე ადგილზე დავასრულებდით თუ მერვეზე. მოწინააღმდეგეები კი მსოფლიოს საგზურისთვის ორმაგი ენერგიით იბრძოდნენ.

**- საერთო ჯამში როგორ შეაფასებთ პოლონეთში გამოსვლას?**

- ღირსეულად გამოვედით. წარმატებული ჩემპიონატი იყო იმ მხრივ, რომ ევრობასკეტზე მსოფლიოს საგაისო ჩემპიონატისთვის ახალ გუნდს ვაშენებდით და ამ ეტაპზე საერთო მზადყოფნით კმაყოფილები ვართ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჯგუფში სლოვენიასთან და მეოთხედფინალში საბერძნეთთან ბოლო წამებზე ანგარიშის გათანაბრება შეგვეძლო, რადგან ბოლო შეტევის უფლება ჩვენ გვქონდა, მაგრამ ათსიურმა და არსლანმა სამქულიანები ააცილეს. თუმცა მათი დადანაშაულება სისულელე იქნებოდა, რადგან მსგავს სიტუაციაში ნებისმიერი ჩვენთაგანი შეიძლება აღმოჩენილიყო.

**- ბევრი ჟურნალისტი საბერძნეთთან მატჩის შემდეგ გაკვირვებული იყო - ოვერტაიმის ბოლოს რატომ ისროლა სამქულიანი არსლანმა და არა თქვენ ან თუნჩერიმ. სხვათა შორის, იმ დღეს ონანსაც კარგად მისდიოდა სროლა...**

- რთული სათქმელია. ასეთ სიტუაციებში ყოველთვის უკეთესის იმედი გაქვს და ცდილობ არ იფიქრო იმაზე, რომ შენმა პარტნიორმა შეიძლება სროლა ააცილოს. იმის გათვალისწინებით, რომ ძირითად დროში სწორედ არსლანმა ჩააგდო სირენასთან ერთად ორქულიანი და ანგარიში გაათანაბრა, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ის კიდევ ერთხელ შეეცდებოდა გუნდის გადარჩენას...

**- მაშინ რამ შეუშალა ხელი?**

- ჩვენ ძალიან ნელა გამოვედით დაცვიდან, ჩავთვალეთ, რომ გააზრებული შეტევისთვის დრო საკმარისი გვქონდა. ამ დროს არსლანმა ტაბლოს გახედა და შეშინდა, რომ დრო აღარ გვეყოფოდა, ამიტომაც მეტოქის მოტყუება და სროლა გადაწყვიტა... სამწუხაროდ არ გაუმართლა არც მას და არც ჩვენ. იმ მომენტში იღბალმა ზურგი გვაქცია, არადა მანამდე ის აშკარად ჩვენს მხარეს იყო.

**- თუ იმ შეხვედრის პერიპეტიებს გავიხსენებთ, თურქეთს ძირითად დროში თამაშის მოგების შანსი ჰქონდა. ორი ქულით იყავით წინ, როცა საფინალო სირენამდე 46 წამით ადრე ილიასოვამ მეტოქეს დაუფარა და ონანი სწრაფ კონტრშეტევაზე გადავიდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ დრო გაეყვანა, სამქულიანი ესროლა...**

- ონანს უპირატესობის ხუთ ქულამდე გაზრდის კარგი შანსი ჰქონდა, რადგან მანამდე ოთხიდან სამი სამქულიანი ჩააგდო. ვფიქრობ, იმ მომენტში ის საკუთარ თავში დარწმუნებული იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გარისკავდა. თანაც მისი უზუსტობა ისეთი დამღუპველი არ ყოფილა, როგორიც ჩემი 15 წამით ადრე. ხომ ხედავთ, იმ აზრამდე მივედით, რომ მე და ონანი სწორედ არსლანმა გადაგვარჩინა, რადგან ოვერტაიმში გადაიყვანა შეხვედრა, არადა ჩემპიონატის შემდეგ მას თურქული პრესის რისხვა დაატყდა თავს. კალათბურთი არაპროგნოზირებადი თამაშია. აქ შესაძლებელია მთელი თამაში აგებდე, ბოლოს სამქულიანი ჩააგდო და გაიმარჯვო.

**- ბევრს მიაჩნია, რომ „იუტას“ ცენტრის მეჰმეთ ოქურის არყოფნამ გუნდზე დადებითად იმოქმედა. თქვენც ასე ფიქრობთ?**

- ეჭვგარეშეა, რომ მემოსთან ერთად თურქეთის ნაკრები უფრო მრისხანე ძალა იქნებოდა, მაგრამ პოლონეთში მის გარეშეც კარგად გამოვიყურებოდით. ვცდილობდით გუნდური კალათბურთი გვეთამაშა და ყველა მოთამაშის ძლიერი მხარე გამოგვეყენებინა. სწორედ ამის წყალობით დავამარცხეთ საკვალიფიკაციო ეტაპებზე მომავალი ფინალისტები - ესპანელები და სერბები. ამასთან, ნუ დაგვავიწყდება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო საქმეში გვენახა ახალგაზრდა კალათბურთელები. ჩემი აზრით, მათ ბრწყინვალედ გამოიყენეს ეს შანსი.

**- ევრობასკეტიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე გადავიდეთ. თქვენ მასპინძლები ხართ, მაგრამ მაინც გაგიჭირდებათ ოქროსთვის ბრძოლა...**

- დღეს ამაზე ლაპარაკი რთულია. რა თქმა უნდა, შინ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე შევეცდებით ბოლომდე დავიხარჯოთ და გულშემატკივრები ლამაზი თამაშითა და რომელიმე სინჯის მედლით გავახაროთ. თუმცა ისეთ ძლიერ კონკურენტებთან ბრძოლაში, როგორებიც არიან აშშ, ესპანეთი, სერბეთი, საბერძნეთი, ბრაზილია, ამის გაკეთება ძალიან რთული იქნება.

**- პოლონეთში ხშირად დარბაზები სანახევროდ ცარიელი იყო. თურქეთში დასწრების მხრივ მსგავსი პრობლემები მოსალოდნელია?**

- დარწმუნებული ვარ, ჩვენს მატჩებზე არენები გადავსებული იქნება, გარდა ამისა ყველა მოინდომებს NBA-ის ვარსკვლავების საქმეში ხილვას. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერებაა, როცა თქვენს ქალაქში სათამაშოდ ჩამოდიან - ლებრონ ჯეიმსი, დუაიტ ჰოვარდი, კობი ბრაიანტი, დუეინ უეიდი და სხვები. ესპანეთის ნაკრებიც პოპულარული იქნება. ამ გუნდმა იცის, რა არის კარგი კალათბურთი.

**- ბევრს აინტერესებს რატომ არ დარჩით პერსპექტიულ „ორლანდოში“, რატომ არ მიიღეთ „პორტლენდის“ წინადადება და რამ გაიძულათ „ტორონტოში“ კარიერის გაგრძელება?**

- არ მინდა იმ მოვლენებს დავუბრუნდე, რომელიც „ორლანდოდან“ ჩემს წასვლას ეხება - ამის შესახებ პრესაში ისედაც ბევრი დაიწერა. რაც შეეხება „რეპტორზს“, მოვიხიბლე არა ოდნავ უკეთესი შემოთავაზებით, როგორც ეს ბევრს ჰგონია, არამედ ქალაქით. ტორონტო - კანადის უდიდესი ქალაქია. ის ე. წ. „ოქროს ნალის“ (ონტარიოს ტბის დასავლეთი ნაწილის გარშემო მჭიდროდ დასახლებული რეგიონი) ნაწილს წარმოადგენს. ამასთან ტორონტო ერთ-ერთი ყველაზე უხიფათო მეგაპოლისია - აქ ყველა ეროვნება და კულტურა კონფლიქტის გარეშე ეწყობა ერთმანეთს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის.

**- რას ელოდებით NBA-ის ახალი სეზონისგან და პირადად რა მიზნებს ისახავთ მომავალ რეგულარულში?**

- მთავარი მიზანი - გუნდის პლეი ოფში გაყვანა და იქ რაც შეიძლება შორს წასვლაა. „ტორონტოში“ კარგი ბიჭები შეიკრიბნენ, ყველას უნდა წარმატების მიღწევა, ამიტომაც შევეცდებით გავამართლოთ გულშემატკივრებისა და მენეჯერების მოლოდინი. პირადად მე რაც შემეხება, იმაზე უარესად არ უნდა ვითამაშო, ვიდრე ამას ბოლო ორ სეზონში „ორლანდოს“ შემადგენლობაში ვაკეთებდი.

# რობინსონი ნიქსში დარჩა

შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტი **ნეიტ რობინსონი** დღეს გააფორმებს ერთწლიან კონტრაქტს „ნიუ იორკ ნიქსთან“. 2009 წელს ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული „ნიქსის“ წინადადებას დათანხმდა - კლუბმა მცველს მომავალი სეზონისთვის 2.9 მილიონი დოლარი შესთავაზა.

ნიუიორკელთა კიდევ ერთი თავისუფალი აგენტი **დევიდ ლი** ასევე უახლოეს ხანში გააფორმებს „ნიქსთან“ ერთწლიან კონტრაქტს. ორივე კალათბურთელს „ნიუ იორკთან“ მრავალწლიანი ხელშეკრულების დადება უნდოდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ამაზე უარი განაცხადა, რადგან მას მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტების ბაზარზე მაქსიმალურად დიდი ბიუჯეტით შესვლა სურს. როგორც ცნობილია, „ნიუ იორკი“ გაისად **ლებრონ ჯეიმსის** ხელში ჩაგდებას ეცდება.

■ ■ ■

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ საკრამენტოს Arco Arena გამოუსადეგარია NCAA-ის მატჩების ჩასატარებლად, ქალაქის მერმა და NBA-ის ყოფილმა ვარსკვლავმა **კევინ ჯონსონმა** გამოაცხადა, რომ საკრამენტომ, შესაძლოა, დაკარგოს საკალათბურთო კლუბი „კინგზი“. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ქალაქში ახალი არენა არ აშენდება.

*„თუ უახლოეს მომავალში ახალი არენის აშენების გეგმას არ შევიმუშავებთ, საკრამენტოს მოსახლეობა უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ „კინგზი“ სხვა ქალაქში გადავა სათამაშოდ“*, - ამბობს საკრამენტოს მერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ხანძარი კიევში




სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** ამჟამად ლოს-ანჯელესში იმყოფება და 26 სექტემბერს ამერიკელ **კრის არეოლასთან** შესახვედრად ემზადება. ამის პარალელურად კიევში იმ სახლის ნაწილი დაიწვა, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონი ცხოვრობს. საბედნიეროდ, ვიტალის ოჯახის წევრები ხანძრის დროს შინ არ იმყოფებოდნენ.

*„ვიტალის ოჯახი ამჟამად კიევში იმყოფება, მაგრამ ხანძრის დროს მისი მეუღლე ნატალია და ბავშვები შინ არ იყვნენ,* - ამბობს ვიტალი კლიჩკოს პრესმდივანი **ირინა დაციუკი**. - *იმის გამო, რომ კლიჩკოები მაღალ სართულზე ცხოვრობენ, მათი ბინა თითქმის არ დაზარალებულა. ჩვენ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ეს იყოს ვიტალის მეტოქის, კრის არეოლას გუნდის მოწყობილი აქცია უფროსი კლიჩკოს ფსიქოლოგიური ტონუსის დასარღვევად“.*

სანამ კლიჩკოს სახლში ხანძარს აქრობდნენ, ლოს-ანჯელესში ვიტალის ძმამ - **ვლადიმერმა** ავტორიტეტული ჟურნალის „რინგის“ საჩემპიონო ქამარი მიიღო.

„კრივის ბიბლიის“ (ასე უწოდებენ მეორენაირად ჟურნალ „რინგს“) წარმომადგენელმა **ივან გოლდმენმა** აღნიშნა, რომ ამ პრესტიჟულ საჩემპიონო ქამარს უკვე მეორე კლიჩკო ეუფლება. გოლდმენის თქმით, ვლადიმერის გამარჯვება **რუსლან ჩაგაევთან** ვიზუალურად იოლი ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ამიტომაც „რინგისთვის“ დიდი პატივია ღირსეული ჩემპიონისთვის საჩემპიონო ქამრის გადაცემა.

*„კვირას ყველანი ბრწყინვალე ბრძოლას ვიხილავთ,* - განაცხადა ვლადიმერ კლიჩკომ დაჯილდოების ცერემონიაზე. - *ჩემს ძმასა და კრისს წარმატებას ვუსურვებ. „რინგს“ კი მადლობას ვუხდი ამ ქამრისთვის. მასზე ხუთი წელი ვნადირობდი და ახლა ის ჩემი საკუთრებაა“.*

# ჯონსი ჰოპკინსთან იჩხუბებს

ოთხ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **როი ჯონსი-უმცროსი** (54-5-0, 40 KO) მომავალი წლის თებერვალში ლეგენდარულ **ბერნარდ ჰოპკინსთან** მატჩ-რევანშს გამართავს. ეს ინფორმაცია თავად მოკრივემ გაახმოვანა და ისიც დაამატა, რომ მებრძოლებს შორის ჰონორარი თანაბრად გაიყოფა, ხოლო თუ რომელიმე მეტოქე ბრძოლას ნოკაუტით მოიგებს, მას მთელი საპრიზო ფონდის 60 პროცენტი ერგება.

*„ჩვენ უკვე მივიღეთ ჰოპკინსის წარმომადგენლებისგან ბრძოლის ჩატარებაზე კონტრაქტი, მაგრამ მასში რამდენიმე დეტალი არ გვაკმაყოფილებს. დღეისთვის ხელშეკრულებას ჩემი იურისტი სწავლობს, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ შევძლებთ მოლაპარაკებას და ბრძოლის თარიღის დანიშვნას“,* - ამბობს ჯონსი.

სხვათა შორის, როი არ აპირებს უარი თქვას **დენი გრინთან** ბრძოლაზე, რომელიც 2 დეკემბერს სიდნეიში გაიმართება.

ოლიმპიზმი

# ჩიკაგო ბლერს დაიხმარს

ახლოვდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, სადაც 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი უნდა აირჩიონ. ამასთან დაკავშირებით, ამერიკის პრეზიდენტის უფროსი მრჩეველი **ვალერი ჯარეტი** დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ **ტონი ბლერს** შეხვდა. ამერიკის მთავრობას იმედი აქვს, რომ ბლერი მათ 2 ოქტომბერს, კოპენჰაგენში გასამართავ სესიაზე ჩიკაგოს განაცხადის სწორად წარდგენისთვის სასარგებლო რჩევებს მისცემს.

როგორც ცნობილია, 2005 წელს ბლერი პირადად შეხვდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ასამბლეის იმ წევრებს, რომლებზეც დამოკიდებული იყო 2012 წლის ოლიმპიადის დედაქალაქის არჩევა. მაშინ არჩევნებში გამარჯვებული სწორედ ლონდონი გახდა, რომელმაც საკმაოდ ძლიერი კანდიდატები ჩამოიტოვა უკან.

წელს ჩიკაგოს მოწინააღმდეგეები არიან - მადრიდი, რიო-დე-ჟანეირო და ტოკიო. ჩვენ ვწერდით იმის შესახებ, რომ კოპენჰაგენში ჩასვლას არ აპირებდა ამერიკის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** და ოლიმპიური კომიტეტის სესიას მის ნაცვლად პრეზიდენტის მეუღლე დაესწრებოდა. მაგრამ ბოლო ინფორმაციით, ობამა პირადად წარადგენს ჩიკაგოს განაცხადს.



ჭადრაკი

# ისევ ორქულიანი უპირატესობა



ვალენსიაში **გარი კასპაროვსა** და **ანატოლი კარპოვს** შორის მიმდინარე მატჩზე მორიგი ორი პარტია გაიმართა და კასპაროვმა ორქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა.

მესამე პარტიაში თეთრებით მოთამაშე კარპოვმა შეძლო დებიუტში მოპოვებული უპირატესობის განვრცობა და პირველი ქულა აიღო მატჩში. მაგრამ მეოთხე პარტიაში კარპოვს კვლავ დროის პრობლემა შეექმნა (დიდოსტატები სწრაფ ჭადრაკში ეჯიბრებიან ერთმანეთს). მან უკვე მესამედ ამ მატჩში დროს გადააცილა და ეს პარტიის წაგებად დაუჯდა.

მატჩში ანგარიშია - 3:1 კასპაროვის სასარგებლოდ. მოჭადრაკეები კიდევ რვაჯერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს პარტიები უკვე ე. წ. ბლიცის რეჟიმში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| **Under 20** | |
| ეგვიპტე-ტრინიდადი | 4:1 |
| **იტალია** | |
| ჯენოა-იუვენტუსი | 2:2 |
| **ესპანეთი** | |
| სპორტინგი-სარაგოსა | 1:1 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| ჰარკემასე-ფეიენოორდი | 0:5 |
| ახილი-გემერტი | 0:1 |
| აპელდოორნი-აიაქსი | 1:2 |
| **ბელგია** | |
| მუსკრონი-ანდერლეხტი | 1:2 |
| **პორტუგალია** | |
| სანტა კლარა-ფეირენსე | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| ელფსბორგი-ბრომაპიოკარნა | 1:0 |
| ჰელსინგბორგი-აიკ | 3:2 |
| იურგორდენი-ჰალმსტადი | 0:2 |
| გეფლე-მალმიო | 0:3 |
| იორგრიტე-ტრელებორგი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| მიალბიუ-ლანდსკრონა | 0:0 |
| **შვეიცარია** | |
| ლუცერნი-სიონი | 1:2 |
| ქსამაქსი-ბელინცონა | 4:1 |
| **ბელარუსი** | |
| ბატე-ვიტებსკი | 3:1 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ვილახი | 5:2 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-დიუსელდორფი | 3:3 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-მანგლერუდი | 2:2 |
| ლორენსკოგი-კომეტი | 6:5 |
| სტიორნენი-ვოლერენგა | 1:3 |
| ფრისკ ასკერი-სპარტა | 1:5 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ნიტრა | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-ილვესი | 3:1 |
| კერპეტი-ესეტი | 1:1 |
| ლუკო-იუვიასკიულა | 4:2 |
| ტაპარა-იოკერიტი | 5:1 |
| ტპს-სეიპა | 5:2 |
| ჰიფკ-კიეკო | 7:0 |
| ჰპკ-პელიკანსი | 4:0 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლულეა | 3:1 |
| მოდო-ფრიოლუნდა | 2:4 |
| სიოდერტალე-ლინჩოპინგი | 2:1 |
| ტიმრა-ბრიუნასი | 1:1 |
| ფერიესტადი-როგლე | 2:1 |
| ჰვ71-იურგორდენი | 7:6 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ნეფტეხიმიკი | 1:2 |
| ბარისი-აკ ბარსი | 4:4 |
| მეტალურგი (მ)-ტრაქტორი | 4:2 |
| ს. იულიაევი-ლადა | 1:3 |
| ვიტიაზი-დინამო (მ) | 2:1 |
| ტორპედო-დინამო (რ) | 7:2 |
| სპარტაკი-ლოკომოტივი | 4:1 |
| ცსკა-დინამო (მნ) | 4:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბუქარესტი** | |
| მ. გონსალესი-ერნანდესი | 7:5, 3:6, 6:1 |
| კოლერერი-გრეული | 1:6, 4:6 |
| კუევასი-ლუჩაკი | 7:5, 6:4 |
| მონაკო-რიბა | 6:4, 6:2 |
| **ATP. მეცი** | |
| ლუბიჩიჩი-ტიპსარევიჩი | 4:6, 6:7 |
| პეტშნერი-ლოდრა | 7:6, 6:3 |
| მონფილსი-გროსჟანი | 6:1, 6:1 |
| გასკე-კ. როხუსი | 7:5, 4:6, 6:2 |
| **WTA. სეული** | |
| დატე-კლეიბანოვა | 4:6, 7:6, 6:3 |
| კირილენკო-სკიავონე | 6:1, 1:2 უარი |
| ჰანტუხოვა-სხეპერსი | 6:1, 6:1 |
| დუშევინა-სევასტოვა | 7:5, 6:1 |
| **WTA. ტაშკენტი** | |
| გოვორცოვა-მანასიევა | 6:2, 6:3 |
| ბიჩკოვა-ამანმურადოვა | 6:4, 5:7, 6:7 |
| მეირი-პანოვა | 5:7, 1:6 |
| პეერი-ვიორლე | 6:2, 6:4 |

TV პროგრამა

**25 სექტემბერი. პარასკევი**

**I არხი**

22:30 ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. დანია (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:30 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:30 იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-იუვენტუსი.
09:15 ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-სარაგოსა.
11:00 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:30 იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-იუვენტუსი.
14:15 სასტვენი.
15:10 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-სარაგოსა.
17:45 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
18:50 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბოხუმი (LIVE).
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
01:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:10 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
03:25 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბოხუმი.
05:15 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 ხელბურთი. მსოფლიოს თასი. ქალები. ნორვეგია-გერმანია, დანია-რუსეთი. დანია.
11:20 ახალი ამბები.
11:30 ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 55, 59, 63 კგ. მე-3 ადგილისთვის. ფინალი. დანია.
13:30 სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
14:00 ექვსი ექვსზე. ევროპის ჩემპიონატი ფრენბურთში.
14:30 ჰოკეი. კჰლ-ის ლიგა. მიმოხილვა.
15:00 სპორტული დღე.
15:45 პლაჟის ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. რუსეთი.
16:40 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. აზერბაიჯანი-სერბეთი. პოლონეთი (LIVE).
18:55 ახალი ამბები.
19:25 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. იტალია-გერმანია. პოლონეთი (LIVE).
21:10 ცხენოსნობა.
22:10 სპორტული საღამო.
22:55 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ჰადერსფილდი-კატალანსი (LIVE).
01:00 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. სლოვენია-საბერძნეთი. ფინალი. ესპანეთი-სერბეთი. პოლონეთი.
04:30 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. აზერბაიჯანი-სერბეთი, იტალია-გერმანია. პოლონეთი.

**EUROSPORT**

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
11:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-ტრინიდადი. ეგვიპტე.
12:45 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. დროზე რბოლა. ქალები. მენდრისიო. შვეიცარია.
14:00 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. დროზე რბოლა. კაცები. მენდრისიო. შვეიცარია.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
16:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-ტრინიდადი. ეგვიპტე.
18:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-იტალია. ეგვიპტე (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
20:25 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ვენესუელა. ეგვიპტე (LIVE).
22:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პარაგვაი-იტალია. ეგვიპტე.
23:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ტაიტი. ეგვიპტე (LIVE).
01:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
01:45 რალი. IRC-ის სერია. სან რემო. იტალია (LIVE).
02:15 ექსტრემალური სპორტი.
02:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
03:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.

FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00–22:00
რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედიასა და ირაკლისთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო“

ჩოგბურთი

# ეისები მოსაგებად არ კმარა

საინტერესო სტატისტიკა შემოგვთავაზა საკუთარ ვებგვერდზე პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP). ხორვატმა **ივო კარლოვიჩმა** წელს ორჯერ შეძლო ერთ მატჩში 50-ზე მეტი ეისის შესრულება. ბოლო ასეთი რამ წინა კვირას დევისის თასის ნახევარფინალში მოხდა, როცა ივომ 77 ეისი ჩააწოდა ჩეხი **რადეკ შტეპანეკის** წინააღმდეგ. სულ კარიერაში კარლოვიჩს სამი 50-ეისიანი მატჩი ჰქონდა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ხორვატი სამივე შემთხვევაში ნაგებული დარჩა.

ახლა გთავაზობთ იმ მატჩების სიას, სადაც ერთ-ერთი ჩოგბურთელი 50 ან მეტი ეისის ჩაწოდებას ახერხებდა. ასეთი სულ ხუთი შეხვედრა იყო:

1. ივო კარლოვიჩი-რადეკ შტეპანეკი, 77 ეისი, დევისის თასი, 1/2 ფინალი, 2009
2. ივო კარლოვიჩი-ლეიტონ ჰიუიტი, 55 ეისი, როლან გაროსი, I წრე, 2009
3. ივო კარლოვიჩი-დანიელე ბრაჩიალი, 51 ეისი, უიმბლდონი, I წრე, 2005
4. იოახიმ იოჰანსონი-ანდრე აგასი, 51 ეისი, ავსტრალიის ღია, IV წრე, 2005
5. როჯერ ფედერერი-ენდი როდიკი, 50 ეისი, უიმბლდონი, ფინალი, 2009

ამ სიაში მხოლოდ **როჯერ ფედერერმა** შეძლო მატჩის მოგება მაშინ, როცა 50 ეისი ჩაუწოდა მეტოქეს.



# პაველმა თამაში დაამთავრა

რუმინელმა **ანდრეი პაველმა** კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო. ვეტერანი ჩოგბურთელი ამ კვირას საშინაო ტურნირზე - ბუქარესტის ღია პირველობაზე თამაშობდა, სადაც პირველივე წრეში წააგო ურუგვაელ **პაბლო კუევასთან** - 3:6, 6:7. სწორედ ამ მატჩის შემდეგ გადაწყვიტა ჩოგბურთიდან წასვლა პაველმა.

*„კიდევ ერთხელ სიამოვნება მივიღე მაყურებლის აპლოდისმენტებისგან,* - განაცხადა პაველმა. *- სინანულის გრძნობა არ მაქვს, პირიქით, ვამაყობ საკუთარი კარიერით“.*

35 წლის ანდრეი პაველს კარიერაში ATP-ის სამი ტურნირი აქვს მოგებული ერთეულთა თანრიგში და ექვსი - წყვილებში. „დიდი სლემის“ ტურნირებზე მისი საუკეთესო შედეგი 2002 წელს დაფიქსირდა, როცა რუმინელმა საფრანგეთის ღია პირველობაზე მეოთხედფინალს მიაღწია.

გვერდი მოამზადა **გია თვალაბეიშვილმა**



# პენეტა პოდიუმზე გავიდა

იტალიის ქალთა ჩოგბურთის პირველმა ნომერმა **ფლავია პენეტამ** სასიამოვნოდ გააკვირვა თავისი თაყვანისმცემლები. ჩოგბურთელი პოდიუმზე გავიდა, სადაც პროფესიონალ მოდელებზე არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

ჩოგბურთელი მილანში 2010 წლის გაზაფხულ-ზაფხულის კოლექციის ჩვენებაში იღებდა მონაწილეობას. გთავაზობთ ამ მოვლენის ამსახველ ფოტორეპორტაჟს.



# სერენა ტოკიოში არ იქნება

მსოფლიოს მეორე ჩოგანი **სერენა უილიამსი** მონაწილეობას არ მიიღებს ტოკიოს „პრემიერ“ კატეგორიის ტურნირში (საპრიზო ფონდი - 2 მილიონი), რომელიც 27 სექტემბერს დაიწყება. ამერიკელის უთამაშებლობის მიზეზი მუხლისა და ფეხის თითის ტრავმა გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ უმცროსი უილიამსი, რომელიც 26 სექტემბერს 28 წლის გახდება, კორტზე ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალის შემდეგ არ გასულა, სადაც მან მომავალ გამარჯვებულთან **კიმ კლაისტერსთან** წააგო.

რეიტინგის საუკეთესო ათეულის სხვა წევრები ტოკიოში იქნებიან. მათ შორის არის მსოფლიოს პირველი ჩოგანი **დინარა საფინა**, რომელსაც იაპონიის დედაქალაქში ტიტულს დაცვა უწევს: შარშან ფინალში რუსმა 6:1, 6:3 თანამემულე **სვეტლანა კუზნეცოვას** მოუგო.






არ გამოგრჩეთ სექტემბრის ნომერი!

